# საერთო გაზეთი

№49 (178) ● 3-6.XII, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com; www.saertogazeti.net ● ფასი 1 ლარი





**მერაბ შათირიშვილი:**

## Cven borkilebiT da jaWvebiT varT dabmulni am xelisuflebis mier da droa, gavTavisufldeT am samarcxvino mdgomareobidan



**ერეკლე საღლიანი:**

biZina ivaniSvils mxolod samebis taZari ar auSenebia _ mis mier gadarCenili TiToeuli adamiani gana TiTo taZari ar aris?!

## `qarTuli ocneba~ CemTvis, rogorc umravlesi qarTvelisaTvis, esaa gamTlianebuli, gaZlierebuli, demokratiuli qveynis aRmSenebloba





**ირაკლი კაკაბაძე:**

vfiqrob, saakaSvils biZina ivaniSvilis intervius Semdeg panikis Seteva daemarTeboda





**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

kiwmariSvili xelisuflebis dasayrdenia da mas davalebuli aqvs, rom `maestrom~ garkveuli droiT arseboba Sewyvitos

## `batoni erosi aris televaWari...~



## ბიძინა ივანიშვილზე საქართველოს პრეზიდენტის პირველ კომენტარს ბრიტანული გამოცემა „ეკონომისტი" აქვეყნებს

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის პირველ კომენტარს ბრიტანული გამოცემა "ეკონომისტი" აქვეყნებს.

"ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ დაგვაკარგვინებს", — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ეს სიტყვები მოყვანილია "ეკონომისტის" ვრცელ სტატიაში სახელწოდებით - "გამოწვევა მიშას".

"სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო, რომელმაც ბოლო ოცი წლის განამავლობაში სამოქალაქო ომი, რევოლუცია და რუსეთთან სამხედრო კონფლიქტიც კი გამოიარა, ნორმალურ ადგილს ემსგავსებოდა, მისი პოლიტიკა მოსაწყენიც კი ხდებოდა, ქვეყნის ყველაზე მდიდარი და იდუმალებით მოცული ადამიანი ხმაურით გამოვიდა პოლიტიკურ ავანსცენაზე. ქართულ სოფელში დაბადებულმა ივანიშვილმა ქონება რუსეთში დააგროვა. 2003 წელს საქართველოში დაბრუნდა, სამშობლოში ფარულ ქველმოქმედებას ეწეოდა -




მსახიობებს ხელფასებს უხდიდა, ეკლესიებს და მუზეუმებს რესტავრაციას უკეთებდა. მან ქვეყნის ყველაზე დიდი საკათედრო ტაძარი ააშენა. მთის მწვერვალზე წამოჭიმულ მის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც არც ვერტმფრენის ასაფრენი მოედანი აკლია და პატარა ჩანჩქერიც კი აქვს, პირადი დაცვის მცირე არმია იცავს ისე, თითქოს ის ჯეიმს ბონდზე გადაღებული ფილმის პერსონაჟია", — წერს "ეკონომისტი".

სტატიაში ნათქვამია, რომ სააკაშვილი უფრო რეფორმატორია, ვიდრე — დემოკრატი.

"საქართველოს სასამართლოს თავისუფლება აკლია, პოლიცია პოლიტიზირებულია, პარლამენტი მთავრობის ნების შემსრულებელია, ბუნდოვანია, ვის ეკუთვნის მედიასაშუალებები და მთავრობაც არატოლერანტულია კრიტიკის მიმართ. მარგამ, სააკაშვილმა არშემდგარი სახელმწიფო აქცია თანამედროვე ქვეყანად, რომელსაც ლიბერალური ეკონომიკა და ძლიერი საკრედიტო რეიტინგი აქვს. თავის მოწინააღმდეგეს მშვიდად უყურებს და ამბობს — "ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ დაგვაკარგვინებს". დამკვირვებლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს პოლიტიკას მეტი კონკურენცია სჭირდება, მაგრამ ახალი აჯანყება არ აწყობს", - აღნიშნულია ბრიტანული გამოცემის მასალაში.

## biZina ivaniSvilis mimarTva telekompania `maestros~ TanamSromlebisadmi



ყურადღებით ვაკვირდები თქვენი ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და ვხედავ, როგორ ცდილობს ხელისუფლება სხვადასხვა ავანტიურისტების ხელით მოსპოს თავისუფალი სიტყვის ის ნაშთებიც კი, რომელთა შენარჩუნებაც თქვენი და თქვენი კოლეგების დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა. კარგად გვახსოვს, თუ როგორი დარტყმა იყო ქართული საზოგადოებისათვის ,,იმედის" განადგურება და, აშკარაა, ხელისუფალმა მიიჩნია, რომ უკვე შესაძლებელია მასირებული შეტევა მედიაზე და, ბეჭდურ მედიასთან ერთად, თქვენი რიგიც დადგა.

როგორც ჩანს, მან ვერ გააცნობიერა, რომ თქვენ გაქვთ ის, რისი დათრგუნვაც შეუძლებელია: თავისუფალი სიტყვისა და თქვენი პროფესიული ღირსების ერთგულება.

მე დავუშვი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა ჩემ ცხოვრებაში, როდესაც ვენდე დღევანდელ ხელისუფალთა კეთილ ზრახვებს და დავხურე მე-9 არხი. ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, დავიჯერე მათი ლიბერალური და დემოკრატიული რიტორიკის. ამ დახურვით უნებურად ხელი შევუწყვე დამოუკიდებელი მედიის განადგურების ინერციის გაძლერებას.



როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, თქვენ აუცილებლად გაიმარჯვებთ და, შესაბამისად, გავიმარჯვებთ ჩვენ ყველა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს გაგვიტყუოს სამართლებრივი სივრციდან და ყველაფერს აკეთებს სიტუაციის დასაძაბად. ჩვენ ერთად აუცილებლად მოვძებნით კანონის ფარგლებში ბრძოლისა და ადამიანებამდე თავისუფალი სიტყვის მიტანის საშუალებებს.

მშვიდად იყავით და იცოდეთ, რომ ჩვენ ყველანი ვამაყობთ თქვენით. სწორედ, თქვენისთანა ადამიანები ქმნიან ქვეყნის უკეთეს მომავალს!

**ბიძინა ივანიშვილი**

## biZina ivaniSvilis pressamdivnos gancxadeba

ბიძინა ივანიშვილი სოლიდარობას უცხადებს ტელეკომპანია "მაესტროს" ჟურნალისტებს და მიიჩნევს, რომ დაუშვებელია ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა. დღეს საქართველოში დამოუკიდებელ მედიას არსებობისთვის ისედაც შეზღუდული პირობები გააჩნია და მათი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ ფონს.

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ტელეკომპანიის მაუწყებლობა ჩვეულ რეჟიმს უნდა დაუბრუნდეს, დაუყონებლივ მიეცეს ჟურნალისტებს მუშაობის გაგრძელების საშუალება, ხოლო სადავო საკითხი გადაწყდეს ცივილიზებული გზით.

**ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივანი**

## `qarTu jgufis~ saxelze Semosuli tvirTebi sabaJo terminalebSi mizanmimarTulad ziandeba

ხელისუფლების ზეწოლა "ქართუ ჯგუფის" მისამართით გრძელდება. სისტემატიური ხასიათი მიიღო უკვე საბაჟო ტერმინალზე "ქართუ ჯგუფის" სახელზე შემოსული ტვირთების დაზიანებამ. დაზიანებულია "ქართუ ჯგუფისთვის" ისეთი აღიარებული ბრენდების მიერ გამოგზავნილი საქონელი, როგორებიცაა- "Blu innovation", "Crown", "Harman", "BSS" და ა.შ. მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს იმ ქართული კომპანიებთან მიმართებაშიც, რომლებსაც ხელშეკრულების საფუძველზე "ქართუ ჯგუფისთვის" მსგავსი სახის აუდიო-ვიდეო ტექნიკა ჩამოაქვთ. მათ შორის არის "პანასონიკის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შ.პ.ს. "ინდენტი".

გარდა ამისა, გვინდა გაცნობოთ, რომ დღესაც უამრავი ტვირთია გაჩერებული საბაჟოზე, როგორც "ქართუ ჯგუფში" შემავალი ორგანიზაციების კუთვნილი, ისე მათთვის სპეციალურად კონტრაქტორი ქართული კომპანიების მიერ ჩამოტანილი. შესაბამისად, გრძელდება ძვირადღირებული ტექნიკის მიზანმიმართულად დაზიანება.

ეჭვს იმის თაობაზე, რომ ტექნიკის დაზიანება ხდება გამიზნულად, აძლიერებს ის ფაქტიც, რომ "ქართუ ჯგუფის" სახელზე შემოსული ტვირთების გახსნა და დეტალური შემოწმება ხორციელდება ცალმხრივად, დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების თანდასწრების გარეშე.

შემოსული ტვირთების უმრავლესობა გრანტის სტატუსის მქონე საქონელია და განკუთვნილია შემდეგი საქველმოქმედო პროექტებისთვის: - ფრანგული სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, საჩხერის რეგიონის სკოლები, თუმანიშვილის სახელობის თეატრი, საჩხერის საავადმყოფო, ბორითის ემერჯენსი, ჯ. კახიძის მუსიკალური ცენტრი, ნატანების საკონცერტო დარბაზი, რაგბის სტადიონები, ყუმისთავის მღვიმე, სარგავი მასალის ეროვნული ცენტრი და ა.შ.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში შემოსული ტვირთების 100% მოხვდა ე.წ. წითელ დერეფანში, ანუ გაიარა დეტალური შემოწმება, მაშინ როდესაც წინა პერიოდში მსგავსი ტიპის გაძლიერებული შემოწმების ფაქტი 5-10% იყო.

აღვნიშნავთ, რომ "ქართუ ჯგუფში" შემავალი კომპანიები საქმიანობას ახორციელებენ კანონმდებლობის სრული დაცვით და არც ერთ მათგანს არ აღენიშნება საბაჟო წესის დარღვევის ფაქტი.

აღნიშნული პრობლემების შესწავლა და მასზე რეაგირება "ქართუ ჯგუფის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ჯავახიშვილმა. ◆

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**რამდენიმე დღის წინ მსახიობმა სოსო ჯაჭვლიანმა, სპორტსმენმა ლუკა კურტანიძემ და მწერალმა მერაბ შათირიშვილმა უპრეცედენტო აქცია ჩაატარეს. მხრებზე დადებული რკინის ჯაჭვებით ფეხით იარეს ქუთაისიდან თბილისამდე. რა იყო ამ უჩვეულო აქციის მიზანი? „საერთო გაზეთს“ მერაბ შათირიშვილი ესაუბრა:**



# merab SaTiriSvili:

# Cven borkilebiT da jaWvebiT varT dabmulni am xelisuflebis mier da droa, gavTavisufldeT am samarcxvino mdgomareobidan

## Cven unda mivaRwioT imas, rom daubrundes moqalaqeoba biZina ivaniSvils, Tundac amisTvis quCaSi gamosvla dagvWirdes!

— აქციას, პირობითად, შეიძლება ეწოდოს „გელათიდან სამებამდე“, რატომ გელათიდან? ამ ადგილას, დიდი დავით აღმაშენებლის საფლავზე სააკაშვილმა ფიცი დადო, რომ ის იქნებოდა დემოკრატიის ამშენებელი, ჰუმანისტი, ქვეყნის გამაერთიანებელი, ხალხისთვის თავდადებული პრეზიდენტი. ეს ფიცი დარჩა მხოლოდ სიტყვებად.

დავით აღმაშენებელი არის ჩვენი — ქართველების არსებობის სიმბოლო, ჩვენი ეროვნული ნამუსი და ფიცს რომ იტყვი მის საფლავთან, იმ ფიცს უნდა შეაკვდე კაცი.

საუბედუროდ, გელათის ტაძრის ეს უწმინდესი ადგილი — დავით აღმაშენებლის საფლავი დღეს სააკაშვილის გამო სირცხვილის ლაქად გვექცა — ჩვენ წამოვედით ლაჩრობიდან, ტყუილად დადებული ფიციდან, წმინდა მეფის საფლავის სიწმინდით გაძლიერებულნი სამების ეკლესიამდე, რომელიც კარგი ქართველი კაცის აშენებულია.

**— ე.ი. ივანიშვილის მხარდასაჭერი აქცია გამართეთ?**

— ჩემო კარგო, რასაც ახორციელებს ივანიშვილის მიმართ სააკაშვილის ძალადობრივი ხელისუფლება, ეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. როგორი დამოკიდებულებაც აქვს ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვს ჩვენს, ანუ უბრალო ქართველი ადამიანების მიმართ.

**ივანიშვილი არ არის ჩემთვის კულტი, მაგრამ ყველამ გაიაზროს, წარმოიდგინოს საკუთარი თავი ივანიშვილის მდგომარეობაში და მიხვდება, რომ მასაც არავინ დაზოგავს განსხვავებული აზრის გამო. ჩვენ ბორკილებით და ჯაჭვებით ვართ დაბმული ამ ხელისუფლების მიერ და ჩვენს ყოველ ინიციატივას, პროტესტს, გამოსვლას მხოლოდ ჯაჭვის ჟღარუნის ეფექტი აქვს და შედეგს ვერ ვაღწევთ.**

მთელი გზა ქუთაისიდან თბილისამდე ფეხით, მხრებზე გარკვეული სიმძიმის ჯაჭვებით ვიარეთ. ეს იყო ჩვენი მონობის, ბორკილდადებულობის სიმბოლური ნიშანი. ამით საზოგადოებას მივანიშნეთ, რომ მონობას უნდა ჰქონდეს დასასრული და თუ საჭირო იქნება, ქუჩაშიც უნდა გამოვიდეთ, როცა ეს ქვეყნის კეთილდღეობას დასჭირდება. საზოგადოებას რატომღაც ჰგონია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხელმოწერებით, ანაბრების შეტანით წყდება პრობლემა. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არა საკმარისი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაუბრუნდეს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, თუნდაც ამისთვის ქუჩაში გამოსვლა დაგვჭირდეს. ეს არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ ჩვენ, თითოეულ ქართველს გვჭირდება. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს, მაგრამ ცალცალკე გაგვიჭირდება — ბიძინა ივანიშვილიც უნდა მოვიდეს ხალხთან, რადგან ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს და მისთვის ჩვეული მეთოდებით ეცდება ივანიშვილის შევიწროებასა და ბოლოს დისკრედიტაციასაც. მე ადრეც ვამბობდი, რომ ხელისუფლება მას გასაქანს არ მისცემს, შეზღუდავს-მეთქი და ხომ ხედავთ, ყველაფერი სახეზეა. ბიძინა ივანიშვილს მოვუწოდებ — მივიდეს ხალხთან, ხალხის სიღრმეში, მათ გულში ჩაიხედოს, შეხვდეს უბრალო ადამიანებს, იმათგან უფრო მეტს გაიგებს, ვიდრე მრჩევლებისგან, ან პრესა — რადიო-ტელევიზიისგან.

ხალხი დაშინებულია, დათრგუნული, მაგრამ ის მაინც შეძლებს ბიძინა ივანიშვილისთვის, როგორც ქართული ძალისთვის მხარდაჭერას.

**ყველას გვახსოვს, 26 მაისს რა მოხდა. ლუკა კურტანიძეს სასტიკად სცემეს, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიმეტეს ადამიანი. სოსო ჯაჭვლიანი ციხეში გამოკეტეს და შიმშილის პროტესტზეც კი არ ჰქონიათ არავითარი რეაგირება, 26 მაისს ქაშუეთის წინ მეც მცემეს, მაგრამ ჩვენ**



**გამოვედით, მაინც მოვნახეთ ჩვენს თავში ძალა და შიშს ვძლიეთ, დავანახეთ ყველას, რომ სააკაშვილის ზონდერების ჩვენ არ გვეშინია.**

კარგად გვახსოვს 26 მაისი, მაგრამ ეს ვერ შეგვაშინებს. იმ დღეს იქ ხალხი დაიხოცა. მეგობრებო, ნუ შეგვეშინება სიკვდილის,

**რა ჰქვია ასეთ სიცოცხლეს, ჩვენ რომ გვაქვს ახლა, ამ საშინელი დიქტატურის და უსამართლობის პირობებში?! დგება ხოლმე ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ახლობლებს არ ეკუთვნის. სიცოცხლე ეკუთვნის ღმერთს და სამშობლოს და არც ერთის და არც მეორესთვის სიცოცხლე არ უნდა გვენანებოდეს.**

**— გეთანხმებით, მაგრამ თავგანწირვას ყველას ვერ მოსთხოვ. აი, მაგალითად, ახლა თქვენ თავისუფლად ვერ დადიხართ, ვერ მოძრაობთ,**

**ბევრი, პოლიტიკურ, ოპოზიციას ვგულისხმობ, მხოლოდ სიმბოლური აქციისთვის, ჩემი აზრით, არ გამოივლიდა ამხელა გზას ფეხით...**

მართლაც საკმაოდ ძნელი იყო ამ გზის ფეხის გავლა. მთელი გზა განუწყვეტლივ თოვდა, ციოდა. მხრებზე ჯაჭვის სიმძიმემ თავისი გაიტანა, ლუკა და სოსო სპორტსმენები არიან, მაგრამ მე ვეხუმრებოდი, თქვენზე ნაკლები არც მე ვარ, მთაში ვარ დაბადებული და გაზრდილი და ბევრ რამესაც ავიტან-მეთქი.

ოპოზიციას რაც შეეხება, თქვენ სწორად შენიშნეთ, მაგათ უნდათ კოხტად გამოეწყონ კოსტუმებსა და ჰალსტუხში, დადგნენ რუსთაველის მოედანზე და მიმართონ 200 000 კაცს, მერე დააყვედრიან, გალანძღავენ და თავიანთ შეცდომებს მათ გადააბრალებენ.

ჩვენ გამოვხატეთ პროტესტი უსამართლობაზე, რაც ხდება ქვეყანაში, უსამართლო მკვლელობაზე, დარბევებზე, გამოვხატეთ პროტესტი ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, მაგრამ კაციშვილს, არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს ამ პროტესტისადმი სოლიდარობა არ გამოუცხადებია.

**— ბატონო მერაბ, როგორია თქვენი აზრი ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუზე, რომელიც ტელეკომპანია „მაესტროზე“ შედგა?**

—ამ გამოსვლით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის საოცარი ადამიანი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ახლა, ამ ეტაპზე აუცილებელია ბატონი ბიძინა გახდეს უფრო ფრთხილი და ამავე დროს ოპერატიული იმ ბრძოლაში, რომელიც სააკაშვილმა წამოიწყო მის წინააღმდეგ, პოლიტიკაში მოსვლის განცხადების შემდეგ.

**— ტელეკომპანია „მაესტროში“ არასახარბიელო მოვლენები განვითარდა მეორე დღეს, რაც იქ ივანიშვილი მივიდა პირდაპირ ეთერში სასაუბროდ. ამ ორ ფაქტს შორის, თქვენი აზრით, რაიმე კავშირი შეიძლება არსებობდეს?**

— რა თქმა უნდა, აქ არსებობს პირდაპირი კავშირები. „მაესტრო-ში“ მომხდარი ამბები 2012 წელს არჩევნებს უკავშირდება და მიმართულია ბიძინა ივანიშვილის სააგიტაციო მანქანის საწინააღმდეგოდ.

**— სიტუაციის განსჯისთვის რომ ვიმსჯელოთ, რას ფიქრობთ, რა განვითარება შეიძლება ჰქონდეს ამ ინციდენტს?**

— თქვენ იცით, რომ სოზარ საუბარმა დატოვა „ქართული პარტია“. ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ფეხს ვერ დაადგამს, სანამ „ნაციონალები“ აქ იქნებიან. დარჩა ეროსი, რომელიც ცაიტნოტში აღმოჩნდა და ამ დროს ტელეკომპანია „მაესტრო“, ივანიშვილისკენ იხრება. კიწმარიშვილი ივანიშვილისთვის მიუღებელია. ამიტომ ის ცდილობს თავისი სახელშეკრულებო უფლებები გამოიყენოს და არ დარჩეს თამაშგარე მდგომარეობაში.

მე ვფიქრობ, ხელისუფლებამ კარგად შეაფასა კიწმარიშვილის სიტუაცია და გაურიგდა მას. დღეს ეროსი კიწმარიშვილი ცდილობს „მაესტრო“ ხელში ჩაიგდოს და ღლონტი და მისი ჯგუფი იქედან გააძევოს.

ღლონტს კიწმარიშვილი იქიდან გააგდებს. დავა გადაინაცვლებს სასამართლოში. სასამართლო განხილვები არჩევნებამდე გაიწელება და მერე რა გადაწყვეტილებაც იქნება, ამას კიწმარიშვილისთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ასე რომ, ეს არის ურთიერთგარიგება და ყველაფერი დღესავით ნათელია. ეროსის ხელით ხდება „იმედი-2“- ის ჩამოყალიბება.

**ირანდა კალანდაძე**





# `batoni erosi aris televaWari...~

მას მერე, რაც ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელმა საბჭომ ეროსი კიწმარიშვილის წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, მთვარმა დამფინანსებელმა და მედიასაშუალებების მართვის კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს და პროტესტი 30 ნოემბერს დილით ტელეკომპანიის ეზოს ღობეზე გადაძრომით გამოხატა. ამის შემდეგ კიწმარიშვილი ტელევიზიის შენობის პირველ სართულზე გამაგრდა, მამუკა ღლონტი - მეორეზე.

კიწმარიშვილის ასეთი მოქმედება გამაოგნებელი და მოულოდნელი იყო საზოგადოებისთვის, ტელევიზიის შენობასთან დღისით გამოჩნდნენ ტელეკომპანიის მხარდამჭერები, მოქალაქეები, პოლიტიკოსები, რომლებიც კიწმარიშვილს პროვოცირებაში, ტე-




ლევიზიის საქმიანობაში უხეშ ჩარევაში ადანაშაულებდნენ და სოლიდარობას უცხადებდნენ „მაესტროს“ კოლექტივს და კერძოდ ტელევიზიის ერთერთ დამფუძნებელს მამუკა ღლონტს, რომელიც ბატონმა კიწმარიშვილმა სამსახურიდან დაითხოვა.

მიუხედავად სიტუაციიის სიმწვავისა, დღის მეორე ნახევარში ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხმრავლობა აღარ შეინიშნებოდა, ძირითადად, ტელევიზიისა და პრესის ჟურნალისტები იყვნენ. ასევე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ კოალიცია „ახალგაზრდები სამართლიანი ცვლილებებისთვის“ წევრები, რომლებიც მხარდაჭერას უცხადებდნენ ტელეკომპანიას, ჟურნალისტებს და ეროსი კიწმარიშვილისგან მოითხოვდნენ დაეტოვებინა შენობა. მათ კედლებზე გააკრეს პლაკატები და მოაწყვეს საპროტესტო აქცია.

**ზაზა თვარაძე, მოძრაობა „ახალგაზრდობა სამართლიანი ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი:** „ყველას გვახსოვს, რომ ეროსი კიწმარიშვილმა შექმნა „რუსთავი-2“ და ხელისუფლებაში მოიყვანა მიხეილ სააკაშვილი. „მაესტრო“ ის ტელეკომპანიაა, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ჩვენთაგანს რაიმე მოგვივა, დაგვიცავს და გააჟღერებს ინფორმაციას. ჩვენ გვაქვს მაესტროს იმედი. თუ სააკაშვილის და მერაბიშვილის ზონდერჯგუფები გაგვიტაცებენ, მაესტრო მოვა და დაგვიცავს. ჩვენ ვერ ვიქნებით „კავკასიისა“ და მწოლიარე აქუბარდიას იმედზე. გამობრძანდნენ ეს ნაძირალა პოლიტიკოსები და დატოვონ ტელევიზია, სხვაგან გაარკვიონ თავიანთი პრობლემები და არა ჩვენს ხარჯზე. ბატონ ეროსის მივმართავ, გამობრძანდეს და საშუალება მისცეს ჟურნალისტებს, იმაუწყებლონ თავისუფლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენც გადავძვრებით ღობეზე და გამოვაბრძანებთ ბატონ ეროსის.“

**გიორგი ფარესიშვილი, მოძრაობა „ახალგაზრდები სამართლიანი ცვლილებებისთვის“ წევრი:** „კიწმარიშვილი სააკაშვილის იდეოლოგია და აგრძელებს ამ იდეოლოგიას. იგი ტელეკომპანია მაესტროს ამბავს გადაყვება პოლიტიკურ სამარეში. ბატონი ეროსი არის ტელევაჭარი.. ის ახლა ახორციელებს იგივეს, რაც ჩაიდინეს მერაბიშვილის ზონდერბრიგადებმა „იმედში“

**ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი:** „ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა აქვს და ეროსი კიწმარიშვილის ბედისწერა გახლავთ ის, რომ ძალიან იოლად აღმოჩნდება ხოლმე ბოროტების მხარეს. დღესაც ის არის იმ მხარეზე, სადაც პატიოსანი და მოაზროვნე მოქალაქე არ უნდა იდგეს. ის ამბავი, რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი თავის თავზე იღებს და ახორციელებს დირექტორის უფლება-მოვალეობას, (რაც მიუღებელია ტელევიზიისთვის) - ნიშნავს, რომ იგი თამაშობს ხელისუფლების ბინძურ თამაშს“.



30 ნოემბერს მდგომარეობა უცვლელი დარჩა. 1 დეკემბერს დაიგეგმა აქცია ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დღის 2 საათზე სიტუაცია უცვლელი იყო. გაყინულ-გადაღლილი ჟურნალისტები ჩუმი შეძახილებით — გვშია! გვცივა! ელოდებოდნენ მდგომარეობის გარკვევას და მთავარი მოქმედი პირების შენობიდან გამოსვლას. ეს სურვილი მასმედიას ეროსი კიწმარიშვილმა შეუსრულა. იგი გამოვიდა ტელევიზიის ეზოში და შეხვდა ჟურნალისტებს საკმაოდ მშვიდი და თავდაჯერებული სახით.




„ჩვენ დილით გავაკეთეთ განცხადება მართვის კომპანიის სახელით, - განაცხადა ბატონმა ეროსიმ, - რომ აჟიოტაჟი, რომელიც არსებობს მაესტროს ირგვლივ არ უნდა გახდეს ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის მიზეზი.

შესაბამისად ამ დაპირისპირების გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს საინფორმაციო საშუალებების კოლაფსი. დილითვე შევთავაზე დამფუძნებლებს, რომ მოიხსნას ბლოკირება, ჯერ მამუკამ დატოვოს ტერიტორია, რათა შემდგომ დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან. მე მქონდა რამოდენიმე წარმომადგენელთან შეხვედრა და საუბარი. ჩვენ ვმოძრაობთ სწორი მიმართულებით. ვსაუბრობთ პირობების დაახლოებაზე, მე მქონდა ჩემი მოთხოვნები, მათ აქვთ თავიანთი პოზიცია. მთავარია აღდგეს სრულფასოვანი მაუწყებლობა და მოიხსნას ბლოკირება. ჩემთვის მიუღებელია ის აზრი, რომ ვითომ ხელისუფლება დაინტერესებულია ამ პროცესებით. ეს არ არის ინსპირირებული ხელისუფლების მხრიდან.“ ყველაზე ყურადსაღები ის გახლდათ, რომ ღობეებზე მძრომიალე და ალპინიზმის გამოცდილების მქონე პოლიტიკოსმა გამოსვლა დაასრულა სიტყვებით: „მე ყოველთვის ცივილური ფორმების მომხრე ვარ და დღემდე ყველაფერს ვაკეთებ რომ ცივილიზებური ფორმით გადაწყდეს ეს პრობლემა.“



ჩვენ ასევე გავესაუბრეთ აქციაზე მყოფ ბატონ **ლაშა ჩხარტიშვილს**: - ბატონო ლაშა, თქვენი აზრით პროცესები ლოგიკურად მივიდა ამგვარ შედეგამდე თუ რაიმე მოვლენამ მოახდინა პროვოცირება?

- ფაქტი ერთია: საქართველოში მედია ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ეროსი კიწმარიშვილი ამ პროცესში ნებით თუ უნებლიედ ჩაერთო. მე არ ვიცი მათი პრეტენზიები, ურთიერთობის დეტალები, მაგრამ მიუღებელია ფორმა, რომელიც გამოყენებული იქნა ამ პრეტენზიებთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ეთერის გათიშვაზე, ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლაზე. პრეტენზიების მოგვა-



რებისთვის არსებობს ცივილური ფორმები. ასეთი მდგომარეობის შექმნა პირველ რიგში აწყობს ხელისუფლებას. მის ინტერესებშია რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი მედია იყოს საქართველოში და თავისუფალი სიტყვის ბოლო მოჰიკანებად გადაიქცნენ ის ხალხი და მედია-გჯუფები, რომლებიც არიან დღეს ქვეყანაში.არანაკლები სიტუაციაა პრესასთან მიმართებაში, მასზე შეტევის ახალი ტალღა დაიწყო, შეიძლება ახლო მომავალში გაზეთები ვერც ვიყიდოთ. დანარჩენ დეტალებს რაც შეეხება, კიდევ ერთხელ მინდა ვისურვო, რომ ეს კონფლიქტი მოგვარდეს მოლაპარაკებით და კიდევ ერთხელ გამოვუცხადო სოლიდარობა მაესტროს ჟურნალისტებს. დილით მოვისმინე, რომ ღლონტმა დააფიქსირა მზადყოფნა მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებებში იმ შემთხვევაში, თუ მოხდება იმ სტატუს ქვოს აღდგენა რომელიც ამ მოვლენებამდე იყო. იმედია, რომ შეთანხმებამდე მივლენ და მთავარია „მაესტრო’ გადარჩეს. მასმედია რომ არა, სააკაშვილს გაცილებით მეტი ხალხი ეყოლებოდა დახოცილი, დაპატიმრებული და გამწარებული. მედია არის უმთავრესი მოდარაჯე და აფერხებს ხელისუფლების ძალადობას“

დღისით დაგეგმილი აქცია სასტვენების თანხლებით განხორციელდა მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. საღამომდე მოვლენები ერთფეროვნად გაგრძელდა. მოგვიანებით კი ირკვევა, რომ მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, შეთანხმება არ შედგა, მამუკა ღლონტმა დატოვა ტერიტორია, განაცხადა რომ სასამართლოში აპირებს ბრძოლის გაგრძელებას და გაემართა რადიო „მაესტროსკენ“, სადაც აღდგა ტელემაუწყებლობაც. მამუკა ღლონტის თქმით მას აცნობეს რომ საშუალება ექნებოდა ეთერში გასულიყო.

რას უკავშირდება ეს ყველაფერი - მმართველ გუნდებს შორის გაუგებრობას, ამბიციებს, ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურ ტელევიზიაზე შეტევას თუ ამ მოვლენებამდე ერთი დღით ადრე „მაესტროს“ ეთერში გასულ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, ეს ჯერჯერობით უცნობია და ალბათ ფართო საზოგადოება ახლო მომავალში გაიგებს. გაგრძელება იქნება. . .

**თამუნა ქადაგიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*გვესაუბრება პოეტი ერეკლე საღლიანი:*

**— ბატონო ერეკლე, ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ პოლიტიკაში ახალი რეალობა შექმნა. თქვენი შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ყოველთვის ერთფეროვანი იყო, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა. ყოველი ახალი, პოლიტიკური ძალის გამოჩენას სიხარულით ვხვდები იმიტომ, რომ რაც უფრო მრავალფეროვნება იქნება, მით უფრო ჩქარა მოვალთ გონს. ბოლოს და ბოლოს მივხვდებით რა გზას უნდა დავადგეთ, რა უნდა ვაკეთოთ და რა გვინდა, რაც ჯერჯერობით არ ვიცით. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას, რა თქმა უნდა დადებითად ვაფასებ. გზა გასავლელია. რაც უფრო სწრაფად გავივლით, მით უკეთესი. მეორე — ყველამ კარგად ვიცით როგორ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში, მან სამების ტაძარი ააშენა. გარდა ამისა, რომ არა იგი, სული ამოხ-



დებოდათ ადამიანებს. მესამეც — ჩემი აზრი ასეთია, არამგონია ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოსვლაზე იკლავდეს თავს, ან პრეზიდენტობაზე. მე უფრო მგონია, მას სურს ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური ძალა შექმნას.

**— ახლახან ბატონმა ბიძინამ ტელეკომპანია „მაესტროს“ მისცა ინტერვიუ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ამ ინტერვიუში გამოჩნდა, რომ რასაკვირველია იგი სრულიად ახალი, განსხვავებული სახეა პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს სცდება იმ შაბლონს, რაც სხვა დანარჩენ პოლიტიკოსებს ახასიათებთ. მას ადამიანებთან ურთიერთობის უდიდესი გამოცდილება გააჩნია. ფულის შოვნის მრავალი გზა არსებობს. ბატონმა ბიძინამ ეს სწორედ ჭკუა-საზრიანობით მოახერხა, მას უაღრესად გამჭრიახი გონება აქვს. მეორე საკითხია, თუ როგორ გამოვლინდება ეს პოლიტიკაში. თავდაპირველად, როცა იგი ბიზნესს იწყებდა, ხომ არ ჰქონდა ის გამოცდილება, რაც დღეს აქვს, მაგრამ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერს დრო სჭირდება. ერთს გეტყვით, დღეს, ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ — როგორც გალაკტიონის ლექსშია —„ყოველმხრივ სივრცე იყო, შველა კი არსაიდან“ — სივრცე სჩანს, მაგრამ შველა არსაიდან არ მოდის. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ ჩვენი ძალისხმევის გარეშე ქვეყანას რამე ეშველება. მოდით, ნუ გადავაბარებთ პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ კაცს, ცოდვაა ეს ერთი კაცი. ზვიად გამსახურდია, პირველ რიგში მისმა გარემოცვამ დაღუპა. გაინტერესებთ როგორ? — თვითონ ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდნენ და მხოლოდ გამსახურდიას უნდა აეღო ყველაფერი საკუთარ თავზე. ყველამ თავისი საქმე აკეთოს და, რა თქმა უნდა მაშინ ქვეყნის გადარჩენაც უფრო ადვილი იქნება. რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ კერპთთაყვანისმცემლობაზე. სანამ კერპი გვყავს, არაფერი გვეშველება. ამ ფონზე, სასიხარულოა, რომ გამოჩნდა ახალი სახე არამარტო პოლიტიკაში, არამედ ურთიერთობაშიც.

**— როგორ ფიქრობთ, ის იმედის ნაპერწკალი, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩენამ ხალხში გააჩნია, ხომ არ მინავლდა?**

— არამგონია ნაპერწკალი მინავლებულიყო, უბრალოდ, ეს იცით რას ჰგავს? — ტალღა რომ აიყალყება, აღმასვლას ყოველთვის დაღმასვლა სდევს. ამას მიჩუმებას ვერ დავარქმევ, ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა იმიტომ, რომ მუდმივ დაძაბულობას ადამიანი ვერ უძლებს. მერე ჩნდება სულის მოთქმის მომენტი. ახლა ასეთი სიტუაციაა — ერთმა ტალღამ უკვე ჩაიარა და მეორე უნდა წამოვიდეს.

# biZina ivaniSvils mxolod samebis taZari ar auSenebia _ mis mier gadarCenili TiToeuli adamiani gana TiTo taZari ar aris?!

**— ბიძინა ივანიშვილი ცივილური, არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას. თქვენი აზრით, რამდენად არის ეს საზოგადოების მოთხოვნა და შენარჩუნდება თუ არა მუხტი, რაც ბატონი ბიძინას გამოჩენას თან ახლდა?**

— ცოტა ძნელია ამის თქმა, პოლიტიკაში ღრმად არ ვარ ჩახედული რიგითი გულშემატკივრის პოზიციიდან შემიძლია ვთქვა — რა თქმა უნდა ცივილური ფორმით უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლა. უკვე მერამდენედ ავირჩიეთ ხე-



ლისუფლება ქუჩაში. ქუჩაში არჩეული ხელისუფლება ვერასოდეს მოუტანს სიკეთეს ქვეყანას გეტყვით რატომ ხდება ასე — არაპროფესიონალებისგან შექმნილ პოლიტიკური დაჯგუფებას ეროვნული განცდისა და გრძნობის ნაკლებობა დაემატა. იმიტომ, რომ რა სახელიც არ უნდა დაირქვა, არსით თუ სხვა ხარ, არაფერი გამოვა. ავიღოთ „ნაციონალური მოძრაობა“. ტერმინში „ნაციონალური“ ბევრი სხვა რამესაც ხედავს მე პირადად ქართული, მადლიანი ქართული სიტყვა ეროვნული მირჩევნია. ეროვნული მოწოდებით, ცხოვრების წესით უნდა იყო, თორემ რას დაირქმევ ამას მნიშვნელობა არ აქვს.



**— ბატონო ერეკლე, წეღან ახსენეთ პასუხისმგებლობა ერთ ადამიანს არ უნდა ავკიდოთო. პრეზიდენტმა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა, მისთვის მოქალაქეობის დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა საზოგადოებამ არ უნდა ავიღოთ?**

— ადამიანს მოქალაქეობა ჩამოართვა, ამაზე დიდი უსუსურობა არ არსებობს. ეტყობა ხელისუფალთა მრჩევლებიც არ გამოირჩევიან მაღალი აზროვნების უნარით. უფრო უკეთესი საქმე, რასაც ხელისუფლება თავისი ქცევებით ივანიშვილს უკეთებს, არ ვიცი რა შეიძლება იყოს. ბოლოს მაინც იძულებულნი იქნებიან ბატონ ბიძინას მოქალაქეობა დაუბრუნონ. მთავრობა ივანიშვილისგან დევნილის, წამებულის სახეს ქმნის. ჭკვიანი ხელისუფლება ასე ნამდვილად არ მოიქცევა, არამედ ჭკვიანური ხერხებით შეებრძოლება, რასაც ვერ ვხედავ.

**— ბატონო ერეკლე, იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ქვეყნისთვის პრიორიტეტული სხვადასხვა მიმართულებებზე იმუშავებენ, რა აზრის ხართ ამაზე?**

— სამუშაო ჯგუფების შექმნა ცუდი არ არის, მაგრამ მისი დაკომპლექტებაა ურთულესი. იმიტომ, რომ თუ ყველგან არაპროფესიონალებმა მოიყარეს თავი, სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმ ინფორმაციას მიიღებ, რასაც მოგაწვდიან. რამდენად იქნება ეს მოწოდებული ინფორმაცია მყარი? — ძალიან ძნელია, ურთულესია ერთი ადამიანი გაწვდეს ყველაფერს. ასეთ შემთხვევაში, ერთი რჩევა მექნება, სამუშაო ჯგუფების შექმნის დროს მედროვე ადამიანებზე არ მოხდეს დაყრდნობა, ანუ იმ ხალხზე ყველა ხელისუფლებაში კარგად რომ გრძნობდნენ თავს და ამავე დროს საოცარი ყნოსვით გრძნობენ ხელისუფლების ჩაძირვას და მალევე სხვა ბანაკში აღმოჩნდებიან. ხალხსაც აღიზიანებს უკვე ასეთი ადმიანები. არ შეიძლება ერთი და იგივე ადამიანი გმოძღვრავდეს და მეორეც, დღეს ტერმინი ცნობადი სახე საქართველოში სამარცხვინო გახდა იმიტომ, რომ ყველამ კარგად ვიცით, ვინ არიან ეს ცნობადი სახეები.

**— ერთ კვირაში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ ფუძნდება. რა მოლოდინები გაქვთ ამ კუთხით?**

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველა პოლიტიკური ძალის მოსვლას მივესალმები. იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ მძიმე პერიოდში ამინდი შექმნეს, განსაკუთრებით ხელოვნებაში, ივანიშვილმა საშუალება მისცა ეარსებათ მათ, როგორც ოჯახებს — ეს ძალიან დიდი რამაა. ვფიქრობ, ეს იყო ყველაზე დიდი პოლიტიკა.

**— როდესაც ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოვიდა, მან ამის მიზეზი შემდეგნაირად ახსნა — როცა მიხვდა, რომ სამშობლო ეკარებოდა, მისი დაბრუნება გადაწყვიტა. პირადად თქვენთვის რა არის „ქართული ოცნება“?**

— საქართველო. როგორ ფიქრობთ ჩვენი უბედურება რა არის? — რაც ამ ხილულ ფარგლებშია, მხოლოდ იმას ვამჩნევთ. ვამჩნევთ, რომ სამების ტაძარი ააშენა, მაგრამ ვერ ვამჩნევთ, რომ მის მიერ გადარჩენილი თითოეული ადამიანი თითო ტაძარია. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების გადარჩენა, განა თითო გადარჩენილი ტაძარი არ არის?! — არის, ოღონდ სხვა გაგებით და სხვა მნიშვნელობით. რაც შეეხება „ქართული ოცნებას“, გეტყვით როგორ საქართველოზე ვოცნებობ — სადაც ქართული ფასეულობები დაფასებული იქნება. ჩვენმა წინაპრებმა ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია რომ დაიწყო, ჩვენმა წინაპრებმა უდიდესი სიმტკიცე და ფესვისა და ლიბოს სიყვარული გამოავლინეს. ბერძნული კულტურა სადაც შევიდა, ადგილობრივი კულტურის კვალი ყველგან წაშალა. ერთადერთი შემთხვევა იყო საქართველო, კოლხეთი, სადაც ბერძნულმა კულტურამ ადგილობრივი ვერ წაშალა. ხედავთ, რას გაუძლეს ჩვენმა წინაპრებმა? — ბერძნული კულტურის შემოტევას. მაპატიეთ, მაგრამ ჩვენ იმ უხამსობისთვის ვერ გაგვიძლია, რასაც დღეს ყოველი მხრიდან გვაწვდიან. ესაა სწორედ ოცნება, რომ ქართული წესი და რიგი აღვასრულო ჩემს ქვეყანაში. როცა აფრიკაში ქრისტიანი ქვეყნების საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა, გამოვიდა სასულიერო პირი, თქვა სიტყვა, რომელიც მსოფლიომ აიტაცა — თქვენი კულტურა არის ის, რაც აკლია ჩემს კულტურასო. კარჩაკეტილობას არ ვქადაგებ ამით, მივიღოთ სხვისიც, მაგრამ ცუდს ნუ მივიღებთ, კარგი მივიღოთ და დავამყნოთ ჩვენს ძირზე ეს ნერგი. მექანიკურად ნუ გადმოვიტანთ ყველაფერს, ქართულ სულს მივუსადაგოდ და შედეგსაც კარგს მივიღებთ. მაგრამ ნახეთ რა ხდება? — ფრანგული, ამერიკული თუ სხვათა კულტურიდან ხომ ვიღებ ჩვენთვის საინტერესოს, ასევე ელოდება სხვა კულტურის ხალხი ჩვენგან მივაწოდოთ ქართული, მათ ეს აინტერესებთ და არა ის, რაც ყელში აქვთ ამოსული. დღეს მესტიაში რომ ჩახვიდეთ, ვეღარ მიხვდებით სად ხართ. მესტია დამახინჯებულია, ტეხასს ჰგავს. ცენტრში, რომელიც სალოცავი, თავშესაკრები ადგილი იყო, შენდება 21-ე საუკუნის სიმახინჯე, თანამედროვე სასტუმრო, რომელიც სვანეთს მთლიანად შეუცვლის იერს. ამიტომ, მინდა ჩემს ქვეყანაში ჩემი კულტურის განვითარების საშუალება მქონდეს. სახეს ნუ შემიცვლიან, ნუ მაძალებენ სხვისას. მე მჯერა, რომ ახალი პოლიტიკური ძალა ამასაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

**თამარ შველიძე**

# ...da xva l iyo omi...

## omi, rome l ic omis dawyebamde didi xniT adre daiwyo

## ჟურნალისტური ვერსიები რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ

**დასასრული. დასაწყისი იხ. წინა ნომერში**

ომის დაწყების პირველივე საათებში საქართველოს ხელისუფლება მოტივირებდა იმით, რომ სეპარატისტებმა განახორციელეს თავდასხმა ცხინვალთან ახლომდებარე დასახლებულ პუნქტზე, რომ მიმდინარეობდა მასირებული დაბომბვა 7 აგვისტოს ღამიდან, რომ როკის გვირაბის საქართველო-რუსეთის საზღვრისკენ გადასროლილი იყო ასობით შეიარაღებული პირი და სამხედრო ტექნიკა.

8 აგვისტოს ქართველი მშვიდობისდამცველების მეთაურმა, გენერალმა მამუკა ყურაშვილმა (რომელიც შემდეგ საეჭვოდ გაუჩინარდა, მაგრამ როდესაც საზოგადოებამ იგი საქართველოს ხელისუფლების მიერ უკვე ლიკვიდირებულად ჩათვალა, ასევე საეჭვოდ გამოჩნდა ტელევიზიით და ხან ბრძოლის ველიდან გაქცევა დაბრალდა და ხან რა) განაცხადა ის საბედისწერო სიტყვები „კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად საქართველოს ჯარების გამიზნული შეიარაღებული შესვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.“

სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში **თემურ იაკობაშვილმა** განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიზანი ქალაქების აღება კი არაა, არამედ, თბილისს სურს, წერტილი დაუსვას კრიმინალურ რეჟიმს, რომ არავინ ემუქრებოდეს საქართველოს ქალაქებს, მოქალაქეებს და ინფრასტრუქტურას. ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ქართული არმიის მოქმედება იყო პასუხი სამხრეთ ოსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაზე.

**9 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და სრულ მობილიზაციას.**



გერმანული გაზეთი „შპიგელი“ წერდა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა სამხედრო ნაწილებმა როკის გვირაბის მიმართულებით სვლა დაიწყეს არა უადრეს 8 აგვისტოს 11 საათისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აგრესია რუსეთის მხრიდან არ დაწყებულა, მან იმოქმედა საპასუხოდ. იმხანად თბილისში მყოფი გერმანიის გენშტაბის პოლკოვნიკი ვოლფგანგ რიხტერი აცხადებდა, რომ ქართველები იტყუებოდნენ ჯარების გადაადგილების შესახებ. მისი თქმით, მან ვერ მოიძია ვერცერთი მტკიცებულება იმისა, რომ სააკაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ გასცა ცხინვალზე თავდასხმის ბრძანება, რაც რუსეთის სამხედრო ნაწილები როკის გვირაბის მიმართულებით დაიძრნენ.

ფრანგული გაზეთი „ლა მონდი“ ხაზგასმით წერდა და ერიკ ფურნიეს სიტყვები მოყავდა არგუმენტად, რომელმაც თქვა, რომ 8 აგვისტომდე არავის უხსენებია ტანკები, ქართველებს არ დაურეკავთ ევროპელი მოკავშირეებისთვის რომ რუსები უტევდნენ...



რუსთავი-2-ის ეთერით გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასცა ბრძანება ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ. იგივე შინაარსის და სიტყვების შემცველი იყო გენერალ ყურაშვილის ნათქვამი ფრაზაც და ვხედავდით ცხინვალის აღების კადრებს.

„ამათ“ ომი არ დაუწყიათ, მხოლოდ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა უნდოდათ, ომი „იმათ“ დაიწყეს!

დიახ, ასეა, მაგრამ როცა საქმეში არტილერია ერევა, იმას ომად აღიქვამს ყველა და არა წესრიგის დამყარებად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის წარმომადგენელია, თუმცა, ყველას აქვს მისი შეფასების უფლება, მითუმეტეს, საინტერესოა მოწინააღმდეგე მხარის ინტელექტუალური სამსახურების შეფასებები.

მოსკოვის კარნეგის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი ალექსეი მალაშენკო: — „როცა მოქმედებას იწყებენ ტანკები და თვითმფრინავები, ეს უკვე ომია, მაგრამ სავარაუდოდ, იმ სახით, როგორადაც დაიწყო, დიდხანს ვერ გაგრძელდება. მე, პირადად, მგონია, რომ რუსეთი თავს შეიკავებს, რადგან სიტუაცია მისთვის უბრალოდ ხელწამოსაკრავი არაა, რადგან ღია ჩარევა გამოაჩენს უსიამოვნო დამოკიდებულებას როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით ჩრდ. კავკასიაში. რუსეთი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე დალაგდეს სიტუაცია.“

სტრატეგიული შეფასების ინსტიტუტის პრეზიდენტი ალექსანდრე კონოვალიოვი: — „როცა ისვრიან ტანკები და აგდებენ თვითმფრინავებს, ეს ომია, ხოლო ვისი ომია, არ ვიცი. აქამდე შემეძლო მეთქვა, რომ არის რაღაც მესამე ძალა, რომელსაც ეკონომიკური ინტერესებისთვის ომი ესაჭიროება, მაგრამ ახლა, ამ ომში, არც საქართველოს აქვს მსგავსი ინტერესები, არც სამხრეთ ოსეთს და მითუმეტეს არც რუსეთს. ომის პირველივე შუაღამეს გამოცხადდა, რომ იწყება კონსტიტუციის აღდგენის ოპერაცია. ისეთი აზრი მრჩება, რომ სააკაშვილი ცდილობს მომენტის გამოყენებას, როცა მას აქვს რიცხობრივი უპირატესობა და აქვს საშუალება უეცარი ეფექტისა. მე არ ვიცი რანაირი ადექვატური ქმედება უნდა ჰქონდეს რუსეთს, რადგან კითხვის მთელი არსი, — შესაძლო კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, — ესაა საშინელი იდიოტიზმი. ეს წარმოუდგენელია როგორც ისტორიულად, ისე კულტურულად. თუ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა იქამდე დავა, რომ ერთმანეთთან ომს წამოიწყებენ, ეს იქნება უდიდესი პოლიტიკური იდიოტიზმი.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე ალექსეი ვლასოვი: — „ეს არის კონფლიქტის მწვავე ფაზის დასაწყისი. სააკაშვილის გათვლაა დაიქვემდებაროს სამხრეთ ოსეთი და აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი. საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის მზად, მსჯავრი დასდოს საქართველოს ხელისუფლებას, რუსეთის ხელმძღვანელობას კი, არ ღირს ჰქონდეს იმედი იმისა, რომ გაერო შედარებით მკაცრ განცხადებებს გააკეთებს. მოვლენები შეიძლება განვითარდეს ორი სცენარით: 1. კონფლიქტი, შეიძლება გაიწელოს რამდენიმე დღე, ეს კი, საინფორმაციო თუ იმიჯის პლანში უარყოფითად იმოქმედებს სააკაშვილზე, რათა დაასაბუთოს თავისი საქციელის ლეგიტიმურობა. მას ეს უფრო და უფრო გაუჭირდება. 2. საქართველო შეძლებს გატეხოს სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგობა და სააკაშვილი აღმოჩნდება გამარჯვებული. კითხვა იმაში მდგომარეობს, რატომ არ გაითვალისწინა ან სამხრეთ ოსეთმა ან რუსეთმა თავის გეგმაში საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდასხმის შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო ქართული ძალების მიერ საომარი თადარიგის დაჭერა? დაბნეულობას ხელს უწყობს ისიც, რომ პუტინი ჩინეთშია, მედვედევი კი სამუშაო შვებულებაში ვოლგაზე.“

მამაძაღლი, რუსეთი თუ „უთავოდ“ იყო დარჩენილი, აბა, ომი ვინ დაიწყო, სააკაშვილმა? — ალექსეი ვლასოვის თქმისა არ იყოს, პოლიტიკური იდიოტები თავისკენ მოიკითხონ...

სად არის ამ დროს დიმიტრი სანაკოევი?

ოპერაცია „ჩისტაია პოლია“ იმდენად წარმატებულად ესახებოდა მიხეილ სააკაშვილს, რომ პოლიციის ფორმებიც კი უკვე გამზადებული ჰქონდა სამხრეთ ოსეთის ახალი ადმინისტრაციისთვის, რათა ყველაფერს დალაგებული და მოწესრიგებული იერი ჰქონოდა, ხოლო სპეცნაზისა და ანტიტერორისტული ჯგუფებისთვის განსხვავებული ემბლემიანი ფორმები. სამხრეთ ოსეთის პროკურატურაში ამბობენ, რომ სანაკოევის ანტიტერორისტული ცენტი, არა „ანტი,“ არამედ, თავის არსით, სწორედ რომ ტერორისტული ცენტრი იყო, რადგან მათ აქვთ ის სასწავლო საშუალებები, რითაც მათ ასწავლიდნენ, როგორ უნდა ჩაატარონ ტერორისტული დივერსიული აქტი...



ტერორისტული აქტი მოუწყვეს და ააფეთქეს მილიციის უფროსი რასაც რამდენიმე მოქალაქის სიკვდილიც მოჰყვა. ოსეთის მხარეს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, რომ 2008 წლის 31 ივლისი – 3 აგვისტოს მონაკვეთში ჩატარებული, გაურკვეველი ოპერაციის პირნათლად შესრულებისთვის გაცემულია წერილობითი დადასტურება სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით. წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებშია ასევე, პირადი ფოტოები, გადაღებული პანკისის ხეობაში, ერაყში, კოდორის ხეობაში და მეგობრებთან ერთად, რომელთაც ხელმოწერილებს და ბეჭედდასმულებს ფლობს სამხრეთ ოსეთის პროკურატურა.

ისინი ფლობენ ინფორმაციას განუხორციელებელი ტერაქტების შესახებაც, მათ შორის იმასაც, რომ სანაკოევის ტერორისტულ ჯგუფს გამიზნული ჰქონდა როკის გვირაბის აფეთქება, რის შემდეგაც რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი გზა გადაიკეტებოდა და რუსეთი ვერ შეძლებდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისა და რუსი მშვიდობისდამცველების დახმარებას, მაგრამ რაღაც მიზეზით ეს არ მოხერხდა...

საუბარია ბაქტერიოლოგიურ იარაღზეც, კოდური სახელწოდებით „საჩუქარი,“ რომლის მიხედვითაც, წყალსაცავიდან გადინებული დასნებოვანებული წყლით მუცლის ტიფის ეპიდემია უნდა გამოეწვიათ ლიახვის ხეობაში...

ტელევიზიები გადმოსცემდნენ 8 აგვისტოს, დღის სამ საათზე დიმიტრი სანაკოევს მოწოდებას მოსახლეობისადმი, რომ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ესარგებლათ ჰუმანიტარული კორიდორით და დაეტოვებინათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ერგნეთის მხრისკენ. იგი პირობას იძლეოდა რომ არავის დევნა არ განხორციელდებოდა.

ოსური მხარე ფლობს დოკუმენტურ მასალას იმის შესახებაც, რომ მათ, ვინც დაიჯერეს ეს და ჩრდილოეთისკენ აიღეს გეზი, გზად ჩასაფრებული ჯარისკაცები ხოცავდნენ... (რითი ამტკიცებენ, რომ ეს თვით მათ არ ჩაუდენიათ, არ კონკრეტდება, მაგრამ მიღებულია მტკიცებულებად.)

ყველაზე მოკლე ანეკდოტი — ქართველი ჯარისკაცი.

წარწერა ქართული ჯარის მიერ მიტოვებული ერთ-ერთი სამხედრო ბაზის კედელზე — „Òîâàðèùè ãðóçèíû, ó÷èòåñü âîåííîìó äåëó íàñòîÿùèì îáðàçîì!!! Ïðèåääàì - ïðîâåðèì!!! 71 ãâàðäåéñêèé ìîòîñòðåëêîâûé ïîëê.“

ასეთი დასაცინი გახადა ჩვენი ბიჭები მან, ვინც ომი დაიწყო!

მოკლედ, დაიწყო ქართულ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

←

ოსური, თუ რუსეთ-საქართველოს, თუ ქართულ-ოსურ-რუსული თუ კიდევ ვიღაც უჩინარების ომი და როგორ უცბადაც დაიწყო, ისე უცბადვე დამთავრდა, ომში დაღუპულები კი ერთი ზოგადი სახელის ქვეშ გაერთიანდნენ „ომის მსხვერპლი“ და გადაეშვნენ, — სახელმწიფოებისთვის სტატისტიკაში, თავიანთი ოჯახებისთვის სამარადისო ხსოვნაში...

არა, რას ვამბობ, რა სტატისტიკაში!

„იცით, რას გადასცემენ რუსეთის არხები? რომ სააკაშვილს ოსი ერის გენოციდისთვის ჰააგის ტრიბუნალს გასაცემენ, ამ დროს კი ჩვენ ვასაიდუმლოებთ რამდენი ქართველია დაღუპული ამ ომში! — მოსკოვიდან ყვიროდა თენგიზ კიტოვანი. („ასავალ-დასავალი“)

მართალია, ტალიავინის კომისიის 900 გვერდიან დასკვნას არანაირი იურიდიული ძალა არ ჰქონდა, მაგრამ წონა რომ ნამდვილად აქვს, ამაზე ორივე მხარის წარდგენილი დოკუმენტური მასალების სიმრავლე და დასკვნის გამოქვეყნების მოლოდინი მეტყველებდა.

ოფიციალური დოკუმენტი ყველასთვის ერთნაირად მარტივი წასაკითხი არ არის, მაგრამ რამდენიმე ამონარიდი, მიუხედავად დიპლომატიური ხერხებისა, მაინც განაჩენივით იკითხება და ამაო იყო თემურ იაკობაშვილის წინასწარი „შეგონებანი,“ რომ პროვოკაციები და ინტერპრეტაციები, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ტყუილი იქნება.

ამონარიდები ტალიავინის კომისიის დასკვნიდან: „7-იდან, (ღამით) 8 აგვისტოს, ცხინვალს თავს დაატყდა საქართველოს ხანგრძლივი საარტილერიო დაბომბვა. ამ დროისთვის მიმდინარეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილება ცხინვალისა და მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით და მალე ბრძოლებში ჩაერთვნენ რუსეთის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის სამხედრო შენაერთები და სხვა შეიარაღებული ელემენტები, თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, იყო მანამ, სანამ საქართველოს შეტევა სამხრეთ ოსეთზე არ იქნა შეჩერებული. საპასუხო დარტყმისას, რუსეთის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ საქართველოში...“

„საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ღამით, ცხინვალის დაბომბვა იყო საქართველოში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დაწყების ნიშანი და ის იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციების და ინციდენტების კულმინაცია.“

„მისიას არასაკმარისად მიაჩნია ქართული მხარის განცხადება 2008 წლის 8 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთში რუსული ჯარის ფართომასშტაბიან შეჭრაზე.“

„ღია საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს ფართომასშტაბიანი ოპერაციით ცხინვალისა და მიმდებარე ტერიტორიების წინააღმდეგ ღამით, 7-8 აგვისტოს. ოპერაცია დაიწყო საქართველოს მასირებული საარტილერიო შეტევით.“

დასკვნაში სხვაც ბევრი რამ ეწერა, მაგრამ რა, — წერონ და თვითონვე იკითხონ, ასეთია ქართული მინიშნება.

2008 წლის 22 აგვისტოს, უკრაინული სააგენტო „უნიანი“ თემურ იაკობაშვილთან ინტერვიუთი გვატყობინებდა, რომ საქართველომ ცხინვალზე შეტევის განხორციელება გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც რუსეთის ტექნიკამ დაიწყო შემოსვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. „ზღაპრები, თითქოს „გრადები“ ჩვენ გავუშვით ცხინვალისკენ, ტყუილია, ცხინვალი დაბომბეს რუსებმა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიკავეთ იგი რაღაც ოთხსაათნახევრით. ჩვენ ვბომბავდით სიმაღლეების შემოგარენს, მათ შორის ავიაციით და „გრადით,“ ხაზს ვუსვამ, არა დასახლებულ პუნქტებს! — ამბობდა იგი.



ხანი რომ გამოხდა, ამბობდა: საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, ომი იწყება მაშინ, როცა უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები გადმოდიან უკანონოდ შენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ანგარიში იძახის, რომ ასეთი ძალები იყვნენ გადმოსული, უბრალოდ, იძახის, რომ შეიძლება იმ რაოდენობით არ იყვნენო, რომ მათთვის წინააღმდეგობა გაგეწიაო, ესე იგი, გამოვიდა, რომ ის ძალები იყვნენ გადმოსული, ბოევიკები იყვნენ გადმოსული, სეპარატისტები, ე.წ შეიარაღებული ძალები ჰყავდათ — ეს ყველანი თუ გვესროდნენ, ჩვენ არ გვქონდა უფლება?... ახლა, იმ ფაქტის უარყოფა, რომ ჩვენი სოფლები იბომბებოდა, მშვიდობიან მოსახლეობაზე მაქვს ლაპარაკი, და არა სამხედრო ან საპოლიციო შეტაკებებზე, ამის უარყოფა ხომ არ არის? ამაზე დოკუმენტი არსებობს კულახმეტოვის ხელმოწერით... მე ვფიქრობ, რომ დანართებს ვინც ნახავს, საკმარისზე მეტია ეგეთი დოკუმენტები, რა ვერ მოიძიეს, ვერ გავიგე... ჩაიხედონ, ვისაც ამის სურვილი აქვს!“

მოკლედ, „ასე ნანატრ“ 900 გვერდიან დასკვნას, რომელსაც ყველა თავისებურად იგებს და ირგებს, მიუხედავად იმისა, რომ არც არანაირი იურიდიული ძალა აქვს და არც ახალს ამბობს არაფერს, მაინც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა, ჩვენი ხელისუფლების და შესაბამისად რუსეთის თავის ტკივილიც არ ჩამცხრალა, 2008 წლის 7 აგვისტოს და მანამდე რა რაოდენობის შეიარაღებული კონტინგენტიც იდგა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ათი ამდენი დგას ახლა და, თემურ იაკობაშვილის ლოგიკის, უფლებების და მოქმედების თავისუფლებების მიხედვით, როდის შევცვივდებით ახლიდან კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად საქართველოს ყოფილ ძირძველ მიწაზე, მხოლოდ მანვე შეიძლება იცოდეს...

ბატონმა სააკაშვილმა „ეხო მასკვისთან“ ინტერვიუს დროს (2011 წ ივლისი) ბრძანა, მე და ბატონ მედვედევს ბევრი რამ გვაქვს საერთოო, მაგრამ მე უნდა დავსძინო, საერთო კი არა, საოცრად ჰგვანან მედვედევი და სააკაშვილი ზოგჯერ ერთმანეთს, — ერთი, კონსტიტუციურ წესრიგს „გრადებით“ ამყარებს, მეორე ტანკებს და ავიაციას იყენებს „მშვიდობისთვის“...

ვიმეორებ, „ამათ“ ომი არ დაუწყიათ, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა დაიწყეს, ომი „იმათ“ დაიწყეს, მაგრამ რატომ?

ბატონი სააკაშვილი ამავე ინტერვიუში პრეზიდენტ მედვედევზე ამბობს: — „მედვედევის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ის ყოველთვის ამბობს იმას, რისი მოსმენაც მის ოპონენტს სურს. როგორც მესმის, მედვედევს საკუთარი როლი ძალიან მოსწონს“.

მე კვლავ უნდა დავსძინო, მედვედევი არა მხოლოდ იმას ამბობს, რაც ოპონენტს ესიამოვნება, ზოგჯერ აკეთებს კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს მაინც.

ასე იყო ამ ომის შემთხვევაშიც, — დაფიქრდა რუსეთის პრეზიდენტი, აწონ-დაწონა, გაახსენდა რუსეთის ხელმეორედ პრეზიდენტობაზე თვალებმიშტერებული პუტინი, აიჭრა და გაიფიქრა, გაგაპუტინებ ახლა შენ, ნახე, თუ არ დავეხმარო მიშიკოს ნატო-ში შესვლაზეო, მაგრამ ამას ღიად ხომ არ გამოაცხადებდა, ჩუმად „გაენდო“ ვიღაცას. (შეიძლება სულაც იგივე პუტინს გაენდო, — რატომაც არა? ეს კი არა, შეიძლება, სულაც პირიქით მოხდა) ის ვიღაც კიდევ ვიღაცებს „გაენდო“ და, — ქართულ-რუსული განდობილობის ამბავი რომ „არახალია, ძველია,“ ქე იცის ქვეყანამ. შესრულებას რაღა ედგა წინ, დაიწყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, რუსეთის მხრიდან კი, საკუთარ ფრთებქვეშ შეფარებული „საბრალო“, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციაში უწესრიგობის შემტანი სამაჩაბლოელების დაცვა.

აბა, კიდევ ერთხელ დავძაბოთ მეხსიერება და მხოლოდ იმას ნუ მივაჯინდებით, რომ მაინც და მაინც პუტინის ჩინეთში ყოფნას, ოლიმპიადის გახსნის დღეს და მედვედევის ვოლგაზე შვებულებაში ყოფნას დაამთხვია საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა სამაჩაბლოში.



7-8 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე ტელევიზიები აჩვენებდნენ კადრებს, რომ კოკოითი მოსახლეობას, ქალებს და ბავშვებს ვლადიკავკაზში ხიზნავდა. მაშინ ამბობდნენ, რაღაცას გეგმავენ ოსები, ანუ მათ ზურგს ამოფარებული რუსეთიო.

აბა, გაიხსენეთ და ახსენით, რატომ ლანძღავდა ომის წინა დღეებში კოკოითი რუსეთს და რა ღალატში ადანაშაულებდა?

„5 აგვისტოს, ქართული სოფლებიდან ქალებისა და ბავშვების გაყვანა დაიწყეს. 92 ავტობუსი დავითვალეთ, რაც უკვე ევაკუაცია კი არა, მოსახლეობის ტოტალური გაყვანა იყო“, — ამბობდა სამხრეთ ოსეთის ბეჭვდისა და ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა.

ირინა გაგლოევაზე ჩვენი ირინა სარიშვილის ნათქვამი ისევ გამახსენდა, იმ ირინასი, დაცინვით „ქართველი პოლიტიკური ვანგა“ რომ შეარქვეს, — რატომ ხიზნავდა ორივე მხარე ომში გამოუსადეგარ მოსახლეობას ომამდე რამდენიმე დღით ადრე?

აბა, ახლა ის გაიხსენეთ და ახსენით, თემურ იაკობაშვილის პირით რატომ დაუტკბა რუსეთს საქართველო ომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, როცა ხმამაღლა ათქმევინა, რომ რუსეთის სამხედრო წრეებშიც არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა?

კარგი, „ამათ“ იცოდნენ, რომ კონსტიტუციური წესრიგი უნდა დაემყარებინათ თუ აღედგინათ სამაჩაბლოში, მაგრამ „იმათ“ რაღა იცოდნენ, „ამათ“ შეუთვალეს?

თუ მოიძევთ, გაგიკვირდებათ, მაგრამ აღმოაჩენთ ჩვენი ტელევიზიების გადაღებულ კადრს, (რამდენჯერმე გაიმეორეს) როცა საარტილერიო შეტევის ფონზე ადგილობრივი მოსახლეობა მშვიდად იძლევა კომენტარს, მეცოდებიან ოსები, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ უნდა დამთავრდეს ბოლოსდაბოლოსო, — რას ნიშნავს ეს, რომ სანდოდ მიჩნეულმა ადგილობრივმა მოსახლეობამაც წინდაწინ იცოდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ და გიგა ბოკერიასი არ იყოს, ისიც, რომ უეჭველად აღდგებოდა ეს წესრიგი?

არა, წესრიგი კი აღდგებოდა, მაგრამ იაკობაშვილის „სამართლიანი“ რუსი სამხედრობის მსგავსად არ ფიქრობდნენ დანარჩენი რუსი სამხედროები, მითუფრო, როგორც ვნახეთ, ის შეუგნებელი რუსეთის 58-ე არმია...

მოკლედ, ბევრი რომ აღარ ვიბოდიალოთ, შემოსაერთებელი ტერიტორიებით, მეზობელთან საომარ ვითარებაში მყოფებს, მითუფრო რუსებიანად და მათი ტანკებიანად, არავინ არ შეგვიყვანდა ნატო-ში და კარგი ბარგი ჩამოხსნა რუსეთმა საქართველოს, აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. აქედან უკვე შეშველებულები იყვნენ, არაღიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას არჩევნები „გაუპრავეს“ და ტაშიი! — ნატო-ში ვართ.

ნატო-ში არა კატო-ში!

ამ შემთხვევაში ემზარ კვიციანის ზემოთთქმული მახსენდება: — „ რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, რატომ რუსეთის მოკავშირე ქვეყნები არ აღიარებენ, იმიტომ ხომ არა, რომ რუსები თვითონ არ სთხოვენ ამის გაკეთებას?“

რა აქვს სათხოვარი, იყოს ნატო-ს კართან მუდამჟამს მოღრიტინე და მისი მოიმედე საქართველო მანამ, სანამ თვითონვე არ მიხვდება, რომ ნატო „დერმოა“, ფიქრობს რუსეთი და არხეინად განაგრძობს მსოფლიო ფარსობანას თამაშს აშშ-თან ერთად.

17 ნოემბერს სიხარულისგან გონზე ვერ მოდიოდა საქართველოს აღტკინებული ხელისუფლება თავის ბელადიანად, ისტორიული რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმაო, — ოე, ოეეე! ევროპარლამენტის რეზოლუციებს სავალდებულო აღსრულების ძალა არ აქვთ, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ!

რაც შეეხება რუსეთის „ოკუპანტად“ არაერთხელ მოხსენიებას, აშშ-ს მთელი მსოფლიო თუ არა, ნახევარი მაინც ოკუპანტად თვლის და იწოდებოდეს ისიც, სულ ცალ ფეხზე არ ჰკიდიათ?

ჰოდა, ოკუპანტების პრეზიდენტმა მედვედევმა თავისი ერთი ფრაზით ერთგვარი ნათელი მოჰფინა ერთგვარად ჩაბნელებულ საქმის ვითარებას, ამ ბატიტვინებს კი რაღაც უხარიათ, ჯერ ვერ მიმხვდარან, რომ მედვედევმა მსოფლიოს თვალწინ თვალისდაუხამხამებლად ჩაუშვა საქართველოს ხელისუფლება. კიდევ ერთხელ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ „ბლეფია“ საქართველოს სწრაფვა ნატო-სკენ, დაანახვა, რომ საქართველო ყველაფერს ეცადა იმისთვის, რომ დროებით, მაგრამ ხანგრძლივად მაინც



დაეძვრინა თავი ნატო-ში შესვლისგან.

ახლა იმასაც ამბობენ, რუსეთის დაგებულ ხაფანგში სტუცა თავი საქართველომო, — თუ იცოდა, რომ ხაფანგი იყო, სად მიძვრებოდა, ვის ინტერესებში იყო მისი „გაბმა“ გამოჩნდა.

რეალურად ვინ მოიგო? — რუსეთმა.

ვინ შეუწყო ხელი? — სამხრეთ ოსეთში პარალელური არჩევნების ჩამტარებელმა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარების ინიციატორმა.

მაინც, მაინც, ვინ? — ამასაც ისტორია იტყვის.

მართალია, ისტორია ყველაფერს იტყვის, მაგრამ იმისა არ იყოს, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, გვარს არ დავასახელებო“, ასე გვჭირს, ასეთი სტილი გვაქვს აღებული, ეს ახალი ხედვაა, თორემ ისტორიას ვინ დაელოდებოდა.

საქართველოს პრეზიდენტი დღესაც დარწმუნებით ამბობს, რომ

8 gv. →

7 gv.

აგვისტოს სისხლისღვრის დროს, რუსეთმა გამოიყენა რუსეთის შეიარაღებული ძალების 95%, რომ საქართველომ თითქმის ბოლომდე გაანადგურა რუსეთის სახელგანთქმული 58-ე არმია, 2009 წლის 26 მაისს კი განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მიზანი იყო საკუთარი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი რეგიონი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, მაგრამ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების გმირობის წყალობით ასე არ მოხდა...

ვაიმეეე!!!

მეც არ ვთქვი, რაშია საქმე, რაშია საქმე, რა ჯანდაბად გვინდა ისეთი თანამედროვე რადარული სისტემები, რომლებითაც დროს, ქართული ფლოტი მთლიანად განადგურდა, ისე, რომ ბრძოლაში ჩაბმაც ვერ მოასწროო. ნეტავ, როგორ უნდა ჩაბმულიყო, რანაირად, რა წყლით შეცურდებოდა ლიახვში?

კიდევ უკეთესი, ფოთის ოკუპაციის შემდეგ, რუსებმა ქართული სამხედრო გემები „თბილისი“, „წყალტუბო“ და „დიოსკურია“ ფოთის აკვატორიაშივე ჩაძირეს, მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა კი პირწმინდად გაძარცვეს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, მომხდარის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას, სამხედრო-საზღვაო ძალების საერთოდ გაუქმება არჩია და ფლოტის გადარჩენილი მცირე ნაწილი ახლადშექმნილ საზღვაო პოლიციას დაუქვემდებარაო.

კაცო, უდანაშაულო ხალხი ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით; უდანაშაულო დამნაშავეების ცვენაა საპყრობილეებში; ნემსი ვერ დაიმალება, ზვინში იპოვნიან ჩვენი სამართალდამცავები და ამ შემთხვევაში რამ გათვალათ, რა, თვითონვე ჩაძირეს და გაძარცვეს, თუ როგორაა საქმე, რატომ მიაჩუმათეს?

# ...da xva l iyo omi...



საზღვაო აკვატორიას გავაკონტროლებთ-მეთქი? — თურმე ზღვა უნდა დავიცვათ, თორემ ამოგვიხაპავს ვინმე ჩვენს წილ წყალს თავის თევზებიანად.

ჯერ არ კონკრეტდება, რა ტიპის და რა რაოდენობის უსაფრთხოების რადარებზეა საუბარი და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რომელ გეოგრაფიულ წერტილებში მოხდება მათი განთავსებაო.

განა რამდენი წერტილები გვაქვს შავ ზღვაზე, ან იმ რადარებით რას უნდა ვუჭვრიტოთ და ვაყურადოთ, ტალღების ხმას? თუ რუსეთის საზღვაო დესანტის გადმოსხმა არ უნდა გამოგვეპაროს?

ააა, აშშ-ის მიზანი ყოფილა რომ შავი ზღვის აუზი დაცული იყოს. ეს რომ სარკოზის ეთქვა, დავიჯერებდით, გვახსოვს მისი თანადგომა 2008 წელს, მაგრამ აშშ? თუმცა, ჯორჯ ბუშმა ვერ ივაჟკაცა ალბათ, თორემ ბარაქ ობამა თავით გადმოეშვება ჩვენს გამო პირდაპირ შავ ზღვაში.

უცნაურია, — საქართველოს შავი ზღვის აუზი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამხედრო-საზღვაო ძალები უკვე მესამე წელია აღარ ჰყავს, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთთან ომის დროს... ეს კიდევ არაფერი, აშშ-ის საზღვაო ძალების მდივან რეი მაბუსთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა: — „ქართველ ჯარისკაცებს აშშ-ის სამხედრო ძალების ელიტური ქვედანაყოფები წვრთნიან. გარდა იმისა, რომ ჩვენი ჯარისკაცები დიდ გამოცდილებას იღებენ, ამ წვრთნებს გრძელვადიანი შედეგი ექნება და დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს სამხედრო სკოლის განვითარებაში. ეს წვრთნები არსებითად ცვლის ეროვნულ მენტალიტეტს“.

ოღონდ ეროვნული მენტალიტეტი შეიცვალოს ყოველმხრივ და რა გვინდა მეტი!

აღარც აფხაზეთი გვინდა, აღარც სამაჩაბლო და მათთან დიალოგი, რუსეთთან საუბარი კი, სანამ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას არ მოახდენს, არც იოცნებოს!

რაც მთავარია, ომი „ამათ“ არ დაუწყიათ, ომი „იმათ“ დაიწყეს!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# kv l av Ra l a t i?



„[illegible]“

ვახტანგ [illegible]

არსებობს სიყვარულის მრავალგვარი გამოხატულება: დედაშვილური, მამა-შვილური, ქალსა და მამაკაცს შორის, სამშობლოს სიყვარული, საქმის სიყვარული, წესიერი სიყვარული და უწესო სიყვარული. არის უფრო მძიმე ტერმინიც-გაუკუღმართებული სიყვარული, ის, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხდება, უმეტესწილად „საქართველოს სიყვარულის“ ეგიდით კეთდება. ეს „სიყვარული“ კი, მსუბუქად რომ ვთქვა, მართლაც უცნაურია (ტერმინი „გაუკუღმართებული“ რომ არ ვიხმარო!), რადგან ამ მოტივით ისეთ საქმეებს უკეთებენ საკუთარ ქვეყანას, მტერი რომ ვერ უზამს!

თითქოს მიწყნარდა ის ვნებათაღელვა მამუკა არეშიძის იდეას რომ მოჰყვა — აფხაზეთის დამოუკიდებლობა ვცნოთო. თითქოს ამ იდეის ყველა მომხრე მოეგო გონს და უცებ, ამ ორიოდე დღის წინ ინტერნეტ სივრცეში კვლავ გამოჩნდა კიდევ უფრო შემზარავად შეფუთული იგივე იდეა.



ზემოთ ტყუილად არ ვახსენე სიყვარული. მჯერა, რომ ბატონ მამუკა უყვარს საქართველო და აფხაზეთი, მაგრამ დიდად უცნაური სიყვარულით!

დიდად უცნაურია ის, რომ ბატონ მამუკას ავიწყდება 2000-მდე ადამიანი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ მოკლეს აფხაზეთში. დიდად უცნაურია ის, რომ ბატონი მამუკა ქვეყნის გაგლეჯის დაკანონებას ცდილობს!

დიდად უცნაურია ის, რომ როდესაც ნატოს გენერალური მდივანი, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი, საფრანგეთის პრეზიდენტი, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო, ქვეყნის გაერთიანებაზე საუბრობენ, ბატონი მამუკა ქვეყნის დაშლისკენ მოგვიწოდებს.



დიდად უცნაურია ის, რომ როდესაც თვით აფხაზებიც კი თავს იკავებენ იმისგან, რომ საქართველომ მათი დამოუკიდებლობა აღიაროს, ბატონი მამუკა დაჟინებით მოითხოვს ამას.

დიდად უცნაურია ის, რომ კავკასიის საქმეთა ექსპერტი ასეთ გაუთვლელ იდეას ავითარებს და ჩვენი დაყოლიებაც უნდა.



და ბოლოს, დიდად უცნაურია ის, რომ ბატონი მამუკას ეს შემოთავაზება ასე საეჭვოდ ემთხვევა კრემლის პოზიციას.

მე ერთხელ უკვე გამოვთქვი ვრცლად ჩემი მოსაზრება ამ იდეასთან დაკავშირებით („რეზონანსი“, №350, 2004 წ. „დრონი“, №25, 2011 წ. „საერთო გაზეთი“, №28, 2011 წ.) და ვფიქრობ დავასაბუთე ის, რომ არ შეიძლება საკუთარი მიწა-წყალი ასე უპასუხისმგებლოდ გაანიავო, გაапარტახო და ნაკუწებად აქციო სამუდამოდ. ამის გამო, ამჯერად თავს ვიკავებ ვრცელი მსჯელობისაგან, თუმცა დიდი სურვილი კი მაქვს, რომ მრავალ ე.წ. „პოლიტიკურ ექსპერტს“ თავიდან გამოვუბერტყო ის „გენიალური“ აზრები, ქვეყნის განადგურებისაკენ რომ მიგვაქანებენ. თუმცა მოკლედაც შეიძლება ითქვას — საკუთარ კეთილდღეობას ნუ შესწირავთ ისედაც დაქუცმაცებულ და დაბეჩავებულ ქვეყანას! ადრე თუ გვიან ამას არც ხალხი გაპატიებთ და არც ღმერთი!

**ზურაბ ჩიქოვანი**



# `qarTuli ocneba~ CemTvis, rogorc umravlesi qarTvelisaTvis, esaa gamTlianebuli, gaZlierebuli, demokratiuli qveynis aRmSenebloba

# ეკა ბერიძის ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან

## (ინტერვიუს სრული ტექსტი)

**ბიძინა ივანიშვილი:** ჩემი აზრით, პირველ რიგში, ხალხს დაუბრუნდა რწმენა, რწმენა იმისა, რომ შეიძლება ეშველოს, შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს. მე ვიცოდი, რომ ეს ესე იქნებოდა, ეს მე ვიგრძენი და ვარწმუნებ ჩვენს მოსახლეობას, რომ ეს რწმენა არ გაუცრუვდებათ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ფიქრობენ.

საზოგადოებრივი მოძრაობა იქმნება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე სამოქალაქო საზოგადოების კონტროლისა და გავლენის გაზრდის მიზნით. ჩემს განცხადებაში უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი ადგილი საბოლოოდ სამოქალაქო საზოგადოებაა. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა მოახერხოს, გააძლიეროს და გაამძაფროს გავლენა და კონტროლი ამ პროცესებზე. საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს მთავრობა და არა პირიქით, რაც ხდება დღეს. ეს პროცესი იქნება ხანგრძლივი, მაგრამ საკმარისია, კრიტიკული მასა შევქმნათ, რასაც სამოქალაქო საზოგადოება ჰქვია, დავიწყოთ იმის გაცნობიერება, რომ ჩვენია ეს ქვეყანა და ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ; ამ პროცესების განვითარებას დრო დასჭირდება, მაგრამ ჩვენ მივალთ ევროპასთან უახლოეს წლებში. პოლიტიკურ პარტიას აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ. ალბათ კითხვები ჩნდება, როგორ განვითარდება პროცესები იმასთან დამოკიდებულებით, რომ მოქალაქეობა ჩამომართვეს. პარტიას ჩამოვაყალიბებთ; გუნდი იქმნება. მე ვფიქრობ, რომ ჩემი მოქალაქეობაც დაბრუნდება; თუ არადა, ჩვენ გვაქვს სხვა სვლები და ყველაფერი მაინც ისე განვითარდება, როგორც საჭიროა.

„ქართული ოცნება" ჩემთვის, როგორც უმრავლესი ქართველისათვის, ესაა გამთლიანებული, გაძლიერებული, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობა; ამ ბოლო დროს ეს ოცნება მე ვალდებულებად ვიქციე; ეს არის ჩვენი ვალდებულება წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე, რომ ჩვენ ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული ყველასთვის საოცნებო საქართველო.

რაც შეეხება ქველმოქმედებას, ჩემი ქველმოქმედებისადმი დამოკიდებულების შესახებ დაიწერა, როცა 2005 წელს პირველი ინტერვიუ მივეცი. რუსულმა მედიამ არ დაბეჭდა იმ მოტივით, რომ ამას რუსული საზოგადოება ვერ გაიგებდა და საჭირო არ იყო. შემდეგ იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა ქართულ მედიაში. მართალი გითხრათ, ცოტათი გაწბილებული ვიყავი, რომ არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია; მაგრამ ბატონმა ოტიამ გააკეთა ძალიან კარგი კომენტარი. ცოტას ვისესხებ იმ ინტევიუდან და გავიმეორებ. ქველმოქმედება მე პირობითად დავყავი ორ ნაწილად: ქველმოქმედი, რომელიც შეგნებულად ახმაურებს თავისი საქმიანობის შესახებ; ამას აქვს ერთი მიზანი, რაც პრაქტიკულად რეკლამასთან გავაიგივე. ბიზნესმენი იქნება, პოლიტიკოსი თუ ხელოვანი, ისინი დამატებითი ხმის მოზიდვაზე ზრუნავენ, როდესაც ქმელმოქმედებას შეგნებულად ახმაურებენ. და არსებობს ქველმოქმედთა მეორე ნაწილი, რომელიც გულწრფელად ცდილობს დაფაროს თავისი მოღვაწეობა, თუმცალა ზოგჯერ ეს არ ხერხდება. აქედან განვავითარე ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებისადმი; ეს პირველი და მეორე ნაწილი არც თუ ისე შორს არიან ერთმანეთისგან, რადგან ერთიც და მეორეც ყელეფერ ამას საკუთარი თავისთვის აკეთებს. პირველი აკეთებს იმისთვის, რომ მატერიალური შემოსავალი გაზარდოს და მიიღოს; მეორე - სულიერი გამდიდრებისთვის. ეს თემა მე უფრო გაშლილი მაქვს და აქ ალბათ ვერ მოვახერხებ დაწვრილებით საუბარს. და აქ არის სწორედ ის, რასაც მე მივადექი და ვიყავი ბედნიერი, როცა რუსთაველის ბრძნული სიტყვები „რასაცა გასცემ შენია..." გამოვიყენე და დავინახე ის მექანიზმი. მე მაქვს ამის მტკიცებულებები, რომ ეს მართლაც ესეა. და მე ძალიან ბედნიერი ვიყავი.



„როცა ადამიანებს გაწეული დახმარების შესახებ ზედმეტად შეახსენებენ ხოლმე, ეს ზოგჯერ თვითრეკლამის სურვილს სცილდება. ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ იმ ადამიანების თავმოყვარეობას ვლახავთ და მათი ღირსების გრძნობას ვამცირებთ."

**„ვედემოსტი"**



მე შეგახსენებთ ჩემს პირველ წერილს, როცა მე განვაცხადე პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. იქ ჩემი მერყეობის შესახებ განმარტებებს ვიძლეოდი, ამას ჰქონდა ორი განმსაზღვრელი: პირველი იყო ის, რომ მუდმივად ვაცხადებდი, რომ არ ვაპირებდი პოლიტიკაში მოსვლას და ეს მიშლიდა ხელს გადაწყვეტილების მიღებაში; და მეორე - ჩემი მსოფლმხედველობა. ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებისადმი ასევე გამოხატავდა ჩემს მსოფლმხედველობას. როდესაც ვმერყეობდი და გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი, ეს ორი კითხვა მუდმივად მაწუხებდა. კარგად ვიცოდი, თუ წავიდოდი პოლიტიკაში ჩემი მსოფლმხედველობა დადგებოდა ეჭვქვეშ პირველ რიგში საკუთარი თავის და მეორე საზოგადოების წინაშე და მე ახალი მტკიცებულებები დამჭირდებოდა ამისთვის. მაგრამ ეს კარგად გავაცნობირე და გადაწყვეტილება მივიღე ამის შემდგომ. სასწორზე იდო ჩემი მსოფლმხედველობა და ჩემი სამშობლო და მე არჩევანი სწორად გავაკეთე. ვფიქრობ, ცხოვრებაში მექნება იმის საშულება, ისიც დავამტკიცო, რომ რასაც ვამბობდი, მე ნამდვილად ასე ვუყურებ ცხოვრებას.

რაც შეეხება გამოქვეყნებულ სიებს, ადამიანებს, რომელთაც ვეხმარებოდი, ვიცოდი დაახლოებით რაც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არ მეგონა თუ ასე უხეშად განვითარდებოდა მოვლენები. რა თქმა უნდა, განვიცდი, ვუთანაგრძნობ მათ. ეს ადამიანები ისევე მიყვარს, როგორც მიყვარდნენ. ერთს ვეტყოდი, ავიტანოთ ერთად! მეც რაღაცებს ვიტან, მეც რაღაცებს შევეგუე, რაღაცებს ვებრძვი, განვიცდი, ვუთანაგრძნობ...მაგრამ არაუშავს! ყველაფერი ასატანია და დალაგდება!

როდესაც ხმაური ატყდა ქველმოქმედებასთან დაკავშირებით, ჩვენმა ოპონენტებმა ისე წარმოაჩინეს, ლამის დანაშაულად ჩამითვალეს ეს და იმ ხალხსაც საშინელ დღეში ყრიან, ადანაშაულებენ, როგორ გაბედეს დახმარების მიღება. რამდენიმე გვარს მუდმივად ატრიალებენ. შესაძლებელია მაქსიმუმ ათი კაცი მართლა ეჭვს იწვევდნენ, სჭირდებოდათ თუ არ სჭირდებოდათ დახმარება, მაგრამ ყველა დანარჩენი ამას აუცილებლად საჭიროებდა. მე არ ვთვლი, რომ ეს უნდა შევცვალო; ის ეჭვები, რაც გამოთქვეს, რომ ვითომ ხალხის მოსყიდვას აპირებდა და ამისთვის აკეთებდაო, ჩემის აზრით ამორალურია, რამდენადაც ოცი წელია ამას ვაკეთებ. თავს უფლებას მივცემ და ცოტას განვავითარებ ამ საკითხს. ოცი წლის წინ ცოლი რომ მოვიყვანე, მაშინ მე არ ვიყავი ჯერ მილიონერი, მაგრამ მქონდა საშულება და მე და ჩემი ცოლი საქორწინო მოგზაურობაში ვგეგმავდით, როგორ დავხმარებოდით ქართველებს. პირველი ჯგუფი მაშინ გავუშვით საზღვარგარეთ სასწავლებლად. თუ ვინმეს იმის განცდა და ილუზია აქვს, რომ მე ოცი წელია ვგეგმავ, როგორ მოვიდე პოლიტიკაში და იმიტომ ვახორციელებდი ქველმოქმედებას, რა თქმა უნდა, ეს ესე არაა და ამის უფლება თავს არც უნდა მისცენ მორალური თვალსაზრისით. რაც შეეხება გავაგრძელებ თუ არა, რატომაც არა, თუ ეს წინააღმდეგობაში არ მოვა საქართველოს კანონმდებლობასთან. გავაგრძელებ იმას, რასაც ვაკეთებდი!

რაც შეეხება უანგარობის თეორიას, ცოტა დროს წაგართმევთ და გავიხსენებ, როგორ მივადექი ამ ცნებას. მახსოვს ასპირანტურაში პირველ წელს დისერტაციის პირველი თეორიული თავი მივუტანე ჩემს ხელმღვანელს და მოეწონა. გათამამებული ვიყავი, თუ რამ მომცა საშუალება, იმ საღამოს აღმოვაჩინე, რომ ადამიანი ყველაფერს საკუთარი თავისთვის აკეთებს. ის რომ ჩემი დედაა და იმიტომ ვზრუნავ, ჩემი შვილია, ჩემი მეგობარია, ჩემი სამშობლოა... და ამის შემდგომ აღმოვაჩინე ისიც, რომ თუ ყველაფერს საკუთარი თავისთვის აკეთებს, მაშინ კარგი და ცუდი ადამიანები რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?! ამან გარკვეულწილად ჩიხში შემიყვანდა რამდენიმე დღე ცუდად ვგრძნობდი თავს; მახსოვს ვიხსენებდი ბალზაკის გმირებს, რით განსხვავდება მამა გორიო, რომელიც გადაჰყვა თან თავის შვილებს, გობსეკისაგან, იგივე ბალზაკის გმირისაგან, რომელსაც დაგროვება უყვარდა, თუ ისიც საკუთარი თავისთვის აკეთებს, ესეც საკუთარი თავისთვის აკეთებს. რამდენიმე დღის შემდეგ მივადექი იმას, რომ ყველა საკუთარი თავისთვის აკეთებს, მაგრამ კარგი ადამიანი განიცდის და კარგ საქმეებს აკეთებს, კარგი საქმეების კეთება სიამოვნებს, ცუდს კიდევ - ცუდის. და აქედან გამომდინარე, მორალური-ამორალური, წესიერი-არაწეიერი ყველაფერი დავალაგე და გამიხარდა. უფრო

10 gv.

9 gv.

გვიან განვავითარე ეს ტერმინოლოგია, საკუთარ ტერმინებს მოვიხმარ ამ ბოლო დროს, - ტრანსფორმაცია გავუკეთე სიტყვებს კარგი და ცუდი - ნიჭიერი და არანიჭიერი. ნიჭიერი კაცი აკეთებს ყველაფერს ისე, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო იყოს, უნიჭო - პირიქით. საინტერესოა, რას და როგორ აკეთებს საკუთარი თავისთვის ნიჭიერი და უნიჭო; და საერთოდ, რა განსაზღვრავს ნიჭიერებას და ადამიანის ქცევას. ნიჭიერი დავყავი პირობითად ორ ნაწილად - ინტელექტი და ფსიქიკა. ინტელექტი ადვილი ასახსნელია. ეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემაა. ინტელექტსა და ფსიქიკას დავუთმე 50/50-ზე პირობითად, ზუსტად ვერ იტყვი, ყველა ადამიანში სხვადასხვა შეზავებაა. ინტელექტი შედგება გენეტიკას + წრთობა, განათლება. რაც შეეხება ფსიქიკას, ფსიქიკას ძალიან დიდი ნიშვნელობა აქვს. ფსიქოანალიზი ჩემი გატაცებაა ბოლო 30 წელიწადი. ჩემი მეგობრები ძალიან სერიოზული ჯგუფია საქართველოში, თუ მსოფლიოში არის რაღაც მიღწევები, დონე, მე ვფიქრობ, რომ არანაკლებია აქ.

მოგეხსენებათ, ფსიქიურად აშლილი ადამინები, პარანოიკები და შიზოფრენიკები, საუბედუროდ, საკმაოდ ბევრია დღევანდელ საზოგადოებაში. ფსიქიკის გავლენის საინტერსო მაგალითისთვის, კარგი იქნება თუ გავიხსენებთ ჰიტლერს. ჰიტლერს ინტელექტი არ აკლდა, მაგრამ საშინელებები ჩაიდინა საზოგადოების წინაშე. ამიტომ მარტო ინტელექტი ფსიქიკის გარეშე პოზიტივს ვერ იძლევა; შეიძლება ზოგჯერ ინატრო კიდეც, ნეტავ უფრო ნაკლები ჰქონებოდა ინტელექტი, ვთქვათ, ასეთი ფსიქიკის კაცსო. თუმცაღა ეს არ ნიშნავს ექსცენტრიულობას, ლამაზი სიტყვები მინდა გავიხსენო ამის საპირისპიროდ. სალვადორ დალი ექსცენტრიულობით გამოირჩეოდა, მაგრამ გენიოსი მხატვარი იყო ამავდროულად. თუ სრულყოფაშია ფსიქიკა და ინტელექტი, საზოგადოება ღებულობს საზოგადოებისთვის სასარგებლო პროდუქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვღებულობთ ჰიტლერის მსგავსს ან უარესს.

რაც შეეხება თომას დე ვაალის შეფასებას პრეზიდენტის ნიჭიერების შესახებ, მოდით კიდევ ცოტა უფრო გავშალოთ თემა, რა მიმაჩნია ნიჭიერებად და არა მარტო მე. ამის შესახებ არის ზოგადი ცნებები. ნიჭირებას ზომავენ იმის მიხედვით, რამდენად მეტი სარგებელი მოაქვს საზოგადოებისთვის პიროვნებას, ანუ რამდენად სასარგებლო შრომას ეწევა. ამ კუთხით განიხილავენ ბიზნესმენებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, პოეტებს. ანუ ვინ ახერხებს უკეთესად შეისწავლოს საზოგადოების მოთხოვნილება და მიაწოდოს ის, რაც სჭირდება საზოგადოებას. ამის მიხედვით ჩამოყალიბდა ზოგადი ცნებები, რომ ნიჭიერი ახერხებს გამოიცნოს საზოგადოების მოთხოვნილება და დროზე მიაწოდოს მოთხოვნადი პროდუქტი. ბიზნესმენი, რომელიც გამოიცნობს სხვაზე ადრე და უკეთესად, რა სჭირდება საზოგადოებას, მას მეტი წარმატებები აქვს. ასევეა პოლიტიკოსიც. პოლიტიკოსი, რომელიც სწორ გზებს ხედავს და სწორად იცის, რა სჭირდება საზოგადოებას, ვისაც თავისი ქვეყანა, საზოგადოება, რომელსაც ის ხელმძღვანელობს (ვთქვათ, პირველი პირი ან ნებისმიერი პოლიტიკოსი, ერთნაირი ფორმულით მოეთხოვებათ), იქითკენ მიჰყავს, რომ განავითაროს და სწორი გზით წაიყვანოს, გახლავთ ნიჭიერი. თუ გავაანალიზებთ სააკაშვილის მოღვაწეობას,

# `qarTuli ocneba~ CemTvis, rogorc umravlesi qarTvelisaTvis, esaa gamTlianebuli, gaZlierebuli, demokratiuli qveynis aRmSenebloba

პირველი ორი წელიწადი მეც მქონდა ამის ილუზია, რომ სააკაშვილი არის ნიჭიერი და მთელ საქართველოსაც ასე ეგონა. დღევანდელი გადმოსახედიდან თუ შევხედავთ სააკშვილს, სად მიგვიყვანა და სადა ვართ დღეს, ის რომ გაუფორემებელი ავტორიტარული სახლემწიფო მივიღეთ და დიქტატორობაზეც უარს არ იტყვის, მისი ქცევებიდან გამომდინარე; ის რომ სააკაშვილი დღეს მიუღებელია, არავითარი რესურსი აღარ აქვს, არვითრი პოლიტიკური კაპიტალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ; მან ეს ყველაფერი ამოწურა და რეალურად ბორკილი გახდა საზოგადოების განვითარების, ძალიან რთულია, ყოველივე ამის შემდეგ სააკაშვილს ნიჭიერი პოიტიკოსი უწოდო. მე უფრო მარტივ განმარტებას მოგცემთ ნიჭიერებაზე. სოფელში გავიზარდე; საბჭოთა კავშირის დროს, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან პატარა მიწის ნაკვეთები ჰქონდათ გლეხებს. ეზო პატარა, იქვე მიწის ნაკვეთი პატარა და საზღვარზე სულ იყო პრობლემა. 5 სანტიმეტრით გადაწევა და უკვე მეზობელს აწუხებდი. გასათვალისწინებელი იყო იქ ხეებს როგორ დარგავდი, ხომ არ დაუჩრდილავდი მას და ა.შ. ჩემის აზრით დამოკიდებულებები იყო ძალიან ფრთხილი და ძალიან მგრძნობიარე მეზობლებს შორის. გლეხი, რომლის სამუშაო იარაღებიც, ასე ვთქვათ, არ არის ინტელექტუალური, რომელიც ახერხებს ცხოვრებას ისე, რომ საკუთარი მეზობელი არ შეაწუხოს თავისი ყოფით, ჩემთვის უკვე ნიჭიერია. აქედან იწყება ნიჭიერება. მოგეხსენებათ, სოფელშიც არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ კონფლიქტში მოდიან და ვერ ახერხებენ თავიანთი მოთხოვნილებების დაოკებას, ესენი უკვე გადადის არანიჭიერ ხალხში იგივე განმარტებით. ამ შემთხვევაში, ვთქვათ, ინტელექტი არ ჰყოფნის თუ ფსიქიკა არ აძლევთ საშუალებას, ეს სხვა რამეა. სააკაშვილს რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან ნიჭიერებში ვერ დავაყენებთ, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდაა და შესაძლებელია კიდევ... თუ ის გააცნობიერებს, რომ ეს გზა მის ქვეყანას ვერ გაიყვანს და ეს გზა არ არის გზა მიმავალი ეკლესიისკენ (პატრიარქს უყვარს ამ სიტყვების გამოთქმა და მეც მომწონს), შესაძლებელია თავისი ცხოვრების მანძილზე მან მოახერხოს და გადავიდეს პლიუსებში, თუმცაღა ძალიან მეპარება ეჭვი....



რაც შეეხება სამშობლოსთან შეხვედრას, მე გავეცანი ქალბატონ ია ანთაძის წერილს, სხვათა შორის ძალიან საინტერესო, ძალიან გულწრფელი იყო... გავეცანი მოპაექრეებსაც, თემურ ჭკუასელმა დაუწერა პასუხი, კიდევ იყო ვიღაც შუალედური... მაინტერესებდა დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებ ქ-ნი იას და მისი ოპონენტების გულწრფელობას.. მე მაქვს განსახვავებული პოზიცია. არც ერთს არ ვემხრობი და ა რატომ. ვთქვათ ქ-ნი ია ჩემზე წერს, წასული იყო ოცი წლით და მან არ იცის, რა არის მისი სამშობლოო. მისი ოპონენტები ამბობენ, რომ ეს კაცი ჩამოდიოდა, ნახულობდა, შვილებს აჩვენებდა და იცის, რა ხდება სხვადასხვა კუთხეებში... მე არც ერთს არ ვეთანხმები. მე ესეთი ხედვა მაქვს, რომ როდესაც სამშობლოზეა საუბარი და პიროვნებაზე, ჩემს შემთხვევაში, მათ იცოდნენ რომ მე დავიბადე და გავიზარდე ჩემს სოფელში, სკოლა დავამთავრე მშობელ სოფელში და უნივერსიტეტი დავამთავრე თბილისში; სამშობლოსთან დამოკიდებულება და სამშობლოს ცნება უნდა განიხილო ადამიანთან ერთად. უნდა წარმოიდგინო, როგორ ყალიბდება ადამიანი, მისი მსოფლმხედველობა, რა დამოკიდებულება აქვს სამშობლოსთან. კაცი შემეცნებას იწყებს 12-17 წლის ასაკში, ცდილობს გააცნობიეროს ყოფა, ვინ არის თვითონ, ახერხებს გაიაროს ის ცხოვრება, ვთქვათ, როგორიც გავიარე მე (25 წლის წავედი საქართველოდან), მას აღარ აქვს საშუალება დაივიწყოს სამშობლო. აქ ვოლტერის სიტყვები შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ სამშობლო ეს არის მხარე, სადაც დატყვევებულია სული. და ეს აბსოლუტურად ესეა. ვიხსენებ იმ დროს, როდესაც წავედი... მუდამ გესიზმრება შენი სოფლის ბილიკები, უნივერსიტეტი, თბილისი.... ადამიანი სადაც იბადება და იზრდება, უყალიბდება მსოფლმხედველობა, ისაა მისი სამშობლო, მისი სული იქ რჩება მუდმივად. მე მგონი, ქართველები ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებულები არიან. ჩვენ გეორგია ტყუილად არ გვქვია, ძალიან ვართ მიჯაჭვულები ჩვენს მიწასთან. შვილებიც ქართველებად გავზარდეთ მე და ჩემმა მეუღლემ, მოავხერხეთ. ეს არ იყო უკვე მარტივი, როდესაც ვცხოვრობდით რუსეთში ან საფრანგეთში. ყველაზე დიდი პრობლემა იყო შვილების ქართველებად ჩამოყალიბების პროცესი და ამაზე ჩვენ ძალიან დიდი შრომა დავხარჯეთ და ჩვენ ეს შევძელით. მე აქვე მინდა გავიხსენო უამრავი ჩვენი ემიგრანტი, რომელიც დღეს წასულია საქართველოდან. ძალიან კარგად მესმის მათი, როგორი განცდა აქვთ მათ, როგორ ენატრებათ თავიანთი ქვეყანა, მუდმივად მოლოდინში არიან, როდის დაბრუნდებიან. მაგრამ დასაბრუნებელი უნდა იყოს, ესეთ საქართველოში ვერ დაბრუნდებიან... მათ ძალიან დიდი პრობლემა ექნებათ შვილებთან დაკავშირებით. ჩვენ გვქონდა ამის საშულაბა, ჩემი ფინანსებით, მასწავლებელი გვყავდა მუდმივად და ეს მოვახერხეთ. მათ კი ძალიან დიდი სირთულეების გადატანა მოუწევთ შვილების აღზრდის საქმეში, რათა ისინი ქართველებად აღზარდონ. მე ვიცი, რომ ყველას აქვს ეს განცდა და აბსოლუტური უმრავლესობა მოახერხებს.

ასე რომ, 20 წლის კაცი რომ საქართველოდან მიდის, ის სამშობლოს ვერ ივიწყებს. მე მუდამ ვიყავი ქართველ ხალხთან, მუდამ მტკიოდა ქართველის ტკენა, არასოდეს დამვიწყნია და არასოდეს დამიტოვებია ჩემი სამშობლო.

რაც შეეხება ჩემს გადწყევტილებებს რუსეთსა და საქართველოში,მათ ურთიერთკავშირს, კარგია, რომ დადებით რაღაცეებსაც პოულობთ ჩემს ინტერვიუებში, თორემ რატომღაც საქართველოში ჟურნალისტებმა მხოლოდ უარყოფითი აიღეს იქედან. როდესაც ლაპარაკია დეფოლტზე რუსეთში, ჩემი ბანკი იყო ერთადერთი მსხვილი ბანკებიდან და სტუქტურებიდან, რომელმაც ვალდებულებები გაისტუმრა. აბსოლუტურად შემეძლო უარი მეთქვა, ჩემი დანაშაული იქ არაფერი არ იყო, მაგრამ არათუ ბანკის ქონება, არამედ რაც მქონდა გარეთ, ყველაფერი შემოვიტანე ბანკში იმისთვის, რომ ვალდებულებები გამესტუმრებინა. შეიძლება მსოფლიოში ვერ ნახოთ მსგავსი პრეცედენტი. ეს არის ჩემი ხელწერა. ეს არის ჩემი ცხოვრება. ეს იყო ჩემი ცხოვრების წესი. ეს მე მიწერია რუსულ გაზეთში, ქართველებმა რომ დაიჯერონ, იქ გადაბრუნებული სიტყვა რომ მეთქვა, ვინ მაპატიებდა. და რა თქმა უნდა, მე ამით ვამაყობ, რომ მოვახერხე. თუმცა რუსეთში ნახევრად გიჟს მეძახდა ყველა, ეს როგორ გავაკეთე. რაც შეეხება მეორე გადაწყევტილებას.... ძალიან რთული კავშირი გააკეთეთ და ძალიან საინტერესო.... ცოტა გადაჭარბებულია, რომ მე სახელმწიფო პროექტებს ვაფინანსებდი, თუმცა ამის მსგავსი იყო, მე ჩემს ქვეყანას, სამშობლოს ვეხმარებოდი და ეს დამოკიდებულება მქონდა მუდამ, ვალდებულების გრძნობა გამაჩნდა და გამაჩნია დღესაც... ის, რომ სააკაშვილმა ვერ შეასრულა დაპირებები, დაპირებების სამაგიეროდ სიცრუით გვკვებავს და ძალით უნდა დაგვარწმუნოს, რომ ის აკეთებს იმას, რასაც დაგვპირდა...სააკაშვილის ვალდებულებებს არ ვიღებ, მაგრამ ჩემი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ქვეყნის წინაშე ვალდებულებები, რასაც ვერ ასრულებს და ამ პროცესში მე ჩავერთე.... ძალიან საინტერესო კავშირი მონახეთ...

რაც შეეხება კითხვებზე არაკონკრეტული პასუხების გაცემას (საქმე შეეხება პენსიის ოდენობაზე დასმულ კითხვას), მე ვთვლი, რომ საზოგადოება უნდა მიეჩვიოს ახალ რეალობას. რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას, მახსოვს სხვა კონკრეტულ კითხვებსაც მისვამდნენ, ვთქვათ, რას გავაკეთებ ცალკეულ ქალაქებში. მე არ მივცემ არასოდეს ზედმეტ დაპირებებს საზოგადოებას. პირიქით, მე ძალიან ფრთხილად ვეკიდები ყოველ ჩემს სიტყვას. და მინდა რომ დაპირებებით რაც ჩვენ მივიღეთ, იგივე არ განმეორდეს. მე მირჩევნია დავიჭირო თადარიგი, დავპირდე ნაკლებს და გავაკეთო მეტი. მე სხვანაირად ვერ შევძლებ, ვერ გავაკეთებ, ეს არ არის ჩემი ცხოვრების წესი. პასუხი, მგონი კარგი ვთქვი, პენსია უნდა ჰქონდეს ადამიანს იმდენი, რომ მან იმით შეძლოს ცხოვრება და ჩვენ ამას მივაღწევთ; მაგრამ ვერ მივაღწევთ პირველსავე წელს, ამის შესახებ გაფრთხილებთ, რომ ილუზია არ გაჩნდეს. ჩვენ მუდმივ დაპირებებში ვცხოვრობთ და არარეალური დაპირება იწვევსა სიცრუეს. ერთი სიცრუე იწვევს მეორეს და ეს გადადის მერე იმ ვითარებაში, სადამდეც მივედით ჩვენ. ამის ძალიან კარგი მაგალითები გვაქვს და აღარ ჩავუღრმავდები. გავიხსენებ ერთადერთ იმას, როგორ გახსნა ჩვენმა პრეზიდენტმა ალმაშენებლის ქუჩა. რატომღაც პლეხანოვით მოიხსენია, ეტყობა ერიდება აღმაშენებელის გვარის ხსენებას; ისევ დაგვმოძღვრა, რომ ყველაზე მაგარ ქალაქებს მსოფლიოში თურმე ვაშენებთ ჩვენ და ყველაზე სწრაფი ტემპები ეკონომიკის განვითარებისა გვაქვს ჩევნ. ეს უკვე შეურაცხყოფაა, ასე ბრიყვად რომ გვთვლის, მაგრამ ასეთ შეურაცხყოფებს მუდმივად ვღებულობთ მისგან. ეს და მსგავსი მაგალითები კიდევ უფრო მიმძაფრებს განწყობას, რომ ქართული საზოგადოება უნდა გადაეჩვიოს ცრუ დაპირებებს, გაერკვეს და სიტუაცია შეაფასოს სწორად. ჩემგან ეს არ მოხდება.

რაც შეეხება პარტნიორობას და თანამშრომლობას, მათ შორის განსხვავება მარტივია. პარტნიორობა უფრო ახლო ურთიერთობას ნიშნავს, თანამშრომლობა ცოტა უფრო დაშორებულს, ახალი ტერმინიც შემოვიღოთ - ურთიერთობა, რათა არავინ არ დარჩეს პოლიტიკური ოპოზიციური ისტებლიშმენტიდან ყურადღების მიღმა, რომ ყველასთან შევძლოთ პარტნიორობა და თანამშრობლობა თუ არა, ურთიერთობა მაინც, რათა წარმატებით მივაღწიოთ დაგეგმილ მიზანს.

რა თქმა უნდა, დასავლეთის მხარდაჭერას და პოზიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთის პოზიციამ განსაზღვრა 2008 წლის არჩევნების დამტკიცება და ჩვენ ამ მხრივ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს გასაკეთებელი და ბევრს გავაკეთებსთ. რაც ევროსაბჭოში მოხდა, ეს არის კარგი მაგალითი იმისა, რომ ისინი უამრავ ფულს ხარჯავენ ლობისტებზე, ჩვენი ხალხის, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხის ფულს ანიავებენ ასეთ საკითხებში. ჩვენ დავიწყეთ სერიოზული მუშაობა და კარგი ორგანიზება. რამდენიმე თვეში ჩვენ შევცვლით სიტუაციას. შევცვლით ევროპის და ამერიკის დამოკიდებულებას და ვაჩვენებთ მათ რეალობას. და ამას თქვენ დაინახავთ უახლოეს თვეებში.

რაც შეეხება ალტერნატივის გაჩენას - ერთის მხრივ ნატო და მეორეს მხრივ ოკუპირებული ტერირორიების დეოკუპაცია და ინტეგრაცია საქართველოში,ამ წინადადებიდან მე თქვენ სიტყვას „გაჩნდეს“ ამოვირჩევ. არ უნდა გაჩნდეს. ჩვენ ამ გაჩენაში მონაწილეობა უნდა მივიღოთ და ეს არის ჩვენი მთავრობის ვალდებულება და როლი. ასეთი ვიქნებით ჩვენ. არ გაჩნდება, არავინ არაფერს არ გააჩენს, ჩვენ უნდა გავაჩინოთ; ჩვენ უნდა შევძლოთ, მოვახერხოთ! საქართველოს ბედია ევროსტრუქტურისაკენ სვლა, მათ შორის ნატოც ჩვენი ბედია, და ასევე ჩვენი ბედია რუსეთთან მეზობლობა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ერთიც და მეორესთან ურთიერთობაც.

ყოფილა შემთხვევები, როცა დამიბრუნებია მომგებიანი აქციები და წაგებაზე წავსულვარ. მე ამით არანაკლებ ვამაყობ, ვიდრე პირველით, როცა ბანკის ვალდებულებებზე იყო საუბარი. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ქონების სამინისტრომ გაყიდა აქციები (მე ეს მიწერია ინტერვიუში და იქ ერთ სიტყვას სიცრუეს ვერავინ გაბედავდა, ეს ყველაფერი გადამოწმებულია); მართლაც ჩემი ყველაზე დიდი საწარმო საინვესტიციო პროექტით შევიძინე, ვნახე, რომ შეცდომა იყო და მთელი ქონების სამინისტრო ყირაზე იდგა რამდენიმე თვე და მეხვეწებოდნენ, წაიღე, არავინ არაფერს შეგეკითხებაო, მაგრამ არა-მეთქი, უკანონოა და უკან უნდა დაიბრუნოთ-თქო. ეს იყო ჩემი ცხოვრების წესი, რითაც მე ვამაყობ მუდმივად და იგივე აქციები ერთი წლის შემდეგ 11-ჯერ ძვირად შევიძინე მეორად აუქციონზე. მუდამ ვცხოვრობდი ასე, მუდამ პატივს ვცემდი იმ კონსესუსს, რასაც ხალხი აღწევს და რასაც კანონი ჰქვია.



მე დავაბრუნე უკან უკანონოდ გაცემული აქციები და პოლიტიკაშიც ასევე დავაბრუნებ, თუ ის უკანონო იქნება. მაგრამ მე თვითონ პოლიტიკიდან წასვლას დაპირებების შეუსულებლად არ ვაპირებ და ამას ტყუილად ნუ ელოდებიან. კიდევ აქვთ ოპონენტებს ამის განცდა, რომ მოეწყინება და წავაო, დაახლოებით ასეთი ინფორმაცია მოდის. მე პოლიტიკაში ვიქნები ისეთივე სუფთა, როგორიც ვიყავი ეკონომიკაში და როგორიც ვიყავი ბიზნესში. ისეთივე სუფთა ხელებით შევძლებ უარი ვთქვა უკანონობაზე და მივაღწიო იმას, კანონიერი გზით განვახორციელო ის, რასაც შევპირდი მოსახლეობას.

საქართველოს კონკურენტული უპირატესობა, პირველ რიგში ეს არის ჩვენი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა. მოგეხსენებათ, საქართველოზე გადიოდა აბრეშუმის გზა. ამას აუცილებლად დასჭირდება რეალიზება, რომ ეს კოზირი გამოვიყენოთ. ჩვენ მართალია პატარა ტერიტორია გვაქვს, მაგრამ გვაქვს ბევრი შესაძლებლობები. ტურიზმისთვის გვაქვს ყველაფერი, გვაქვს ზღვა, გვაქვს მთა. აუცილებლად უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა და უნდა შევძლოთ მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნაც. ევროპასავით გამოკვეთილი არა, მაგრან საქართველოს აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ წარმატებული ქვეყანა იყოს. ამას სჭირდება ნება, სწორი კანონები და ა.შ.

რომ არა განვითარებული მოვლენები, ნამდვილად ვაპირებდი წიგნის დაწერას. თუმცა არ მივატოვებ ამ იდეას. შევეცდები, მოკლედ აგიხსნათ, რას შეეხება იგი, რამდენადაც ამ ინტერვიუში ამ წიგ-



ნიდან მოვახერხე და უკვე შევეხე რამდენიმე საკითხს. ჩვენ შუა გზაზე მივატოვეთ იოსელიანის შეხსენება ჩემს ქველმოქმედებაზე „რასაცა გასცემ შენია“. წიგნში მოვახერხე, ამეხსნა, დამესაბუთებინა რუსთაველის ეს ბრძნული სიტყვები. ჩემს წიგნში ეს ყველაფერი იქნება გადმოცემული, რითაც მე დიდი სიმაოვნება მივიღე თავის დროზე. მოკლედ, ძალიან საინტერესო საკითხებს, თემებს ეძღვნება. თუმცა ყველაზე საინტერესო არის საკითხები, თუ რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი. სკოლიდან მოყოლებული, როცა მე-7-8 კლასში ბარათაშვილის ეს ლექსი ვისწავლეთ, როგორც ყველა მოქალაქე და ადამიანი, ამ კითხვას მუდმივად ვსვამ, რა არის ჩვენი ყოფა, ვინ არის ადამიანი, რა უნდა, რა მიზნები აქვს, რა ამოძრავებს. მე მოვახერხე მარტივი ენით ამეხსნა და ძალიან ბევრ კითხვაზე გამეცა პასუხი.

მოგეხსენებათ, როდესაც ადამიანის ყოფაზე, მიზნებზე, სიახლეების მუდმივ ძიებაზე საუბრობენ, არსებობენ ფილოსოფოსები, მიმდინარეობა არსებობს, რომელიც განმარტავს, რომ ადამიანი მუდამ ისახავს მიზანს, მიაღწევს მას და ამ ერთზე ვერ ჩერდება; მერე გეგმავს მეორეს და ეს არის მთელი სპირალი. ესე მარტივად ხსნიან ადამიანის ცხოვრებას. ბარათაშვილს დავუბრუნდეთ ისევ, მას აქვს უფრო ლამაზად, ვიდრე ნებისმიერ ფილოსოფოსს:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა —
წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული
აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული
ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ
ნატვრით, ისი ეკმაროს?.“

რა უნდა ადამიანს, რატომ არ კმარობს?! ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადამიანი ყველაფერს თავისი თავისთვის აკეთებს, გავიხსენეთ რუსთაველის „რასაცა გასცემ შენია“, ბარათაშვილი; მე მოვახერხე, მოვნახე თვითგადარჩენის ინსტიქტის მოქმედების მექანიზმი, მისი სტრუქტურა. ამ სტრუქტურის აღმოჩენის და დანახვის შემდეგ, მე დავინახე, რომ ერთი ხის ორი ტოტია ის, რასაც ამბობს რუსთაველი „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ და ჩვენი მეორე გენიოსი პოეტი ბარათაშვილი:

„თვითონ მეფენიც უძლეველნი,
რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის,
და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ
უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“
და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს
თუ ხვალ თვითვე არიან!“

მუდმივი „შფოთვენ და დრტვიან“ და რუსთაველის ლამაზი ფრაზა „რასაცა გასცემ შენია“, მე დავაკავშირე ამ მექანიზმიდან გამომდინარე, თვითგადარჩენის ინსტიქტის მოქმედების მექანიზმით, მისი სტრუქტურის ნახვით, ეს არის ერთი ხის ორი ტოტი, ეს არის ძალიან საინტერესო. რატომ შფოთვენ და რატომ არის „რასაც გასცემ შენი“ ამაზე ძალიან კარგად მაქვს პასუხი გაცემული. მაგრამ ამ პასუხმა მიმიყვანა დასკვნამდე, რომ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე ეს მექანიზმი, ეს სტრუქტურა უფრო რბილი უნდა გახდეს განვითარებული საზოგადოებისთვის. უფრო მეტად ჰუმანური უნდა იყოს. ამას გავყევი და დავუბრუნდი უფრო ფართო პრობლემას. ამის მტკიცებულება მინდოდა, ამ მტკიცებულებისათვის მე მჭირდებოდა ადამიანები, რომელზეც უნდა ხერხდებოდეს ეს დაკვირვება და მივედი უფრო ფართო ცნებებთან. ზემოთ აღვნიშნე ფსიქოანალიზით გატაცება და ფსიქოანალიტიკოსთა ჯგუფი ვახსენე, მოგეხსენებათ დღეს უდიდესი პრობლემაა ფსიქიური დაავადებები. ფსიქიური აშლილობის მქონე ადამინების რაოდენობა ცივილიზაციასთან ერთად იზრდება. კარგად ვიცი ევროპაშიც და ამერიკაშიც,სადაც ძალიან მოდაშია ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიტიკოსი, ვერ აღწევენ შედეგებს. დღეს ფსიქიურ აშლილობას მიაწერენ ძალიან გავრცელებულ ნარკომანიას, ნებისმიერ ფობიებს, ნებისმიერ ექსტემიზმს, პედოფილიას, მოგეხსენებათ კუნძულზე 70 კაცი დახოცა ვიღაც ჭკუიდან გადამდგარმა კაცმა. ეს პრობლემები

12 gv.

11 gv.

დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს და არსებობს ძალიან ბევრი. მე ვიცი, რას ახერხებენ ფსიქოთერაპევტები და ფსიქოანალიტიკოსები. ჩემს მეგობრებს ალბათ ეწყინებათ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ შედეგი ძალიან მცირეა, ძალიან ცოტაა და პრაქტიკულად ვერ ხორციელდება სრულყოფილად. ყველაზე საინტერესო ისაა,რომ ებრძვიან შედეგს და არა მიზეზს, სწორედ ამ საკითხს ვუკავშირებ ჩემს კვლევას. სწორედ მიზეზთან ბრძოლა და მიზეზი არის წიგნში ძალიან გარკვეულად აღწერილი და ახსნილი, ძალიან ბევრი სპეციალისტის, ფსიქოანალიტიკოსის, ფსიქიატრის გამოცდილების მოშველიებით. მე გავიხსენებ ალან ფრომს, რომელიც 2003 წელს გარდაიცვალა ნიუ-იორკში, მას აქვს გენიალური წიგნი „დედაენა მშობლებისათვის“, სადაც ძალიან მარტივი ენით არის დაწერილი, როგორ უნდა აღზარდო ბავშვი, რომ ის იყოს ფსიქიურად მდგრადი. ამას ფროიდიც აღწერდა და ფროიდამდეც იყო ცნობილია. ჩემი სურვილი იყო, ნათლად მეჩვენებინა ის მექანიზმი, რაც მე მოვნახე, თვითგადარჩენის ინსტიქტის მოქმედების მექანიზმი, სტრუქტურა. რომელიც განვითარებას და ცვლილებას უნდა განიცდიდეს გარკვეული წესით საზოგადოების განვითარებასთან ერთად; მაგრამ ეს არ ემჩნევა დღევანდელ საზოგადოებას. უფრო სწორად მტკიცებულებები არ მეყო და ამოვდი იქ, რომ

# `qarTuli ocneba~ CemTvis, rogorc umravlesi qarTvelisaTvis, esaa gamTlianebuli, gaZlierebuli, demokratiuli qveynis aRmSenebloba



მტკიცებულებები რომ მიიღო, საზოგადოების ჯანმრთელობას ამ მხრივ უნდა ის, რასაც წერს ალან ფრომი (მე ამას ჩემს თავზე არ ვიბრალებ, და არანაირი პრეტენზია არ მაქვს), რასაც იზიარებს ძალიან ბევრი სპეციალისტი ამ დარგში, მაგრამ საოცრებაა, რომ ვერ ახერხებს დღევანდელი ცივილიზაცია ამ წესით ცხოვრებას. ფრომი ძალიან მარტივად წერს, რომ დედამ უნდა გაზარდოს შვილი 3-4 წლამდე, იდენტიფიკაციის პროცესი, ფსიქიური მშობიარობა უნდა მოხდეს ისეთივე ჯანსაღი, როგორც ბიოლოგიური მშობიარობა. რასაც ვერაფრით ვერ უბრუნდება დღევანდელი ცივილიზაცია; მე მინდოდა და სურვილი მაქვს დღესაც, ჩემი კვლევებით ჩავწერილიყავი ამ ხალხის სიაში და ამთთან ერთად მომეხერხებინა, დამერწმუნებინა თავდაპირველად განვითარებული სახელმწიფოების მთავრობები, რომ უნდა შეიცვალოს პრინციპულად ბავშვის აღზრდის მეთოდიკა. ასეთი სურვილი მქონდა და ალბათ მოვახერხებ.

რაც შეეხება მომავალ წარმატებას, პირველ რიგში, იგი დამოკიდებულია იმაზე, რომ სწორად შევარჩიოთ გუნდი, სწორად მოვიდეთ, სწორი კადრით მოვიდეთ. ამის შემდეგ ჩვენი დაპირებები შევასრულოთ; ცვლილებები რეალურად უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა გვქონდეს ხალხის გამოსადეგი კონსტიტუცია, რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო, დამოუკიდებელი მედია; და რაც მთავარია, უნდა იყოს ნება იმისა, რომ ჩინოვნიკი არ ჩაერიოს ბიზნესში. ეს იქნება ჩვენი პრიორიტეტი და აუცილებლად გავაკეთებთ, რასაც ვპირდებით ჩვენს საზოგადოებას.

**„მაესტრო“**

# vfiqrob, saakaSvilს biZina ivaniSvilis intervius Semdeg panikis Seteva daemarTeboda

პირველ რიგში მინდა ვთქვა რომ გულწრფელად გამაოცა ეკა ბერიძის ინტერვიუმ ბიძინა ივანიშვილთან. ეს ღრმა ფილოსოფიური საუბრისათვის ძალიან მოკლე ინტერვიუ იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიერ დასმული საკითხები ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია და ამაზე ყველა ჩვენგანი უნდა დაფიქრდეს. პირველად გავიგე ქართველი ბიზნესმენისაგან ასეთი საინტერესო მოსაზრებები „თვითგადარჩენის ინსტიქტზე“ და ყველაფერი ამის კავშირზე ფსიქოლოგიასთან და ბავშვთა აღზრდასთან. სხვათა შორის ამ საკითხს დღეს ბევრი ბიჰევიორისტი და სხვა მიმდინარეობის ფსიქოლოგი სწავლობს - კაპიტალიზმის და შიზოფრენიის ურთიერთმიმართებას - ანუ რამდენად კარგია ადამიანის (და კერძოდ ბავშვის) ფსიქიკისათვის მუდმივი საშიშროების (და კონკურენციის) პირობებში ყოფნა და მუდმივად თვითგადარჩენაზე ფიქრი. ბატონი ივანიშვილის რომ ამ საკითხის ძირები უნდა ვეძიოთ ნამდვილად საკითხის ძალიან ღრმად დასმის ტოლფასია, მითუმეტეს ადამიანისაგან, რომელმაც ლიბერალური ეკონომიკის წაყლობით ამხელა ფინანსურ წარმატებას მიაღწია. მე არ ვიცი ბიძინა ივანიშვილს რა აზრი აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამ საკითხის სიღრმისეულად დასმაც კი დღევანდელ დღეს ძალიან დიდი საქმეა. ბავშვების განათლება და მათთვის ნორმალური ფისქოლოგიური გარემოს შექმნა ყველაზე პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს - მითუმეტეს როდესაც მათ მუდმივად სახელმწიფო მედიიდან ძალადობით და სხვადასხვა სოციალური პერვერსიებით აშინებენ.

ბიძინა ივანიშვილმა თავის თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, რომლის მიზანიც ნამდვილად პოლიტიკაზე და რეიტინგის მიღწევაზე უფრო ფართე ჩანს. ყოველ შემთხვევაში მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. და ეჭვი მაქვს რომ ბატონ სააკაშვილსაც იგივე გრძნობა გაუჩნდა. სოციალური ქსელებში მისი ინტერნეტ-ზონდერები კარგად არიან ჩასაფრებულნი და მათი საგულდაგულოდ და წინასწარ მომზადებული პოსტებიც სრულიად უშინაარსო იყო. რა თქმა უნდა სააკაშვილის პროპაგანდისტებს არ ეყოთ ფანტაზია რომ ასეთ სიღრმისეულ საკითხებზე ემსჯელათ. ამისათვის, როგორც მინიმუმ ჟილ დელიოზის და ფელიქს გატარის „კაპიტალიზმი და შიზოფრენია“ უნდა გქონდეს წაკითხული - და სააკაშვილის პროპაგანდ-გუნდი ვულფოვიცის და უილიამ კრისტოლის ნაწერებზე შორს ვერ წასულა. ადამიანებს რომლებისთვისაც ჰაიაეკი და ფონ მიზესი ღმერთები არიან ვერასდროს გაიგებენ იმას რომ ნებისმიერ პიროვნებას უნდოდეს ბავშვების განათლებაზე და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა. მაგრამ მე ვფიქრობ ივანიშვილმა ძალიან საინტერესო დისკუსია დაიწყო - რამდენად არის "ბრძოლა გადარჩენისათვის" ბავშვების ფსიქიკისათვის კარგი და რამდენად უნდა ხელმძღვანელობდეს ჯანმრთელი საზოგადოება ამ პრინციპებით. კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც ირიბად დაიბადა ჩემს თავში ბატონი ივანიშვილის ინტერვიუს მოსმენისას არის ის, რომ საჭიროა დაიწყოს „ადამიანის ბუნების“ საკითხებზე ფართო დისკუსია ჩვენს საზოგადოებაში. ზედაპირული პოლიტიკური რეიტინგების თვლისა და დასავლური იდეოლოგიების (და ცხოვრების სტილის) მარტივად გადმომღერების მაგივრად საჭიროა შინაარსიანი და ღრმა მსჯელობა ამ საკითხებზე.



ამაზე გულწრფელად მინდა კომპლიმენტი ვუთხრა ბატონ ივანიშვილს. შეიძლება მისი მოსაზრება და დასკვნები ჩემი აზრებისგან სრულიად განსხვავებული იყოს - მაგრამ ამ საკითხების დასმა თავისთავად ძალიან ღირებულია მთელი საზოგადოებისათვის.

მე ასეთ სქემას დავხატავდი -

1. თვითგადარჩენა - ბურჟუა სამყაროს და ნეოლიბერალების „ღმერთი“ ამოსავალი წერტილი

2. სოციალური დარვინიზმი - როგორც „უძლიერესის გადარჩენა“- ნევროზების და დეპრესიების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი - ძალიან ცნობილი თეზა დღევანდელ ბიჰევიორიზმშიც და ფსიქოანალიზშიც

3. რუსთაველის - „რასაცა გასცემ..“ - როგორც სოციალური სოლიდარობის სისტენა - არა როგორც სოციალიზმი - არამედ როგორც ადამიანური თანაგრძნობის უნარი

4. ბარათაშვილის „სოფლის აზრი“ - იმის შეგრძნება რომ თუნდაც მთელი მსოფლიოს „ფლობა“ (რაც ბენდუქიძოიდი ნეოლიბერალების „წარმატების“ მთავარი პრინციპია) არანაირად არ განაპირობებს ადამიანის ბედნიერებას. ბედნიერი შეიძლება „წარუმატებელი“ ფიროსმანი უფრო იყოს, ვიდრე „წარმატებული“ კარნეგი.

5. განათლების სისტემაში დამკვიდრება სოლიდარობის და ჰუმანურობის პრინციპების - იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ მასიური ნევროზები და დეპრესიები.

და ასე შემდეგ.

ცხადია ეს ყველაფერი ძალიან მარტივი სულაც არ არის და ფსიქოლოგიასაც ბევრად მეტი პლასტი აქვს. თუმცა აქ ჩანს სოციალურ საკითხებზე ფიქრი - და რაც მთავარია განათლების სისტემაზე, რომელიც დღესდღეობით მთავარი პრობლემაა.

ამავე დროს რაც ძალიან მომეწონა იყო ის რომ ბიძინა ივანიშვილი არ აპელირებდა საქართველოში უკვე მოყირჭებულ „ლიბერალურ ავტორიტეტებს“ და მათ მაგივრად ქართველ პოეტებს და მწერლებს ესესხებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია აზროვნებაში ბიურგერული მატერიალიზმიდან ჰუმანიტარიზმისკენ დაბრუნება - და ეს ძალიან კარგია თუ ბიზნესმენები ჰუმანიზმის ღირებულებებზე დაიწყებენ აპელირებას, ნაცვლად ჯუნგლის კანონისა.



სწორედ ამიტომაც ვფიქრობ რომ სააკაშვილს, რომელიც ამ სიღრმეებს ვერ წვდება ამ გადაცემის შემდეგ უეჭველად მისთვის ჩვეული პანიკის შეტევა დაემართებოდა და მის დაცვას მოუხდებოდა დედამისის გამოძახება „მიშიკოსთვის“ ტანსაცმლის გამოსაცვლელად - და ძალიან უცნაურად დაემთხვა ამას ეროსი კიწმარიშვილის ასეთი ჟესტი. შესაძლებელია რომ ბატონი კიწმარიშვილი დამოუკიდებლად დაიზაფრა ამ დიალოგის დანახვაზე, რადგანაც ივანიშვილში დაინახა იმის საფრთხე რომ ის და ირაკლი ოქრუაშვილი უკვე ოპოზიციურ პოზიციებს დაკარგავდნენ - ანკი უბრალოდ მის ტელე-მენეჯერულ პროდუსერულ ნიჭს დაემუქრა საფრთხე ფსიქოლოგიის მცოდნე კონკურენტის გამოჩენით.

ამ ინტერვიუს მერე სრულებით არ მიკვირს ის, რაც მაესტროში ხდება და მინდა გავაფრთხილო ქართული საზოგადოება: სააკაშვილი და მისი რეჟიმი და მისი ზოგიერთი ეგრეთწოდებული ოპოზიციონერი ახლა იწყებს პანიკურ მოქმედებას, რომლისთვისაც საზოგადოება მზად უნდა იყოს.

# kiwmariSvili xelisuflebis dasayrdenia da mas davalebuli aqvs, rom `maestrom~ garkveuli droiT arseboba Sewyvitos

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ერთობა სამართლიანი სამართლიანობისათვის“ მდივანი დიმიტრი ლორთქიფანიძე:***

— ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს თავისი პრეისტორია აქვს. უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც ბატონი კიწმარიშვილი „მაესტროს“ მმართველად მოგვევლინა.

რეალურად, სწორედ ის განაგებდა ამ კომპანიის სარედაქციო პოლიტიკას. ფაქტობრივად, ერთმნიშვნელოვანად ერეოდა ჟურნალისტების საქმიანობაში. შექმნილი ვითარების ირგვლივ ჯერ კიდევ 9-10 დღის წინ გააკეთა განცხადება „მაესტროს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, იმ დროისთვის კომპანიის გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა. თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი არ აღმოჩნდა და თანამდებობის დატოვება მოუწია.

არ მიექცა ყურადღება ფაქტს, რომ კიწმარიშვილი განაგრძობდა სარედაქციო პოლიტიკის „კორექტირებას“ ხშირ შემთხვევაში ამ პოლიტიკაში იკვეთებოდა ხელისუფლების ინტერესები. ბოლოს და ბოლოს, კიწმარიშვილის ერთ პიროვნულ მმართველობას ამ არხზე დასასრული ხომ უნდა ჰქონდეს.

**— ანუ, ფაქტობრივად, „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ცალკეული პირების, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიწმარიშვილის ე.წ. ლუსტრაცია მოახდინა?-**

— დიახ, სწორედ ასე მოხდა. კიწმარიშვილი გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მედიასაშუალების ხელმძღვანელია, ე.წ. ოპოზიციური გაერთიანების „ქართული პარტიის“ გენმდივანიც გახლავთ. ამ პარტიის ირგვლივ კი ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სკანდალი მოხდა. ცხადია, საზოგადოება ამას იოლად არ მიივიწყებს.

დიახ.სწორედ „ქართულმა პარტიამ“ 26 მაისის მოვლენების დროს ითამაშა დესტრუქციული როლი, მან „წარმატებით“ შეასრულა ე.წ. ორთქლის გამოშვების ფუნქციაც იმ სახალხო პროცესების წარმართვის მომენტში, როდესაც 26 მაისამდე ერთი დღით ადრე, ავლაბრის მოედანზე დაანონსა ე.წ. მრისხანების დღე.

აი, მაშინ როცა, თითქოსდა, ირაკლი ოქრუაშვილიც უნდა ჩამობრძანებულიყო. საბოლოოდ, „ქართული პარტიის“ მოქმედებები საზოგადოების მხრიდან შეუფასებელი არ დარჩენილა და შესაბამისად, დღესდღეობით ეს პოლიტგაერთიანება სრული ბანკროტია.

**— ბატონო დიმიტრი, ანუ, გამორიცხავთ ამ მოვლენებში ახლადგამოჩენილი პოლიტმოთამაშის — ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს?**



— ეკა ბერიძის პირდაპირ ეთერს ბიძინა ივანიშვილთან, რა თქმა უნდა ,ხელისუფლების რიგებში საგანგაშო სიგნალი მოჰყვა. ეს რაც ღიად გამოჩნდა და ხელისუფლებისათვის ცივი შხაპის ეფექტი იქონია, დამატებით მიიღეს კულუარული ინფორმაციაც, რომ შესაძლოა, გარკვეული პროცესები დაწყებულიყო, რაც „მაესტროს“ დამოუკიდებელი სარედაქციო პილიტიკის წარმოების საშუალებას მისცემდა. შეგნებულად არ მინდა ვთქვა, რომ იქ წილების გადანაწილებაზეც იქნებოდა საუბარი და ტელეკომპანიის გამოსყიდვის პროცესი ბატონი ივანიშვილის ინიციატივით დაიწყებოდა.

**— რატომ არ გსურთ ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება?**

— რადგან, ვფიქრობ, ამ პროცესს შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს ადგილი, ანუ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვას ტელეკომპანიის შეძენაზე. თუმცა უარი არ თქვას მატერიალურ მხარდაჭერაზე მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მეცენატური თვალსაზრისით, რათა ქვეყანაში ერთი ტელეკომპანია მაინც დარჩეს ცენზურისა და კონინუქტურის გარეშე.

დღესდღეობით, დამოუკიდებელი ტელეკომპანიები, ფაქტობრივად, აღარ შეგვრჩა, მხოლოდ ცალკეული ინტერნეტტელევიზიები ასე თუ ისე ახერხებენ ობიექტურობის შენარჩუნებას.

ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის განზრახვა- დაიხსნას ტელეკომპანიები ხელისუფლების მარწუხებისგან შეუნიშნავი არ დარჩენიათ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სწორედ, სახელისუფლებო კულუარებში დაიგეგმა ეს პროვოკაცია და სწორედ ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა ეროსი კიწმარიშვილი ეფექტური იარაღი.

ბატონ ეროსის მცდელობა ჰქონდა პროცესებისთვის რამენაირად სამართლებრივი სახე მიეცა და ვითარება კარგა ხნის განმავლობაში უცვლელად დარჩენილიყო. დღემდე გამოკვეთილია ორი დაპირისპირებული მხარე: დამფუძნებელი-მამუკა ღლონტი და კომპანიის მმართველი - ბატონი კიწმარიშვილი. ამ უკანასკნელის მხრიდან, ისმის მუქარები, რომ ძალის გამოყენებით გამოიყვანენ მამუკა ღლონტს შენობიდან და აღდგება მაუწყებლობა, მეორე მხრივ პასუხგაუცემელია კითხვები გარემოების კვალდაკვალ: კერძოდ, როცა ბატონ კიწმარიშვილს ახლავს რამდენიმე ათეული პირი, რომლებიც ასევე უკანონოდ არიან შეჭრილი კომპანიაში...

ამ ვითარების აღსაკვეთად „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა **ილია კიკაბიძემ** გამოიძახა საპატრულო პოლიციის შემადგენლობა და მოხდა სრულიად გამაოგნებელი რამ: ეს პოლიცია აცხადებს, რომ მხარეებს შორის დგას, რათა მათ შორის კონფლიქტი არ მოხდეს. რა საინტერესოა, რომელ მხარეს მიეკუთვნება კიწმარიშვილთან არსებული რამდენიმე ათეული ზონდერჯგუფი, რომელთა მიმართ როგორც მინიმუმ, სამართლებრივი რეაგირება მაინც უნდა მოხდეს. ვიდეოკამერებით ხომ კარგად გამოჩნდა, რომ კიწმარიშვილთან ერთად ეს პირებიც გადაევლენ მესერს და „მაესტროს“ შენობაში აცოცდნენ. სხვათა შორის, ტელე-კომპანიის შენობა კიწმარიშვილის საკუთრება არ გახლავთ, თავისი მეპატრონეები ჰყავს-დამფუძნებელები სახით, შესაბამისად, ეს კომპანიაში შეჭრის ფაქტია და კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ, რამდენიმე კვალიფიკაციაზეც შეიძლება საუბარი. პოლიციელებიც უკანონოდ მოქმედებენ, კერძოდ, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის გადაჭარბებას.

**— თუმცა მეორე მხრივ, კიწმარიშვილმა წვლილი შეიტანა „რუსთავი-2“ შექმნაში, ანუ იმ ტელე-კომპანიის ფორმირებაში, რომელსაც იმხელა გავლენა ჰქონდა, რომ ქვეყანაში რევოლუცია მოახდინა, აქეთ გამომდინარე, „მაესტროს“ ჩამოყალიბებაზეც მისი წვლილი უდაო უნდა იყოს, ამ თვალსაზრსით, რამდენად შეიძლება, უფლება ჰქონოდა ამ ტელევიზიაზე, ანუ ამ ტელევიზიის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, ან თუნდაც ის 4 მლნ-ი, რაც მან კომპანიის განვითარებაში ჩადო არაფერზე მეტყველებს?**

— კი, „რუსთავი-2“ ჩამოყალიბებაში, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის განხორციელებასა და განვითარებაში მას უდაოდ ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, თუმცა იმაშიც მიუძღვის წვლილი, აი, იმ დემოკრატიული საფუძვლების საწყისით განვითარებული „რუსთავი-2“, როგორც ტელეკომპანია დღეს, რომ მონსტრად იქცა.

დიახ, გადაიქცა ხელისუფლების ოპერატიულ-ტექნიკურ განაყოფად,ის ხელისუფლების დანამატია, ანუ, ძალოვანი სტრუქტურების გაგრძელება გახლავთ. კიწმარიშვილის მოღვაწეობის ფინალში აი, ამგვარი ტელევიზია მივიღეთ.

თავადაც არ მალავდა, ღიად და საჯაროდ განაცხადა კიდეც: 2008 წლის 5 იანვარს, როცა მიხეილ სააკაშვილს განსაკუთრებით გაუჭირდა ლეგიტიმაცია მიეღო არჩევნებზე და კვლავ გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი, სწორედ მან, ეროსი კიწმარიშვილმა, საკუთარ თავზე აიღო პიარმენეჯმენტი დაკავშირებული სააკაშვილის გაპრეზიდენტებასთან და ამის შემდგომ უწოდეს „რუსთავი-2“-ს გამარჯვებული ხალხის ტელევიზია, ხოლო თავად ეროსი კიწმარიშვილი მოგვევლინა მთავარ გმირად იმ გაყალბებული და იმ დამახინჯებული საარჩევნო შედეგებისა, რამაც სრულიად არალეგიტიმურად, მაგრამ ფორმალურად ლეგიტიმურად მოუტანა შედეგები ბატონ პრეზიდენტ სააკაშვილს, ხოლო საპასუხოდ, და ჯილდოს სახით, კიწმარიშვილმა რუსეთის ფედერაციაში ელჩობა მიიღო, ასე რომ, სწორედ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენეტების შედეგად მიღებული დამსახურება გახდა მისი ელჩობის საფუძველი.

ელჩი, რომელმაც აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის წინაშე ღიად და დაუფარავად განაცხადა, საქართველოს ზრახვები... რომ, თითქოს, სააკაშვილს და მის გუნდს გადაწყვეტილი ჰქონდათ არა ცხინვალი აეღოთ და არა ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაემყარებინათ კონსტიტუციური წესრიგი, არამედ მთავარი მიზანი იყო, რომ აფხაზეთში შეჭრილიყვნენ. ეს, როგორც მინიმუმ უზნეობა იყო იმ პირის მხრიდან, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ რუსეთის ფედერაციაში ელჩის თანამდებობას იკავებდა , ხოლო მეორე მხრივ,გარდა უზნეობებისა, ნამდვილად იყო მკვეთრად გამოხატული სამშობლოს ღალატი.

ყოფილმა ელჩმა ფაქტობრივად დაასმინა საკუთარი ხელისუფლება იმ სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებების სერიის განხორციელებაში, რომელსაც თითქოს, საბოლოო შედეგად უნდა მოეტანა ჩვენი შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა. ანუ, კიწმარიშვილის ჩვენებამ ლეგიტიმური საფუძვლები მისცა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს, რომ ე.წ. ზემო აფხაზეთის, ანუ კოდორის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები განეხორციელებინათ და ოკუპაციის შედეგად დაეპყროთ ეს მხარე.

ვფიქრობ, კიწმარიშვილის ეს განცხადებები მთავარი პროკურატურის განხილვის თემა უნდა ყოფილიყო. შექმნილ ვითარებაზე საპარალამენტო კომისიამ ქალაქის მთავარ პროკურორს რეკომენდაციაც კი გაუგზავნა, თუმცა სამწუხაროდ, რეაგირება არ მოუხდენიათ. მეტიც, ამ მოვლენებიდან სულ ცოტა ხანში კიწმარიშვილმა ოპოზიციონერის მანტია მოირგო, ხოლო შემდგომ უკვე ახორციელებს მთელ რიგ უკანონო ქმედებებს ტელეკომპანია „მაესტროში“:ახორციელებს ფინანსირებას, ინვესტირებას, შემდგომ ეტაპზე ქმნის პოლიტგაერთიანება „ქართულ პარტიას“ ჯერ ერთი, განვიხილოთ რამდენად თავსებადია იყო ერთი მხრივ პოლიტგაერთიანების გენმდივანი, ხოლო მეორე მხრივ მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი?

იმ კომპანიის რომელიც ერთ-ერთი ობიექტური მაუწყებელია, შეიძლება ითქვას, რომ ლიდერია ლიდერთა შორის, ამგვარი ტელე-არხის შექმნაში კი, არა ვინმე კიწმარიშვილის, არამედ დამფუძნებელთა სისხლი და ოფლია ჩაქცეული. აი, ამ გარემოებების გათვალისწინებით,მამუკა ღლონტი პირდაპირ აცხადებს, ტელეკომპანიის აქციები შესაძლოა გასხვისდეს, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ გასხვისდება კომპანიის საკონტროლო პაკეტი, ასე რომ, დამფუძნებლები საკონტროლო პაკეტის გაყიდვას არ აპირებენ.

**— მაინც რამ გამოიწვია „მაესტროს“ გუნდში დაპირისპირება?**

—ეს პროცესი ინსპირირებულია ხელისუფლების მხრიდან, მათთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, რაც შეიძლება გაწელონ დროში, ან საერთოდ ხელი შეუშალონ ობიექტური პოლიტიკის ფორმირებას ამ არხზე და მის პოტენციურ ინვესტორს კომპანიაში თანხის ჩადების საშუალება არ მისცენ.

ხელისუფლების დასაყრდენია კიწმარიშვილი და მისი მისია მხოლოდ მაშინ ამოიწურება, როცა მიღწეული იქნება მთავარი შედეგი, ანუ, ტელე-კომპანია „,მაესტროს“ მაუწყებლობა გარკვეული დროით შეწყდება.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# facebook

# xalxis azriT

ეს კაცი, ორიანებს ვერ შეეშვა – ახლა “მაესტრო 2”–ს აკეთებს? მოკლედ ოჯახიდან რომ გავდივართ ერთმანეთს ვაფრთხილებთ:კარი შიგნიდან ჩაკეტე, ეროსი არ შემოძვრეს-თქო.

შიდა ქართლის სოფლებში მოსახლეობას ნებაყოფლობით უფორმებენ იარაღს და ასე ეუბნებიან რომ: შესაძლო ომის შემთხვევაში ეს იარაღი იქნება თქვენზე გაფორმებული და დაგირიგებთო, აი დღეს მაგალითად სოფელ სკრაში იყვნენ და მოსახლეობას შეხვდნენ, მოსახლეობიდან ვისაც სურვილი ქონდა მივიდა და ჩაეწერა, რაღაც პროვოკაციის მოხდენას აპირებენ ალბათ....... ვინც მივა თავისი სურვილით იმ ადამიანის სახელზე აფორმებენ ავტომატს, და ეუბნებიან რომ თუ რამეა და ომი დაიწყოვო ამ იარაღს მოგცემთ და სამშობლოს დაიცავო, ალბათ ამათ გონიათ რომ ომი ისევ დაიწყება.

ექსპერტი ლადო პაპავა - ,,თუ ძალიან გაუჭირდა, რუსეთთან ომს დაიწყებს... წავა, ამერიკაში გაიქცევა და პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებს, როგორც რუსეთისგან დევნილი პრეზიდენტი“ ...დასაფიქრებელია ხო იცით ისე....:|მაგ კაცისთვის ამგვარი ქმედება ყველაზე განაღდებული მომავლის შექმნაა,მაგი მემუარებს ვერ დაწერს მამობილის მსგავსად და იმას მაინც იტყვის, ზვიადივით დევნილი პრეზიდენტი ვარო...იმდენი არ აუდგა მაგას.... გვერდები.

მოკლედ აქ ივანიშვილის ინტერვიუს მერე ისეთი ისტერიკა დაიდგა, რომ გადავწყვიტე აუცილებლად მომესმინა. და მივხვდი, რაც მოხდა. რა სტანდარტს მიგვაჩვიეს ამ ბოლო წლებში: პოლიტიკოსმა უნდა ილაპარაკოს პრიმიტიული ტომის რიტუალური ბელადივით - აგრესიულად, მუქარის გამომხატველი ჟესტიკულაციით უნდა წარმოთქვას სრულიად სიურრეალისტური და აბსოლუტურად უაზრო ტექსტი! კულტურული შოკი მიიღეს ფრენდებმა, რიტუალური ბელადები ურჩევნიათ გულწრფელ, ღრმა და პატიოსან გამოსვლას.

ივანიშვილის ინტერვიუზე რეაქციები ფეისბუკში კიდევ უფრო ამყარებს აზრს, რომ განათლების სისტემას საქართველოში სერიოზული რეფორმა სჭირდება. ადამიანები, რომელთაგან ველოდი ივანიშვილის კონცეპტების ჯანსაღ კრიტიკას ან განხილვას თუ არა, პოლიტიკასთან დაკავშირებას მაინც, იმდენად გაუგებარ კომენტარებს წერენ რომ დასკვნა ერთია – განათლების დეფიციტი

“მაესტროს” თავზე, ეროსის დროშა ფრიალებს – “მაესტრო” თავისუფალია! გამარჯვებული ხელისუფლების ტელევიზია!!!! დროშას რა ახატია, კვერცხები?:

1 წელია არჩევნებამდე და რა გაიშიფრენ მამალი ბოზები?! ;)))))))) ცირკია. სწორი ფსიქოანალიზი ჩაუტარებია გუშინ ბიძოს. მიშამ გაუბერა ღამევე ზნაჩიტ. რამდენი დაუჯდა ნეტა ეროსის რეიდი?

ეროსი კიწმარიშვილი ისევ მიშას საქმეს აკეთებს... სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს დამფუძნებელთა კრება და მაგ ნაძირალას ჩამოერთვას კომპანიის მართვის უფლება... მსგავსი ნამუსგარეცხილი არსება არ არსებობს. კაცი რომ ვიყო, თავ-ყბას გავუერთიანებდი. ეგ ფულის მრუში, ეგა...

ნატოს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი გაუგონარ სიცრუეში ამხელს ხელისუფლებას და კერძო ტელევიზიებს და ამბობს, რომ 90% სულ ტყუილი იყო, რაც ტელევიზიებით გადაიცა... სამარცხვინო ხელისუფლება გვყავს..

ეროსა რაღაც სერიოზულს ჩალიჩობს. ეკონომიკის მინისტრობა უნდა მგონი

რა ხდებაო, რომ კითხულობთ,ის ხდება რაც უნდა მოხდეს,აბა რის ქართველები ვართ ,თუ რაღაც უცნაურობები არ ჩავიდინეთ,გაუხურდათ ბიჭებს ,,ბაშკები,,და აეჭრათ გონება,უბრალო ხალხი კი....




# მაესტრო ვაკხანალია

# kiwmariSvili-Rlontis teleduetma sruli fiasko ganicada






ღლონტ-კიწმარიშვილის დავისა და დამალობანას თამაშში 2 დღის განმავლობაში ,,მაესტროს“ ჟურნალისტები ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობდნენ. მეორე სართულზე გამაგრებულ ე.წ ,,ღლონტის სასტავს“ საჭმელიც არ ჰქონდათ და პირველ სართულზე დარჩენილი ჟურნალისტები თოკის საშუალებით უგზავნიდნენ. ამავე ფორმით ხდებოდა შენობის მეორე სართულზე ჩიპები, სადაც გადაღებული მასალა იყო ალბეჭდილი. ურთიერთობები შედარებით დათბა მეორე დილით. მაშინ,როცა კიწმარიშვილმა ღლონტთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა. ღლონტისგანაც თანხმობა მიიღო, თუმცა მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჯდებოდა თუ კიწმარიშვილი ტელევიზიას დაუბრუნებდა ე.წ. სტატუს სკვოს, ანუ პირვანდელ მდგომარეობას. თუმცა კიწმარშვილისგან არაერთგვაროვანი პასუხი მიიღო. ამის შემდეგ საქმეში ე.წ შუამავლები მედიატორები ჩაერთვნენ. დაძაბული მოლაპარაკებები პირველ-მეორე სართულებს შორის ექვსი საათი გრძელდებოდა, რომელიც ბევრისთვის მოულოდნელად უშედეგოდ დასრულდა. მძიმე საუბრის შემდეგ ,,მაესტროს“ უჟურნალისტებმა ტექნიკურ მხარესთან ერთად დაატოვეს ნუცუბიძის 93 ნომერი და გადაინაცვლეს რადოს შენობაში სადანაც მაუწყებლობა დღმდე მიმდინარეობს.

ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად მამუკა ღლონტმა კიწმარიშვილისგან მოსალოდნელი პროვოკაციის საფრთხე დაასახელა. “მაესტროს” გენერალური პროდიუსერი არ გამორიცხავდა, რომ ეს პროვოკაციები სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზრდილიყო. “გვქონდა მოლაპარაკებები, რომელიც ფიასკოთი დამთავრდა, მზად ვიყავით გარკვეულ დათმობებზე წავსულიყავით, მაგრამ ეროსი კიწმარიშვილმა მოინდომა–ან ყველაფერი ან არაფერი, რასაც ვეწინაღმდეგებით”,–აღნიშნა ღლონტმა. მისი თქმით, “მაესტრო” გააგრძელებს ფუნქციონირებას, ოღონდ სხვა შენობაში, ეროსი კიწმარიშვილთან დავა კი სამართლებრივ ჭრილში გადავა.

არხის მმართველი კომპანიიის ხელნღღვანელმა ეროსი კიწმარიშვილმა, თავის მხრივ, მამუკა ღლონტი ისტერიულ პროვოკაციაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, მან შენობიდან წაიყვანა “სრულიად დაბნეულ მდგომარეობაში მყოფი ჟურნალისტები” და გაიტაცა იმ ტელეკომპანიის აპარატურა, რომელშიც მას 4 ნახევარი მილიონი ლარი აქვს მოზიდული. კიწმარიშვილის რწმუნებით, მართვის კომპანია ჩვეულებრივად გააგრძელებს იმ საქმიანობას, რასაც 30 ნოემბრამდე აწარმოებდა. მისი მტკიცებით, მან ყველაფერი გააკეთა მოლაპარაკებების შედეგიანად დასრულებისთვის, თუმცა მოლაპარაკება არ შედგა. “მაესტროს” დამფუძნებლებმა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ აზროვნების უნარი დაკარგეს. მათ მართვის კომპანიის ჩანაცვლებისა და სხვა ფინანსების მოზიდვის ცდუნება გაუჩნდათ”, - განაცხადა კიწმარიშვილმა.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ,,მაესტროს“ გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან მიმდინარეობს, არხის პროდუსერი მამუკა ღლონტი კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, ტელეკომპანიის წილების გასხვისება და გაყიდვა განხილვასაც არ ექვემდებარება.

მთავარი მიზეზი კი, რის გამოც უთანხმოება არხის დამფუძნებლებსა და მმართველ კომპანიას შორის დაიწყო, ფინანსებია. მამუკა ღლონტის თქმით, ტელეკომპანიას ჰქონდა დავალიანება სატელიტთან, რის შესახებ არაერთხელ აცნობეს მართველი კომპანიის წარმომადგენელს, თუმცა უშედეგოდ. კიწმარიშვილს უნდოდა ჟურნალისტების განახევრება, ხელფასების შემცირება, რაც არ დავუშვით,–აღნიშნა ღლონტმა.

თუმცა ეროსი კიწმარიშვილი სხა ვერსიებზე საუბრობს. მისი თქმით, არხმა ობიექტურობა დაკარგა, არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები, ჟურნალისტებთან და ოპერატორებთან შედარებით დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელებს კოლოსალური ხელფასები ჰქონდათ, რამაც მაიძულა გადამედგა შესაბამისი ნაბიჯები–განაცხადა, ეროსი კიწმარიშვილმა. თუმცა რატომ დაამთხვია კიწმარიშვილმა ,,მაესტროში“ ვითარების გამოსწორება მაინცდამაინც ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ცხადია, აჩენს კითხვას: ხომ არ არის ეს ხელისუფლების დაკვეთა? მით უფრო მაშინ, როცა ჟურნალისტებმა ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე შავ ჯიპში შსს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილიც დააფიქსირეს. თუმცა ეროსი კიწმარიშვილი კითხვაზე– რატომ დაამთხვია მსგავსი ქმედება ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, ან მანამდე რატომ არ გაარკვია ,,მაესტროში“ეშექმნილი მდგომარეობა,ასე განმარტავს: ის რაც ,,მაესტროზე“ ხდება, საერთო არ აქვს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ეს არაა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული პროცესი. თუმცა ცხადია, ის, რაც აქ ხდება, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს,–აღნიშნა კიწმარიშვილმა. ,,ქართული პარტიის“ თავმჯდომარისგან განსხვავებით, პოლიტიკოსები, უფლებადამცველები და საზოგადოების წარმომადგენელი ტელეკომპანიაში შექმნილ მდგომარეობას პირდაპირ უკავშირებენ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. მათთვის მიუღებელია ეროსი კიწმარიშვილის ქმედება, მით უფრო მაშინ, როცა მან ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში ხელიეშეუშალა.

ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი– ეს არის პირდაპირი ტერორი თავისუფალ მედიაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ,,მაესტროზე“ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას. იმედი მაქვს, რომ საზოგადოება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერს გააკეთებს.

ვიქტორ დოლიძე, ,,თავისუფალი დემოკრატების წევრი“– დღეს ეროსი კიწმარიშვილი ხელისუფლების ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდა, რომელმაც გადაწყვიტა სწორედ ამ ფორმით მოაგვაროს პრობლემები. ის, რაც ,,მაესტროში“ ხდება, ყველანაირი შეფასების კრიტერიუმს სცილდება. ეროსი კიწმარიშვილი არის წმინდა წყლის პროვოკატორი და რასაც ის ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულია. ვიმედოვნებ, ხელისუფლება დაგეგმილს ვერ განახორციელებს და არხი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას.

ნინო ზურიაშვილი, სტუდია ,,მონიტორი“ – ის,რაც დღეს ტელეკომპანიის გარშემო ხდება და რასაც კიწმარიშვილი–ღლონტი ერთობლივად აკეთბენ ამით ჟურნალისტებს ხელს უშლიან პროფესიული საქმიანობის შესრულებაში.

დღეს ყველ თანხმდება, რაც ,,მაესტროს“ ირგლივ ხდება, პირველ რიგში, ჟურნალისტებს და არხის მაყურებლებს აზარალებს. თუმცა ამ ეტაპზე ტელეკომპანია მაუწყებლობას რადიო–ეთერიდან აგრძელებს. ეროსი კიწმარიშვილი კი ნუცუბიძის 93 ნომერში არხის შენობაშია გამაგრებული. ის ტელეკომპანიის ფუნქციონირების აღდგენას კვლავ აპირებს, როგორ და რა ფორმით–გაურკვეველია. მით უფრო მაშინ როცა ღლონტის განცხადებით, მაესრტოს მაუწყებლობის ლოცენზია მხოლოდ და მხოლოდ მათ ეკუთვნით. “ეთერში საიდანაც გვინდა, რომელი ოფისიდანაც, იქიდან გავალთ. ლიცენზიას სტუდია “მაესტროს” დამფუძნებლები ფლობენ. ასე რომ, მარეგულირებელი კომისიისთვის მიმართვით კიწმარიშვილი ვერაფერს მიაღწევს. მაშინ პირდაპირ სააკაშვილი უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ ხურავს “მაესტროს” – აღნიშნა მამუკა ღლონტმა.

**მირანდა ნაბახტეველი**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ucxoeli Jurnalistebi stumrad biZina ivaniSvilis cixesimagreSi

**პოლიტიკურ თამაშებში ახალჩართულმა ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა თავის ციხესიმაგრეში მიიწვია The Sunday Telegraph-ის რეპორტიორი და სხვა უცხოელი ჟურნალისტები, რათა მსოფლიოს თავი წარუდგინოს.**

ივანიშვილის მინისა და ფოლადის სახლი, რომელიც საქართველოს დედაქალაქს გადმოჰყურებს, ჰაი-ტეკის სტილის სასახლეს გაგონებთ და ხელოვნების ფასდაუდებელი ნამუშევრებით არის სავსე. მასპინძლის თქმით, იგი მზად არის, საკუთარი ქონება საქართველოს გადარჩენას შესწიროს.

ეს კომპლექსი, რომელიც 10 წელიწადი შენდებოდა და 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, იაპონელმა ფუტურისტმა არქიტექტორმა სინ ტაკამაცუმ დააპროექტა. სახლის სახურავზე ვერტმფრენის ასაფრენი მოედანია. 10 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე არსებობს მინის კოშკი, რომელშიც მრგვალი ფორმის აუზია. მის თავზე კი გიგანტური მბრუნავი ფოლადის ბურთია, რომელშიც განლაგებულია კაფე, ხოლო სახლის გარშემო გაშენებულ ბაღში მსოფლიოს ცნობილ ხელოვანთა სკულპტურებია. პერსონალი ელექტრული გოლფქარებით მოძრაობს, ხოლო დაცვის შავსამოსიანი თანამშრომლები ერთმანეთს რაციის მეშვეობით უკავშირდებიან.

ჰაი-ტეკის ინტერიერიც არანაკლებ უჩვეულოა. იქ ექსპონირებულია ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარის ღირებულებისაა. პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატასთან ერთად" (2006 წელს 95 მილიონ დოლარად ნაყიდი) ერთ-ერთ კედელზეა განთავსებული, ხოლო ეგონ შილეს 40-მილიონიანი ტილო მთავარ ოფისს ამშვენებს. საინტერესო დეტალი: ფულებზე მონადირე მთავრობას ზედმეტი ყურადღება რომ არ გამოეჩინა, ორიგინალები ლონდონშია გადანახული.

ამ მინის სასახლის კარი, რომელიც წლების განმავლობაში ჩარაზული იყო, ახლახან გაიხსნა გარე სამყაროს ცნობისმოყვარე თვალისთვის.

გაიცანით ბიძინა ივანიშვილი, ქართველი ბანკირი და ოლიგარქი, რომლის ქონება დაახლოებით 3,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის 185-ე ადგილზეა. დაოჯახებულია, ჰყავს ოთხი შვილი. 55 წლის მაგნატი აქამდე ძირითადად იმით იყო ცნობილი, რომ უჩინრად ცხოვრობდა — პრაქტიკულად არსად ჩნდებოდა, პრესას ერთადერთხელ მისცა ინტერვიუ და პრაქტიკულად მისი ფოტოც იშვიათობა იყო. იგი გამოცანა გახლდათ.

იგი 1956 წელს დაიბადა საქართველოში. მაღაროელის მშვიდად მოსაუბრე ვაჟმა საკუთარი აღმასვლა მოახერხა — დაიწყო ქარხნის დამლაგებლობით, საბოლოოდ კი, მეზობელ რუსეთში ფართო ბიზნეს-იმპერია შექმნა. დაახლოებით ორი თვის წინ ჩრდილიდან გამოვიდა, რათა პოლიტიკაში ჩაერთოს; თანაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში მთავარ თანამდებობას უმიზნებს.

ივანიშვილს შევხვდით მისსავე ოფისში, რომელსაც მისი საყვარელი ნამუშევრები, მათ შორის კლოდ მონეც ამშვენებს. მას აცვია ძვირფასი, მაგრამ სადა და ელეგანტური რუხი იტალიური კოსტიუმი, უკეთია საათი ღადო, უზადოდ არის დავარცხნილი, ლაპარაკობს აუღელვებლად, იმ ადამიანის თავდაჯერებით, ვინც მიჩვეულია, რომ დასახულს ყოველთვის აღწევს. ყოველნაირად ცდილობს აღნიშნოს, რომ განსაკუთრებით არ უყვარს პოლიტიკა, არც ხანგრძლივ დროზე გათვლილი პოლიტიკური ამბიციები გააჩნია, 55 წლის ასაკში ახალი კარიერის დაწყებას ერჩივნა, მეტიმეტად არასაჯარო ცხოვრება გაეგრძელებინა.

„ბოლო დრომდე ჩემი ცხოვრების წესი იყო განმარტოება, დახურულობა, პრაივასი", — ამბობს იგი. „არ მიყვარდა ოფიციალური შეხვედრები, რადგან იგი თავისუფლებას მართმევდა. მომწონდა დროის გატარება მეგობრებთან, სადაც ის ვიყავი, რაც სინამდვილეში ვარ და არ მჭირდებოდა ნიღბის მორგება".

თუმცა, მისივე თქმით, იგი თავს ვალდებულად მიიჩნევს, მიატოვოს თავისი კარჩაკეტილობა სამშობლოს გადასარჩენად, რომელსაც ქვეყნის ახლანდელი მთავრობა, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, დიქტატურის საფრთხით ემუქრება.

„უნდა ვაღიარო, რომ არჩევანიც კი არ მქონდა", — განაგრძობს იგი და მისი ხმა ენერგიული და ძლიერი ხდება. „ეს არჩევანი სამშობლოს ეხება".

„მათ ჩაკლეს დემოკრატია, ვერ იტანენ განსხვავებულ აზრს, აღარც მასმედია არსებობს. ეს არის შემდგარი ავტორიტარული



პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის გადაწყვეტილებამ მისი ბევრი კრიტიკოსი სახტად დატოვა. ისინი ივანიშვილს ბრალად სდებენ კრემლის მარიონეტობასა და ქვეყნის რუსული გავლენის ქვეშ დაბრუნების მცდელობას. მათი არგუმენტები ასეთია: „მისი ქონება რუსეთშია და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოსკოვს მასზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები გააჩნია..."

ეს სიმართლეა — ბატონი ივანიშვილი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. რუსული პასპორტის მფლობელმა (მას საფრანგეთის მოქალაქეობაც გააჩნია და ბოლო დრომდე ქართული პასპორტიც ჰქონდა) ქონება 90-იანი წლების რუსეთში დააგროვა. კომპიუტერების რეალიზაციის შემდეგ საბანკო სექტორსა და მეტალურგიაზე გადაერთო. მუშაობა უწევდა



მთავრობა და იმის ნიშნებიც არსებობს, რომ იგი დიქტატურაში გადაიზარდოს".

ივანიშვილი დარწმუნებულია: თუკი გენერალური გეგმის განხორციელება მოხერხდება, ის და მისი მომხრეები იოლად მოიგებენ საპარლამენტო არჩევნებს და იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდება, ანუ დაიკავებს იმ თანამდებობას, რომელიც სავარაუდოდ უფრო დიდ ძალაუფლებით იქნება აღჭურვილი, ვიდრე პრეზიდენტი.

„ორი წელიწადი პრემიერ-მინისტრად ვიმუშავებდი, შემდეგ კი საზოგადოებრივი მუშაობით დავკავდები", — განმარტავს იგი მსუბუქი რუსული აქცენტით.

„არასოდეს მიყვარდა პოლიტიკა; მაგრამ ახლა ერთადერთი ვარ, ვისაც ხალხი ენდობა".

სასტიკ და ხანდახან არაკანონიერ ველზე და მისი კრიტიკოსების მტკიცებით, წინსვლისთვის აუცილებლად სჭირდებოდა პოლიტიკურ საქმოსნებთან მჭიდრო ურთიერთობა.

ბატონ ივანიშვილს კვლავინდებურად გააჩნია აქტივები რუსეთში, მათ შორისაა უძრავი ქონების იმპერია, ქიმიური ქარხნები, აგრეთვე რუსეთის ენერგეტიკული გიგანტის — Ãàçï ðîì -ის აქციები.

აღიარებს, რომ იცნობდა პოსტსაბჭოური პერიოდის რუსეთის პირველ პრეზიდენტ ბორის ელცინს, მაგრამ დაბეჯითებით ამბობს, რომ არასოდეს შეხვედრია პუტინს და არც კრემლის მარიონეტია. მან განაცხადა რუსული აქტივების გაყიდვის შესახებ და არ აპირებს ნათქვამის უკან წაღებას, რათა დაამტკიცოს მსგავსი ბრალდებების უსაფუძვლობა.

„ხელისუფლებას ჩემ წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ გააჩნია და ამიტომაც ცდილობს, ისეთ ადამიანად წარმომაჩინოს, რომელიც რუსეთის სახელით მოქმედებს. ყოველთვის სინდიდის კარნახით ვცხოვრობდი, ჩემი წარსული სუფთაა. რუსეთში უკვე ცხრა წელია არ ვყოფილვარ და იმ ხალხმა, ვინც მე მიცნობს, იცის, რომ არ განვეკუთვნები იმ ადამიანებს, ვისზეც ზემოქმედებას მოახდენ, რომ ვინმეს პაიკის როლი შეასრულოს".

იგი არაორაზროვნად ლაპარაკობს ბატონ პუტინზე წარსულში და აცხადებს, რომ „რუსეთი არადემოკრატიული სახელმწიფოს უარესი მაგალითი არ არის", რომ რუს ხალხს უყვარს ბატონი პუტინი და ის „მათი არჩევანია". 2008 წელს საქართველომ წააგო რუსეთთან ხუთდღიანი ომი, დაკარგა თავისი ტერიტორიის ოცი პროცენტი და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაიყინა. თუმცა ბატონი ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მას ძალუძს ამ ურთიერთობების აღდგენა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება...

მას შემდეგ, რაც ბატონმა ივანიშვილმა საჯარო განცხადება გააკეთა პოლიტიკაში ჩართვის შესახებ, მას ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, მთავრობის მიერ კონტროლირებადმა მედიასაშუალებებმა დაიწყეს მისი ლანძღვა, გაიტაცეს მისი ბანკის საინკასაციო მანქანა, რომლითაც მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაჰქონდათ, ხოლო მისი პოლიტიკური შტაბბინა ფაქტობრივად წაართვეს.

ბატონი ივანიშვილი, რომელიც სულ მალე დააფუძნებს თავის პოლიტიკურ მოძრაობას „ქართული ოცნება", იმით არის დაკავებული, რომ ცდილობს შექმნას ალიანსი საქართველოს წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და იმაზეც თანახმაა, რომ მათ დასაფინანსებლად საკუთარი უძირო ჯიბეც არ დაზოგოს.

როგორც თვითონ ამბობს, ახლანდელი ხელისუფლების დამარცხების რწმენას ის აძლევს, რომ მას ჩვეულებრივ ქართველებში შეუბღალავი — ფილანტროპის იმიჯი გააჩნია. მან დააფინანსა თბილისის უდიდესი ტაძრის მშენებლობა, გულუხვად უხდიდა „ხელფასებს" ასეულობით, შესაძლოა ათასეულობით ადამიანს, მსახიობებით დაწყებული და ბალერინებით დამთავრებული და აცხადებს, რომ ქველმოქმედებაზე თვეში საშუალოდ ათ მილიონ დოლარს ხარჯავს.

მისი მშობლიური სოფლის მოსახლეობა ყოველთვიურად იღებს 80 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფულად საჩუქარს, ხოლო თუ ვინმე დაოჯახებას გადაწყვეტს, ივანიშვილი უძღვნის საქორწინო საჩუქარს — 1200 გირვანქა სტერლინგს და ქორწილის მთლიან ხარჯებს. გარდა ამისა, მათ უფასოდ ურემონტებენ სახლებს, ახლებსაც კი უშენებენ, რომელიც საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ავეჯით არის გაწყობილი.

ივანიშვილის თქმით, საუკეთესო, რაც მას ქონებამ მისცა, ის არის, რომ იგი თავისუფალი და დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან, რომელიც ასე სძაგს და რომელსაც ასე ეშინია მისი.

„რას ნიშნავს ფუფუნებით ცხოვრება? მე მაქვს სახლი, ვილა ჩემს სოფელში, ვილა ზღვის სანაპიროზე და ეს ადგილი. ყოველდღე ვვარჯიშობ იოგაში, დღეში ერთხელ ვჭამ, ცოტა ხილსაც გეახლებით და ერთ ბოკალ ღვინოს ვსვამ. თვეში ერთხელ ვიკრიბებით ახლო მეგობრები... თუმცა მეც და ჩემს მეუღლესაც არ მოგვწონს თვალშისაცემი ფუფუნება".

ამბობს, რომ ეს ციხესიმაგრე იმიტომ ააშენა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მოსწონდა მის სიახლოვეს გაშენებული ბოტანიკური ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო დონის ხელოვნების ნიმუშები გააჩნია, ამბობს, რომ „ხელოვნების დიდად მოყვარული არ არის". იგი თითქოს აგროვებს კოლექციას გუგენჰაიმის მსგავსი მუზეუმისთვის, რომლის გახსნასაც საქართველოში გეგმავს.

დღესდღეობით, მისი მოტივაციაა არა ფული, არამედ როგორც თვითონ ამბობს, ბრძოლა გაღარიბებული საქართველოს უკეთესობისკენ შესაცვლელად.

„ჩემი ფული იმას ნიშნავს, რომ მე ერთადერთი თავისუფალი ადამიანი ვარ მათ შორის, ვინც აქ ცხოვრობს. მათ არ შეუძლიათ ჩემი კონტროლი. შემიძლია არ ვიყო პოლიტიკოსი, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძოლებ იმისთვის, რისიც მწამს".

**inosmi.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ.**

## მოგზაურობა სამშობლოში







# kvali waruxoceli

## ᲙᲐᲕᲗᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ





**მაღალაანის მონასტრის ხედები და სამკაულები. დიდი კოშკი.**

### ᲗᲔᲚᲐᲗᲒᲝᲠᲘ

ნიჩბისის შემდეგ არცთუ ისე შორს გზა სამად იტოტება: ერთი თელათგორისკენ მიდის, მეორე – წინარეხისა და ქვათახევისკენ, მესამე – კავთისხევისა და კასპისკენ. მკითხველი თავდაპირველად თელათგორისკენ უნდა გავიყოლო.

რაც აქაურებს დავუნათესავდი, ვინ მოთვლის რამდენჯერ ამივლია ამ გზაზე. მის დასაწყისში არქეოლოგებმა ანტიკური ნაქალაქარის კვალიც კი აღმოაჩინეს (ძვ.წ.-ის III ს – ახ.წ.-ის III ს), მაგრამ მერე ცხოვრება ძალიან დიდი ხნით, მგონი, XVII საუკუნემდე ჩამკვდარა. ეს არცაა გასაკვირი. აქაურობა ხომ მუდმივ ბრძოლის ველს წარმოადგენდა (ბოლოს ამ მიდამოებში 1728 წელს ქართველთა ლაშქარმა ლეკები და ოსმალები დაამარცხა). ასეთი დასკვნის საფუძველს მაძლევს სოფელში მდგარი წმინდა გიორგისა და წმინდა თევდორეს ერთმანეთზე მიდგმული და ერთ ჭერქვეშ მოქცეული ის ორი საყდარი, რომელიც სწორედ ამ პერიოდისა უნდა იყოს. უფრო ძველ სოფელს ეკლესიაც უფრო ძველი ექნებოდა, ამაზე უხნესი ტაძრის კვალი კი უშუალოდ თელათგორში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ამჟამად სოფელში 250 კომლია: **ქვლივიძეები, ლავრელაშვილები, დაბრუნდაშვილები, ნადირაშვილები, მღებრიშვილები, ორბელიძეები, ჭინჭარაულები, მუსხელიძეები და მუხიგულაშვილები.** ამათგან ყველაზე დიდი გვარია მუხიგულაშვილი (იგივე მუხიგული), რომელიც ადრე ჟუჟუნაძე ყოფილა და მუსხელიძესთან ერთად ურავლის ხეობის სოფელ მუსხიდან (ახალციხის რ-ნი) ჩამოსახლებულა. უფალმა აცხონოთ ორთავ შინა ცხოვრებას, ამ გვარის წარმომადგენლები ხანდაზმულობით ყველასგან გამოირჩევიან. ასევე მოსულები უნდა იყვნენ მღებრიშვილები (კახეთიდან) და ჭინჭარაულები (ხევსურეთიდან). დაბრუნდაშვილები ადრე მორჩილაძეები ყოფილან, აქედან წასულან და, როგორც ახლანდელი გვარი გვეუბნება, უკანვე დაბრუნებულან. ქვლივიძეები და ორბელიძეები, ქართლის აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ. ნადირაშვილების გვარი თელათგორის ზედა უბნის დასახლებიდან–ნადირთ უბნიდან მომდინარეობს. ძალიან საინტერესოა ლავრელაშვილების წარმომავლობა. თელათგორს სამხრეთით, დაახლოებით 2-3 კილომეტრში არის მცირე სოფელი ლავრისხევი, რომელსაც ამავე სახელწოდების ხევი ჩამოუდის. სოფლის, ხევის და გვარის ფუძე მომდინარეობს შორიახლოს, ტყეში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ლავრიდან, რომელიც X საუკუნით თარიღდება. სწორედ ეკლესიის ასეთი დათარიღება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ლავრისხევი ძალიან ძველ დასახლებად მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ თელათგორიც ძირითადად, ამ სოფლის ნამატი მოსახლეობით გაცოცხლდა. ლავრისხევი სამონასტრო სოფელი, ხოლო ლავრელაშვილები, შეიძლება, საეკლესიო ყმები იყვნენ.

### ᲚᲐᲕᲠᲐ

ლავრის ხევს აღმართ და აღმართ გაჭირვებით მივუყვებით. მოკლე გზა ისეთი იწროშია, „ნივამ“ ლამის კლდეს გაუსვას გვერდები. 1,5 კილომეტრში ტყიანი ბორცვიდან ეკლესიის გუმბათი გამოგვეხმაურა. მოვსულვართ!... ეკლესიის გალავნიდან მცირე ნაშთებიღაა შემორჩენილი. ეზოს ერთ კუთხეში, ხის ძირში, სატრაპეზო ინვენტარია მიწყობილი – როგორც ჩანს, აქ მარტოოდენ საეკლესიო დღესასწაულზე არ ამოდიან. ლავრა ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც უმოძღვროდ ყოფილა: „წინარეხს აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს მონასტერი ლავრა, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ უქმად“. მიუხედავად ამისა, თავად ტაძარი ჯერჯერობით მხნედ გამოიყურება, რადგან XIX საუკუნეში შეუკეთებიათ. ამავე პერიოდშია იგი შიგნიდან გალესილი და მოხატულიც. ამჟამად ეს თეთრი ნალესობა და არაკანონიკური მხატვრობა უმეტესწილად ჩამოცვენილია, ხოლო ხის იატაკი და კანკელი–დაზიანებული.

ლავრა X საუკუნის I ნახევრის ძეგლია. იგი მცირე ზომის, კვადრატთან მიახლოებულ მოცემულობაში ჩამჯდარი (9,5X9მ) თავისუფალი ტიპის ჯვარგუმბათოვანი ტაძარია, ნაგებია ქვიშაქვის, ბაზალტისა და ტუფის ნატეხი ქვით, თუმცა კონსტრუქციულ ნაწილებში თლილი კვადრებია გამოყენებული. რვაწახნაგა გუმბათის ყელი არა აფრებით, არამედ ტრომპებით არის ასული მკლავთა თაღებით შექმნილი არასწორი კვადრატიდან. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს – დასავლეთისა და ჩრდილოეთის მკლავებიდან.

### ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲮᲘ

ლავრის ხევით უკან ვეშვებით და მერე, თელათგორის გავლით, ხეობის ძირითადი მდინარის – კავთურის პარალელურად მიმავალ გზას მივუყვებით. სოფელ წინარეხში შევდივართ. მისი სახელწოდება ძირძველი ქართულიდან ასე „ითარგმნება“: წინა დაბა-სადგომი. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენში არსებობს ასეთი სოფლებიც – რეხა (წალკის რ-ნი), ქვემო რეხა და ზემო რეხა (გორის რ-ნი), გუდარეხი (თეთრიწყაროს რ-ნი) და სხვა. აღსანიშნავია, რომ ძველად ბუნებრივ თუ ხელოვნურ გამოქვაბულსაც არა მარტო ქვაბი, არამედ პარეხიც ერქვა. აქ სხვა მაგალითების ჩამოთვლაც შეიძლება.

წინარეხი რომ ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, ეკლესიათა სიძველითა და სიმრავლითაც დგინდება. ყველაზე ძველი საყდარი „წმ. თედორე“, რომელიც სოფლის ჩრდილოეთ უბანში, შემაღლებულ ადგილზეა წამომართული, VII-VIII საუკუნეებისაა. სულ სოფელში 9 ეკლესიაა. მათ შორისაა ქვათახევისა და მაღალაანის ცნობილი ხუროთმოძღვრული კომპლექსები, მიუვალი „თავკავთა“, ბოტისის „ღვთისმშობელი“, „ელია“, საკურთხისის „მაცხოვარი“, „ჯვარიპატიოსანი“, ზევით ნახსენები „წმ. თევდორე“ და განახლებული „ღვთისმშობელი“, რომელიც დასახლების ცენტრში, კუჭუჭიანთ უბანშია. ეკლესია გალავანშია მოქცეული და დასავლეთიდან მიდგმული აქვს კოშკი, რომელსაც საქალებოს ფუნქცია შეუძენია – იგი ეკლესიასთან ერთად ერთიანი სახურავით არის გადაფარული. კლდის ფლეთილი ქვით ნაგები საყდარის აღმოსავლეთ ფასადზე წერია: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმინდისა სიონისა ღმრთისმშობელისაითა, ღირს ვიქმენ მე ცოდვილი თბილელ მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ფავნელიშვილი აშენებად წმინდისაი ამის ეკლესიისა სალოცველად და სადიდებლად მეფეთ მეფისა სვიმონისათვის და საცხონებლად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის. 1588 წელი“.**

მეორე წარწერაში იხსენიება კიდევ ერთი **თბილელი ეპისკოპოსი იესე,** რომელსაც ეს ტაძარიც მოუხატვინებია და პარალელურად წმ. სტეფანეს სახელობის სხვა საყდარიც აუგია XVII საუკუნეში.

### ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲐᲜᲘ

სოფელ წინარეხში, რომელიც დაახლოებით, 270 კომლს ითვლის, 11 გვარის ხალხი ცხოვრობს: მჭედლიშვილები, ქეშელაშვილები, ხმალაძეები, დონაძეები, ბერბიჭაშვილები, კუჭუჭიშვილები, ქავთარაძეები, შარმანაშვილები, ბედოიძეები, ახვლედიანები და მარჯანიძეები.

მათ შორის აღარ არიან წარჩინებული მაღალაძეები, ანუ იგივე მაღალაშვილები. წინარეხში არსებული მათი სასახლე, 1764 წლის აღწერის წიგნის თანახმად, ამ დროისთვის უკვე დამწვარი ყოფილა. იოანე ბატონიშვილის საისტორიო თხზულების მიხედვით, იმერეთიდან 1415 წელს გადმოსული მაღალაძეები ალექსანდრე დიდს მეტეხში დაუსახლებია და აზნაურობა უბოძებია. მაღალაძეებს თავიანთი მამულების ერთი ნაწილი მცხეთის ეკლესიისთვის შეუწირავთ და საკათალიკოსო აზნაურებიც გამხდარან. წარჩინებული გვარი მოგვიანებით წინარეხში დასახლებულა და დიდი საქმეები უკეთებია. მაღალაძეები განსაკუთრებით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწინაურდნენ. ნიკოლოზ მაღალაძე სვეტიცხოვლის ქადაგი ხდება, მისი შვილი პაპუა – სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი, ხოლო შვილიშვილი ნიკოლოზი – ისევ სვეტიცხოვლის ქადაგი (მისი სახელი სვეტიცხოვლის საკურთხევლის სარკმლის ქვეშ წერია). ამ უკანასკნელს 1704 წელს სასხორში, ნიჩბისთან ახლოს, გარდაცვლილი დის ხვარაშანის სულის სახსენებლად, მთავარანგელოზის ეკლესია აუგია და მოუხატვინებია (ეს ეკლესია დღემდეა შემორჩენილი, თუმცა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია). მაღალაძეთა მთავარი ყურადღება წინარეხზეა გადატანილი, სადაც სასახლეებსა და კოშკებს აგებენ. „მაღალაანთ კომპლექსი“ წინარეხიდან ქვათახევში მიმავალი გზის შუა მონაკვეთშია. აქ, ეკლესიასთან ერთად, ვხვდებით პაპუა მაღალაძის მიერ აგებულ სამრეკლოს, საძვალეს (ეკლესიის ეზოში), ზემო კოშკსა და აფთიაქს (გზის მეორე მხარეს), სოლომონ მაღალაძის აგებულ კიდევ ერთ სამრეკლოს და სხვ. ბევრი რამ აქვს გაკეთებული ნიკოლოზ II მაღალაძეს. სწორედ ამ გვარს უნდა ვუმადლოდეთ აქ მდგარი XII საუკუნის „ბეთლემის ღვთისმშობლის“ გადარჩენას. ეს მოზრდილი დარბაზული ეკლესია (12,2X10,6 მ), თავისი სამხრეთის ეკვდერით, განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოს უბრწყინვალეს დარბაზულ საყდართა შორისაა ოქროსფერი, აქა-იქ ზურმუხტისფერი ქვიშაქვის სუფთად გათლილი პერანგი სამკაულთა კასკადით გამოირჩევა. ქვათახევისკენ მიმავალი მგზავრი: ტურისტი თუ მომლოცველი, აქ თუ არ შეჩერდა, ბევრს წააგებს, რადგან თამარის ეპოქის ეს ძეგლი ერთ-ერთი უიშვიათესი ხუროთმოძღვრული ნიმუშია. წარმოიდგინეთ, რომ იგი არაფრით უდებს ტოლს ქვათახევს.

**ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ავტორის ფოტოები**

**წინარეხის ღვთისმშობელი და ლავრის ტაძარი.**





# xelisuflebis piar-aqcia _ biujetis `gamWirvaloba~

რომელ უწყებებს ექნებათ ყველაზე დიდი დაფინანსება 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით; პროგრამული ბიუჯეტი – მითი თუ რეალობა; ქამრების შემოჭერის თუ შემოხსნის პოლიტიკა; რა ხდება რეალურად – იზრდება თუ კლებულობს შემოსავლები და რამდენ მილიონ ლარს მიაღწევს 2012 წლის ბიუჯეტში საგარეო და საშინაო ვალზე გადასახდელი თანხა ამ თემებზე „თავისუფალი დემოკრატების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა დავით ონოფრიშვილმა შეხვედრა გამართა.



### პრივილეგირებული უწყებები

ისევე, როგორც 2011 წელს, მომავალი წლის პრიორიტეტების ჩამონათვალი ანალოგიურია. ყველაზე დიდი დაფინანსება 2012 წლისთვის შემდეგმა უწყებებმა მოიპოვეს: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 1,7 მილიარდი ლარი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 920, 3 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტრო – 675 მილიონი ლარი; საგარეო და საშინაო ვალების მომსახურეობა – 585 მილიონი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტრო – 584 მილიონი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 580 მილიონი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 100 მლნ. სახელისუფლებო წრეები დიდი ხანია მოსახლეობას პროგრამულ ბიუჯეტს პირდებიან, სადაც წესით გაწერილი უნდა იყოს, თუ რაში იხარჯება თითოეული თეთრი, თუმცა მიუხედავად სათაურისა, რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული გვაქვს.

### 2012 წლის ბიუჯეტის „პროგრამული“ და „გამჭვირვალე“ მხარეები

განსაკუთრებულ შეშფოთებას მთავრობის მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის ასიგნებების დამტკიცება იწვევს, სადაც ყველა სამინისტროსა თუ უწყების ხარჯები მხოლოდ ხელფასის ნაწილშია გაშიფრული და მითითებული არ არის, თუ რა ხარჯი გაიწევა „საქონელისა და მომსახურების“ კატეგორიაში, სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში. დაახლოებით, 200-300 მილიონი ბიუჯეტში ისეა ჩადებული, კაცი ვერ გაიგებს რაში იხარჯება იგი. რაც შეეხება პროგრამულ ბიუჯეტს, ეს სრული აბსურდია. ბიუჯეტში პროგრამები არ ჩანს, არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. რეალურად, 2012 წლის ბიუჯეტი, მისი წინამორბედების მსგავსად, პროგრამული ბიუჯეტის იმიტაციაა და სხვა არაფერი. საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად „პროგრამული ბიუჯეტი მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასებების ინდიკატორთა ერთობლიობაა“, ანუ პროგრამას მიზანი უნდა ჰქონდეს, რომელიც მაჩვენებლებში უნდა იყოს გამოხატული იმიტომ, რომ პროგრამული ბიუჯეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებაზეა ორიენტირებული, რაც ბიუჯეტის ეფექტიანობის გაზომვის შესაძლებლობას გულისხმობს. მიზნები მითითებულია, თუმცა, იგი იმდენად ზოგადია, რომ მათი შესრულებისთვის საჭირო ხარჯების ეკონომიკურად დასაბუთება და კონკრეტულ ინდიკატორებში გამოხატვა შეუძლებელია. 2012 წლის ბიუჯეტში ძალიან ბევრია ისეთი ზოგადი მუხლი, რომელიც კლასიფიკაციას არ ექვემდებარება და მისი ფუნქციონალური გამიჯვნა შეუძლებელია. ბიუჯეტის არაპროგრამულობაზე კიდევ ერთი ფაქტი მიუთითებს, რომელიც მრავალი წელია კამათის საგანია. ეს არის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მუხლი – „სხვა ხარჯები“. საინტერესოა ერთი გარემოება – პარლამენტის მიერ პროექტის პირველი განხილვის შემდეგ „სხვა ხარჯების“ მაჩვენებელი გაიზარდა და თუკი ცვლილებების შეტანამდე იგი 836 482, 4 მილიონი ლარი იყო, შესწორებულ ვარიანტში ეს ციფრი 974 მილიონ ლარამდე ანუ 12,8 პროცენტიდან 16 პროცენტამდე გაიზარდა.

ასე, რომ ახალი ბიუჯეტი არათუ ზოგადად ვერ აკმაყოფილებს პროგრამულობის მოთხოვნას, არამედ წინა წლებთან შედარებით ყველაზე გაუმჭვირვალეა.

### შემოსულობები „აყვავებული ეკონომიკის“ პირობებში მცირდება

მართალია ბიუჯეტი პროექტის შესაბამისად იზრდება, მაგრამ სამწუხაროდ მცირდება შემოსულობები, ანუ ყველა ის შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო სხვადასხვა წყაროებიდან მიიღებს. ეს შემცირება 687.2 მილიონი ლარია. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა გრანტებსა და სხვა მიზნობრივ დახმარებებს შემცირებული ოდენობით მიიღებს. მაგალითად, გრანტების მოცულობა 354.6 მილიონი ლარიდან 206 მილიონ ლარამდე მცირდება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიუჯეტის ზრდა განპირობებული იქნება საგადასახადო შემოსავლების 450 მილიონიანი ზრდით.

### „ქამრების შემოჭერის“ თუ „უქამრო“ პოლიტიკა

მიუხედავად „ნაც. მოძრაობის“ გაპიარებული პოლიტიკისა, თითქოს მმართველობითი ხარჯები მცირდება და ანხორციელებენ ე.წ. „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკას, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საპირისპიროს ამტკიცებს. მაგალითად, თუ 2011 წელს მმართველობითი ხარჯები 1.085 მილიარდ ლარს შეადგენდა, 2012 წელს იგი იზრდება 47.9 მილიონი ლარით და 1.128 მილიარდი ლარი იქნება. 2012 წელს ბიუჯეტის პროექტი მაშინ, როცა საშუალო ხელფასი ქვეყანაში 560 ლარია, სახელმწიფო მოხელეთა საშუალო ხელფასი 944 ლარი იქნება. მაშასადამე, „ნაც. მოძრაობამ“ არათუ შემოიჭირა ქამრები, არამედ თავის მოხელეებს ქამრები მოუხსნა. ნორმალურ ქვეყნებში კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანთა საშუალო ხელფასის ამგვარი სხვაობა არანორმალურია. ჩვენი ქვეყნის პირობებში კი სავსებით ნათელია, რომ ხელისუფლება საარჩევნოდ საჯარო მოხელეთა მოსყიდვას ცდილობს.

### შემოსავლების დეკლარირებული ზრდა ინფლაციის გავლენით ფიქციაა

ბიუჯეტის პროექტით, ერთი შეხედვით, შემოსავლები 4,7 პროცენტით იზრდება, მაგრამ ამავდროულად მიზნობრივი 6 პროცენტიანი ინფლაციის გათვალისწინებით რეალური ზრდის ნაცვლად 1,3 პროცენტით შემცირებას მივიღებთ. ეს ნიშნავს, რომ დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი არათუ გაუმჯობესდება, არამედ გაუარესდება კიდეც. უფრო საგრძნობი იქნება გაუარესება წვრილი და საშუალო ბიზნესისთვის, რადგანაც მათი საგადასახადო შემოსავლები ისედაც მხოლოდ 15 პროცენტია. ასევე საგულისხმოა, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდაც კი 6 პროცენტიანი მიზნობრივი ინფლაციის პირობებში მხოლოდ 1,9 პროცენტი იქნება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მხოლოდ „ნაც. მოძრაობის“ მიერ აუღიარებულ ფაქტს, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის შესახებ.

### „ნაც. მოძრაობის“ ნაჭამი გრანტები შთამომავლობის კბილების წინააღმდეგ

„ნაც. მოძრაობა“ ჩვეული მეთოდებით აპიარებს ინფრასტრუქტურის და სხვა მშენებლობების გრანდიოზულობას, მაგრამ მალავს იმას, რომ ეს, ძირითადად საგარეო ვალების ხარჯზეა მიღწეული. მაგალითად, 2011 წელს საგარეო ვალების მოცულობამ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში პიკს მიაღწია და 41 პროცენტს გაუტოლდა. აბსოლუტურ მოცულობაში იგი თითქმის 10 მილიარდია. აქედან, საგარეო ვალი 5 მილიარდი დოლარია. თუ ამ მაჩვენებლებს თუნდაც 2007 წელს შევადარებთ, ანუ ომისწინა პერიოდს, მდგომარეობა კატასტროფულია. მაშინ, 2007 წელს საგარეო ვალის ხვედრითი წონა მხოლოდ 17 პროცენტი იყო. ლოგიკურია, რომ იზრდება საგარეო და საშინაო ვალის მომსახურეობის თანხებიც,



რაც 2012 წელს 580 მილიონი ლარით განისაზღვრება. ანუ, მთელი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების თითქმის ნახევარზე მეტი. ამ პირობებში რამდენჯერმე გაჟღერდა პრეზიდენტის მოწოდება დამატებითი ვალების აღების შესახებ. თუ აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის დავალებას შეასრულებს მომავალ თაობებს კიდევ უფრო მეტი ექნებათ გადასახადი. სამწუხაროდ, ვალების კატასტროფული ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტემპს, რაც ნიშნავს, რომ აღებული ვალების გამოყენების ეფექტიანობა ძალზეც დაბალია. ყოველივე ზემოაღნიშნული ნიშნავს რომ „ნაც. მოძრაობის“ შეჭმული ვალები შთამომავლობას მოკვეთს კბილს.

**თამარ შველიძე**

# noe xaraiSvilis gasaWiri

როდესაც ბატონ ნოე ხარაიშვილის პრობლემების შესახებ შევიტყვეთ, გაგვიკვირდა, რომ საჩხერის რაიონში შეიძლებოდა 91 წლის კაცს თავი ასე მიტოვებულად ეგრძნო.

ბატონი ნოე ხარაიშვილი არის საჩხერის რ-ნის სოფელ კალვათის მკვიდრი, მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, გადამდგარი ოფიცერი, ალმა-ატის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული. ამჟამად საჩხერის რ-ნის ვეტერანთა საბჭოს მდივანი.

მიუხედავად ასაკისა, ბატონი ნოე დღესაც მხნედ გრძნობს თავს და თავისი საქმის ერთგულია. თუმცა, მას ერთი დიდი სატკივარი აქვს. როდესაც მისმა შვილმა ირაკლი ხარაიშვილმა გადაწყვიტა ძველი სახლის დანგრევა და ახლის აშენება, ის გარდაიცვალა და მოხუცი უსახლკაროდ დარჩა. დროებით შეეხიზნა ქალიშვილის სახლს, რომელიც ასევე საცხოვრებლად უვარგისია და მიწისძვრითაა დაზიანებული და სეისმოლოგების დასკვნით, ნგრევის II კატეგორიას განეკუთვნება.



მიუხედავად ბატონ ნოეს არაერთგზის თხოვნისა და ლოდინისა, დღემდე საშველი არ გამოჩნდა.

2011 წლის აგვისტოს მიწისძვრამ ის უფრო და უფრო დააზიანა, კედლებზე ძველი ბზარები გაფართოვდა და ფაქტობრივად, სახლი საცხოვრებლად უვარგისი გახდა. მთელი 20 წლის განმავლობაში უამრავი თხოვნა დაიწერა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამაოდ.

სამწუხაროდ, ბატონ ნოეს, 91 წლის მოხუცს მიწისძვრის მიმართ პანიკური შიში დასჩემდა და ამჟამად ამ დანგრეული სახლის ნესტიან სარდაფში ცხოვრობს – „მიწისძვრა რომ მოხდეს, აქედან უფრო გავასწრებო“, – ფიქრობს.

საჩხერის რ-ნის გამგეობაში, სადაც ბატონი ნოეს კაბინეტია, (ვეტერანთა საბჭოსი) თანამშრომლებს ხუმრობით ეუბნება, კიდევ 20 წელი დაველოდები, იქნებ ვინმემ გულთან მიიტანოს ჩემი სატკივარიო.

მართლაც, ბედის ირონიაა ნოე ხარაიშვილის ცხოვრება. მისი დიდი ბაბუა XVIII საუკუნის ცნობილი ქველმოქმედი მკურნალი გახლდათ, რომელსაც ხალხმა მას „პაპუნა კარლია“ შეარქვა – ის ხომ მორწმუნე მეწამლეთა შთამომავალი იყო.

ასე რომ, „სხვისი მაზიარებელი თვითონ დარჩა დღეს უზიარებელი“. სამწუხაროა, რომ სახლი სახლს არ ჰგავს, ცხოვრებისათვის უვარგისია, მაგრამ გადასახადისათვის კი ჰგავს „სახლი სახლს“.

ნოე ხარაიშვილი: „კარგად მესმის, რომ მატერიალურობისკენ სწრაფვა დროის დაკარგვა და ამაოებაა, მაგრამ ელემენტარულ ცხოვრების პირობებს ვთხოულობ მხოლოდ, რომელიც პენსიონერს მჭირდება, როდემდე ველოდო ან ვის ველოდო დახმარებისათვის? 20 წელია არავინ შეისმინა ჩემი ვედრება. მითხრეს, როგორც საჩხერელმა, ბიძინა ივანიშვილს მიმართეო. უფასო მკურნალობის პოლისი მაქვს ამკეთილი კაცისაგან და მეტი რა ვთხოვო...“, – ამბობს იგი.

სამწუხაროა, რომ მორიდებული, კეთილი და დამსახურებული მოხუცის გასაჭირი, ასე წაუყრუა საჩხერის რ-ნის გამგეობამ, მაგრამ იქნებ ახლა მაინც ყურად იღოს ეს თხოვნა იმან, ვისაც ეს ეხება, ან იმან, ვისაც მისთვის დახმარება შეუძლია. კეთილ ხალხს რა დალევს ამ ქვეყანაზე.

**ეთერ კასრელიშვილი**



# ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da Tanamedrove TvalsazrisiT ganxiluli

**7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც**

თუ იმისდა მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდნენ და მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თანაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთხმივ უარჰყვეს, ცხადია, ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი და ნაძალადევი გეგმა ყოფილა. მართლაც-და, საკმარისია, ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრის და ყარსისაგან ჯავახეთსა და სამცხეერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი, 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი, ჯერ ბერდუჯის მთების დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების, მერმე ნიალისყურის მთის აღმოსავლეთს ნაწილს. დასასრულს, ერუშეთის მთის სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამგვარი ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფელი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე.ი. ჩრდილოეთისაკენ აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები, მაგ. ცხადჰყოფენ, რომ მე-18 ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს, საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (იხ. ბროსსეს გამოც. და გორელ ქედხუდების არზა ერეკლე მე-2-სადმი მირთმეული).

ჯავახეთის (ახალაქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ ეხლაც ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა: კვლავინდებურად იქიდგან საქონელი ტფილისში ჩამოდის, მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს, როგორც რკინის გზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიური ანგარიშებითგანა სჩანს. მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან კი არა ჰქონია ეკონომიური კავშირი (საქონელი მარტო რკინის გზით კი არა, იქითგან პირდაპირი, შარა და საურმე გზებითაც მოდის), არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც, ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი, მაგ. ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში და რამდენი მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და აზერბაიჯანში მიდიოდა (ყარსში, ერევანში, ქამარულში, ბაქოში და სხვაგან):

| | საქართველოში: | დანარჩენ ამიერკავკასიაში |
|---|---|---|
| 1910 წ. | 60557 ფ. | 462 ფ. |
| 1911 წ. | 152858 ფ. | 1800 ფ. |
| 1912 წ. | 207752 ფ. | 3588 ფ. |
| 1913 წ. | 96074 ფ. | 1312 ფ. |
| 1914 წ. | 17144 ფ. | 1238 ფ. |

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული. მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას, განუყრელად, ამ კუთხესთან და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველად, მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივი ჰავის პირობებისდაგვარად შემუშავებულმა ტექნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება. ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის, რომ მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები, იძულებული იყვნენ, სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ (იხ.ვახუშტის გეოგრაფია 182).

მესაქონლეობის მხრივ საქართველოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთ საქართველოში: სულ 857000 დეს. საზაფხულო საძოვარი ითვლება, აქეთგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291000 და საძოვარია.

ამჟამად მთელ აღმოსავლეთ საქართველოში 3683000 თავი საქონელი არსებობს, სომხეთის საზღვრებშიკი (ერევნის გუბ. „ყარსის ოლ. და განჯის მაღლ). სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3561000 თავი საქონელი ჰყავს. ამ მაღლობზე სომხებს დიდძალ 2000000 დეს. საუკეთესო საძოვარი აქვთ. ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს, მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს, ამიტომ სრულებით ცხადია, რომ სომხებს საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე, მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ, ეკონომიკურად არც გამოსადეგნი არიან და არც საჭირო. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთი საქართველო: უამმაზრებოდ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს მდგომარეობაში და გასაცდელში ჩავარდებოდა, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაიხოცებოდა.

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავთ (ორთავეში 515772 თავი ითვლება), რომ მარტო ამ საქონელმა მთელი ამ ფართო და ღონიერი საზაფხულო საძოვრების მოჭმა შესძლოს, აგ. ბორჩალოს მაზრაში საზაფხულო საძოვარი 46000 დეს. ითვლება, აქედან 26 სომეხთა სოფლის საიჯარო საზოგადოება 10000 დეს.-ით სარგებლობს საქონლის საძოვრად, დანარჩენი 36000 დეს. კი აღმოს. საქართველოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ. როგორც წარსულშიც საუკუნეთა განმავლობაში. ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე, სრულებით ცხადია, რომ, თუმცა მე-19-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამც თუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად მასთან არის დაკავშირებული.

**8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?**

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ.) დასაკუთრებლად. ერეკლე მეფის პირით საქართველოს, რასაკვირველია, რუსეთთან ამისთვის არ დაუდვია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერთვა, ეს უხსოვარი დროითგან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა, ქართული კულტურის ერთი ძლიერი კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შემოეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზვნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, — და ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, — ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამაპაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგანკი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მე-19 საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველს მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა, რაკი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.



ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს საზღვრები

ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით

განხილული

ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1919

## მე-6 თავი

### საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი.

**კოლა-არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი.**

რაკი ეხლა საკითხი ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) შესახებ უკვე ყოველმხრივ გამორკვეული გვაქვს, უნდა საქართველოს დანარჩენი მონაპირე კუთხეების შესახებ ზოგიერთი ზედმეტი ცნობები დავურთოთ.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელი ყარსის გუბერნიის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანისა და ტაოს ჩრდილოეთის ნაწილს უდრიდენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნითგან მოყოლებული, არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ-მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1889 წ. არტანის ოლქში 65763 სული იყო და აქეთგან მხოლოდ 1923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქში მთლად 31519 მცხოვრებთა შორის სომეხი 3130 იყო.

ამგვარად, ცხადია, რომ არტაანისა და ოლთისის ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენენ. ამას ჯერ კიდევ შარშან, 1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდნენ და ა.შაპატნიანი, მაგალითად, ამბობდა: აქ „სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენო" და ამის გამო ამიერკავკასიის გადამიჯვნის დროს სომხეთის სამზღვრებს გარეშე დავტოვებთო (ტფილისი 1918 გვ. 73-74 და 75). ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დაჰვიწყებიათ და სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით.

ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1400 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. იხპირში-კი, პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში ყველგან ქართველი-მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ.

**ლაზისტანი.**

ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. მათ კილო მეგრულს ახლო უდგება. ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში. მაგ. 1868 წ. ლაზთა რაოდენობა ინგლისის კონსულის ვ.ჯიფორდ პალჰერის ცნობით, რამდენსამე ასს ათას აღემატებოდა.

ამჟამად ლაზური ანუ ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწა-წყალიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს დედაენა უკვე დავიწყებული აქვს და თურქული შეუთვისებია, მეორეში-კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. ეს ათინას ოლქი საკუთრივ ათინისა და ხოფას ყაზახებისაგან შესდგება. სამხრეთ-დასავლეთით მისი სამზღვარი ქემერის კონცხთან (ქემერბურუნ) იწყება, შემდეგ აჰყვება მდ.ყანლი-დერეს, გადასჭრის ათინას წყალისა და ბაეიუკ-დერეს სათავეებს და მიადგება პონტოს ქედის მწვერვალს, რომელსაც ვარსამბეკი (ვერშემბეკი) ჰქვია. აქეთგან მოყოლებული ჭანეთის მიწა-წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავ ზღვას შუაა მოქცეული. ეს ზოლი თანდათან ვიწროვდება და ბათუმის ოლქში სარპთან თავდება.

ათინას ოლქი ექვს უბნად იყოფება: ხოფას, არქაბეს, ვიწეს, არტაშენის, ათინას და ხემშინის უბნებად. სულ 178 სოფელი არის. აქეთგან 39 სოფელი ხემშინის ოლქში ითვლება. რომელშიც 12778 სული მხოვრებია. ხემშინები გამაჰმადიანებული და გათურქებული სომხები არიან. თვით ლაზთა რაოდენობის შესახებ ზედმიწევნით ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება, რუსეთის გენერ. შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ. ავერიანოვს თავის მონოგრაფიაში ლაზების რაოდენობა 200000-ად აქვს აღრიცხული. როდესაც რუსეთის ჯარმა ამ მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილობრივ მხოლოდ 35000 ლაზი-ღა იყო დარჩენილი. უდროვოდ განსვენებული პროფეს. იოს. ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა, 80000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლს-კარს დაუბრუნდნენ, ისიც მხოლოდ ხალხის აღწერის საშუალებით.

რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები" იბეჭდება უცვლელი სახით.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**– გარდამეცვალა ძმა, ვარ თუ არა მისი მემკვიდრე?**

– და არის II რიგის მემკვიდრე.

თუ თქვენ ძმას დარჩა მეუღლე ან შვილები, ან თუნდაც ერთ-ერთი რომელიმე მათგანი, ისინი არიან I რიგის მემკვიდრეები და სამკვიდროსაც, შესაბამისად, ისინი მიიღებენ. II რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მხოლოდ მაშინ მიიღებს თუ არ არსებობენ I რიგის მემკვიდრეები.

* * *

**– 7 წელია მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ვიმყოფები. შემიძლია თუ არა ახლა გავაფორმო მასთან საქორწინო კონტრაქტი?**

– შეგიძლიათ.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.

* * *

**– გათხოვების შემდეგ მამაჩემმა მაჩუქა ბინა. შევა თუ არა ეს ბინა საერთო საკუთრებაში?**

– ბინა, რომელიც მამათქვენმა გაჩუქათ, თქვენს საკუთრებას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

* * *

**– შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?**

– შეიძლება.

სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მიხედვით: 1) საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით; 2) ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია; 3) საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

**– რამდენია გირაოს მინიმალური რაოდენობა?**

– ამგვარი სახის შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში.

მოგახსენებთ გირაოს როგორც მინიმალურ, ისე მაქსიმალურ რაოდენობას.

გირაო არის აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე. გირაო არ არის სასჯელი, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია.

გირაოს მაქსიმალური რაოდენობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაკონკრეტებული არ არის, ხოლო მინიმალური ოდენობა გახლავთ 1000 ლარი. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

* * *

**– რამდენი სახის პენსია არსებობს?**

– პენსია არის ორი სახის: სახელმწიფო და არა სახელმწიფო.

სახელმწიფო პენსიის დანიშვნის დროს პენსიის გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არასახელმწიფო პენსიის მიღების დროს პენსია გადაირიცხება სპეციალურად შექმნილი ანგარიშიდან, რომელიც იქმნება ფიზიკური პირისა და არასახელმწიფო დაწესებულების გადარიცხვის გზით.

* * *

**– შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხოლოდ სასჯელზე შეთანხმებით, ბრალის აღიარების გარეშე?**

– შეიძლება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

ზოგადად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. ბრალზე შეთანხმება ნიშნავს ჩადენილი დანაშაულის აღიარებას. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული, მართალია, არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება წარდგენილ ბრალს, ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

* * *

**– ჩემი შვილი არის ძებნილი. შეეხება თუ არა მას ამნისტია?**

– კანონი აკონკრეტებს, რომ ამნისტიით გამოცემული შეღავათები არ ვრცელდება ძებნილ პირებზე.



* * *

**– მოვიხადე სასჯელი ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის. ნასამართლობა ბევრ რამეში მაფერხებს. შეიძლება თუ არა ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნა?**

– შეიძლება.

თქვენ არ აკონკრეტებთ, რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეთ ან სასჯელი რა ვადით გქონდათ განსაზღვრული, ამიტომ კონკრეტიზაცია გამიჭირდება.

ზოგადად კი, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდეც.

ასევე, სასჯელმოხდილ პირს ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას როგორც ამნისტიის, ისე შეწყალების აქტით.

* * *

**– რა ვადით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო?**

– გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაოს ადგილზე. თუ პირს არ გააჩნია სამუშაო, მას გამასწორებელი სამუშაო, როგორც სასჯელი არ დაენიშნება და შეეფარდება სხვა სასჯელი.

---

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფალი საქართველო"
Political Movement "Free Georgia"

თავისუფალი საქართველო

Facebook-გამოკითხვის მონაცემები: 3 დეკემბერი, 2011
ინტერნეტ-გამოკითხვა განთავსებულია შემდეგ მისამართზე:
http://www.facebook.com/freegeorgia2011
გამოკითხვის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებენ:
პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“;
მოძრაობა „არა“;
„თავისუფალ სტუდენტთა კავშირი“;

გამოკითხვის პირველადი მონაცამები გამოქვეყნდა 7 ნოემბერს, ქვემოთ მოცემულია გამოკითხვის შედეგები 3 დეკემბრის მდგომარეობით და ცალკე მითითებულია დინამიკა 7 ნოემბერთან მიმართებაში:

| | | |
|---|---|---|
| **უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას?** | | |
| კი | 47.92% | -9.69% |
| არა | 52.08% | 9.69% |
| **როგორ აფასებთ აშშ-ს პოლიტიკას საქართველოს მიმართ?** | | |
| მეგობრული | 25.27% | 1.75% |
| არამეგობრული | 74.73% | -1.75% |
| **უნდა მონაწილეობდეს თუ არა საქართველოს სამხედრო ძალები ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციებში?** | | |
| კი | 22.21% | 8.50% |
| არა | 77.79% | -8.50% |
| **რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებით საქართველო** | | |
| მოიგებს | 97.71% | 0.12% |
| წააგებს | 2.29% | -0.12% |
| **ეთანხმებით თუ არა საქართველოს პარლამენტის და დედაქალაქის ქუთაისში გადატანას?** | | |
| კი | 12.50% | -1.69% |
| არა | 87.50% | 1.69% |
| **უჭერთ თუ არა მხარს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის (პოლიტიკური ნიშნის მიუხედავად) საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებას?** | | |
| კი | 94.82% | 1.00% |
| არა | 5.18% | 1.00% |
| **ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?** | | |
| ქართული ოცნება (ბიძინა ივანიშვილი) | 51.46% | 21.30% |
| დემოკრატიული მოძრაობა (ნინო ბურჯანაძე) | 10.11% | 7.71% |
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (მიხეილ სააკაშვილი) | 5.62% | 15.91% |
| თავისუფალი დემოკრატები (ირაკლი ალასანია) | 6.07% | 10.93% |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა) | 10.34% | -0.43% |
| ქდმ (გიორგი თარგამაძე) | 0.22% | -7.34% |
| რესპუბლიკური პარტია (დავით უსუფაშვილი) | 4.49% | 4.49% |
| ლეიბორისტული პარტია (შალვა ნათელაშვილი) | 2.47% | 0.34% |
| წინააღმდეგობის მოძრაობა (ხოსო მანჯავიძე) | 2.02% | 2.02% |
| ქართული პარტია (ეროსი კიწმარიშვილი) | 0.67% | -6.09% |
| მოძრაობა თეთრები (თეიმურ შაშიაშვილი) | 2.25% | 2.25% |
| ეროვნული ფორუმი (გუბაზ სანიკიძე) | 2.25% | 1.00% |
| ეროვნული საბჭო (ზვიად ძიძიგური) | 0.67% | 0.23% |
| ახალი მემარჯვენეები (დავით გამყრელიძე) | 1.12% | 1.12% |
| ეკპ (ბაჩუკი ქარდავა) | 0% | 0% |
| მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (გოგი თოფაძე) | 0.22% | 0.22% |

„თავისუფალი საქართველო“-ს
ახალგაზრდული ორგანიზაცია - **ლადო ბულბულაშვილი**
მოძრაობა „არა“ - **ლევან ჩიტაძე**
„თავისუფალ სტუდენტთა კავშირი“ - **ნიკა მეტრეველი**

საქართველო, თბილისი, 0179. ფალიაშვილის 33ა. ტელ/ფაქსი: (995 32) 25 31 42
Georgia, Tbilisi. 0179. Paliashvili str. 33a. Tel/Fax: (995 32) 25 31 42
Email: kkukava@hotmail.com, http://www.freegeorgia.ge

ბანკი ქართუ
CARTU BANK

## სათავო ოფისი
ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

## ვაკის სერვისცენტრი
ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

## საბურთალოს სერვისცენტრი
პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

## მთაწმინდის ფილიალი
ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

## ისნის სერვისცენტრი
ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

## ქუთაისის ფილიალი
ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

## ბათუმის ფილიალი
გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

## გორის სერვისცენტრი
სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

## თელავის სერვისცენტრი
ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge






# გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის" მე-10 ნომერი

„ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა" — ამ რუბრიკით გარეკანის მე-2 გვერდზე მოთავსებულია არჩილის ლექსი „ასე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ განა მცირეთა"...

რუბრიკით „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები" იბეჭდება რაჟდენ გვეტაძის ლექსი „მარო მაყაშვილს".

„პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი" — ამ რუბრიკაში წაიკითხავთ თემურ ჩალაბაშვილისა და მარიამ წიკლაურის ლექსებს „ახალი ლექსების" რუბრიკით გამოქვეყნებულია ელგუჯა მარღიას და გენრი დოლიძის ლექსები.

„გახსოვდეს აფხაზეთი" — ამ რუბრიკაში იბეჭდება ირმა მებურიშვილის ლექსები.

რუბრიკაში „ინტერვიუ" გაეცნობით საუბარს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი ღვალაძესთან —„ავტორებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები".

„ლიტერატურული მესხეთის" რუბრიკაში წაიკითხავთ ავთანდილ ბერიძის, ვახტანგ ინაურის, მერაბ ბერიძის, ალიოზ ოკოშვილის, ბექა ოთანაძის, კობა მოდებაძის, შალვა კელოშვილის, თამარ ლომიძის, მარიტა ჯიქიას ლექსებს და წერილებს, აგრეთვე ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტების მაია ბლიაძის, ნინო ჯიქურაშვილის, ნინო გვირჯიშვილის და ნინო კაჭკაჭიშვილის ლექსებს.

„თეატრი", „კრიტიკა" — ამ რუბრიკით წარმოდგენილია გოგი დოლიძის წერილს „გლახა ჭრიაშვილის არლანი ანუ..." „პროზა" — ამ რუბრიკაში მოთავსებულია მიხეილ ანთაძის მოთხრობა „უჯრაში ჩაკეტილი რომანი" — ამ რუბრიკით გრძელდება ავთანდილ კვასხვაძის რომანი „სიკვდილ-სიცოცხლის როკვა".

„მემუარების" რუბრიკაში გრძელდება ჩეკას პირველი თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოგონებები.

„ასი სამარცხვინო ლექსის" რუბრიკით წაიკითხავთ გიორგი მაისურაძის ლექსს „დამკვრელის სიტყვა", რომელიც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში" გამოქვეყნდა 1931 წელს. ◆